საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული
გელათის მეცნიერებათა აკადემია

ბაბილინა ლომინაძე

გელათი

თბილისი
2014

გამოიცა რუსთაველის მიტროპოლიტის იოანეს

(გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით

ეძღვნება გელათის აკადემიის 900 წლისთავს

(1114 – 2014)

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი თუ საქართველოს მოქალაქე ათვალიერებს ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლს – გელათის მონასტერს. მონასტრის არქიტექტურა, მხატვრობა, კედლის წარწერები და ეპიტაფიები მნახველს ცოცხლად წარმოუდგენენ იმ გარდასულ ცხოვრებას, რომელიც გელათის ქვის კედლებში ოდესღაც იყო გაჩაღებული; მოაგონებენ იმ ისტორიულ ამბებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ ძეგლის დამაარსებლის, დავით აღმაშენებლის სახელთან; წარმოუდგენენ იმ ხალხის შრომასა და ძალას, რომელმაც შექმნა ეს შესანიშნავი ტაძრები და დარბაზები. მნახველის გონებაში ცოცხლდებიან სახელოვანი ქართველი ეროვნული მოღვაწეები: წმ. დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი, დემეტრე მეფე, გიორგი III, წმ. კეთილმორწმუნე მეფე თამარი, ბაგრატ აღლქსანდრეს ძე, ზაქარია ქაჯრიანი, პატრიარქი ევდემონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფე სოლომონ I და სხვანი, რომელთა ნეშტი გელათის წიაღში ასვენია.

რედაქტორ-გამომცემელი
დამანა მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი
სანდრო სულაკაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი ქიტოშვილი, ნონა ნაჭყებია

გელათის მეცნნიერებათა აკადემია, 2014

ISBN 978-9941-9422-7-3

რედაქტორისაგან

გელათის წინამდებარე გზამკვლევის ავტორია გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საეკლესიო ისტორიის აღიარებული მკვლევარი, ბაბილინა რაფიელის ას. ლომინაძე (1920-1997).

ბაბილინა ლომინაძემ მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას მაშინ, როდესაც ოფიციალურად ეს აკრძალული იყო. მისი ნაშრომები გამოირჩევა მეცნიერული კეთილსინდისიერებით, უკომპრომისობით, პრინციპულობით, მასალის სიუხვით, დასაბუთების სიზუსტით.

ბ. ლომინაძემ 1949 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე: „ქართული საეკლესიო სენიორიის ისტორიიდან, – შიო მღვიმის მონასტერი", ხოლო, მონოგრაფია – „საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა", რომელიც სადოქტორო დისერტაციად იყო გამოცხადებული, გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2010 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიის ძალისხმევით.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი თავაუღებლივ მუშაობდა ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის (II ტ.-ის) გამოცემაზე; დიდი ამაგი დასდო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის მომზადებას. იგი ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევისა და საენციკლოპედიო სტატიებისა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

1982 წელს ბ. ლომინაძეს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია ნაშრომებისათვის, რომლებიც ეხება XIV-XV საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის, „სენიორიების" (საეპისკოპოსოების) ისტორიას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979წ.).

„გელათის გზამკვლევი" სამჯერ გამოიცა (1955, 1958 და 1959 წლებში). პირველი გამოცემის მერე გავიდა 55 წელი და ამ დროის მანძილზე გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი სპეციალ-

ური – როგორც ისტორიული, ისე ფილოლოგიური და ხელოვნებათმცოდნეობითი ხასიათის ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ ამ პატარა, პოპულარული წიგნაკის გამოცემა დღევან- დელ ვითარებაში მაინც საჭიროდ ვცანით: საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას და გელათის სტუმრებს ის უტყუარ ინფორმაციას მიაწვდის მონასტრისა და აქ არსებული აკადემიის – „ყრმათა სასწავლებლის" – როლის შესახებ საქართველოს სო- ციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაში.

ახალ გამოცემაში გათვალისწინებულია თვით ავტო- რის სამუშაო ხელნაწერი შენიშვნებიც, რომლებიც წინა გამოცემების ტექსტებს ერთვოდა.

***

...[მეფემან დავით] *„მოიგონა აღშენებად მონასტრისად და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან სალ- მრთომან, ადგილსა ყოველად შუენიერსა და ყოველი- თურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა, ვითარცა მეორე ცად გარდაართხა ტაძარი ყოველად წმიდისა დედისა ღმრთისა, რაბამ რაღმე აღმატებული ყოველთა წინან- დელთა ქმნულობისა... და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკობილნი ყოველითა სათ- ნოებითა, არა თუსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადაღთცა ესმის ვიეთმე სი- კეთე, სისრულე და სულიერითა და ჴორციელითა სათ- ნოებითა აღსავსეობად; იძიენა და გამოიძიენა, მოიყვანნა და დაამკჳდრნა მას შინა..."*

დავითის ისტორიკოსი

ბაბილინა ლომინაძე

გელათის სამონასტრო კომპლექსი

გელათი თავისი წარმტაცი ხატოვანი ბუნებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ქართული კულტურის ფასდაუდებელი სიმდიდრეა, საქართველოს ძველი ისტორიის ბრწყინვალე მღაღადებელი. დღეს იგი, როგორც სიძველე, ღირსეულად არის დაცული. აქ რეგულარულად ტარდება სარესტავრაციო სამუშაოები. გელათის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მდინარე წყალწითელას მარცხენა მხარეზე, მთის კალთაზე, ქალაქ ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კილომეტრის დაშორებით. ქუთაისიდან გელათში მიმავალი საავტომობილო გზა იწყება გელათის ქუჩით, რომელიც „მოწამეთას" გავლით მიემართება მონასტრისაკენ. ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზზე გელათი მესამე სადგურია,საიდანაც დიდებულ მონასტრამდე სამიოდე კილომეტრია გასაველელი.

გალავნით შემორტყმული გელათის მონასტერი გაშენებულია კლდოვან-ტყიანი მთის დაგაკებულ ადგილზე, საიდანაც იშლება ულამაზესი სანახაობა: დასავლეთის მხრით – მდ. წყალწითელა ერცელი მთაგორიანი მიდამოთი, ბაღ-ვენახებით. დაბლობში რკინიგზის სადგურია; დასავლეთით და ჩრდილოეთით – სოფელი გელათი, გლეხების ეზოები და კრამიტით გადახურული ოდები, შორს ჰორიზონტზე წყება-წყებად – კავკასიონის მთები; სამხრეთ-აღმოსავლეთით მონასტერს დაჰყურებს ტყით შემოსილი მაღალი ქედი, სადაც თვალი ამჩნევს მრავალი ძველთაძველი ქვის შენობის ნანგრევებს და მცირე ზომის საკულტო ნაგებობებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაწერილებით აღ-

წერს მონასტრის აშენების ამბავს: საქართველოს მეფეს დავითს (1089 – 1125 წწ.) მონასტრის ასაშენებლად საგანგებოდ შეურჩევია ლამაზი ბუნებრივი მდებარეობის ადგილი, სადაც მას ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი აუგია. ახლად აშენებული გელათის მონასტრისათვის მასვე შეუდგენია სამონასტრო ძმობა. საქართველოსა და სახლვარგარეთის ქართული მონასტრებიდან საგანგებოდ მოუწვევია სასულიერო და საერო განათლების მქონე სწაელული პირები. გელათის ამშენებელს იმთავითვე ფართო მიზნები ჰქონდა დასახული: გელათის მონასტერი მწიგნობრულ-სამეცნიერო მოღვაწეობისა და უმაღლესი განათლების კერად უნდა ქცეულიყო (როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ეპოქაში საგანმანათლებლო კერები,ჩვეულებრივ,მონასტრებთან ან საეპისკოპოსო კათედრებთან ეწყობოდა).

ჯერ კიდევ დავითის მეფობის ხანაში, გელათის მონასტერი ქართული კულტურის თვალსაჩინო ცენტრი გახდა. საერო ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით თანამედროვენი გელათს „სხუა ათინას“ უწოდებდნენ, საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობისა და განათლების მიხედვით კი „მეორე იერუსალიმად“ მიაჩნდათ. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც გელათმა დაგვიტოვა, თანამედროვეთა ეს შედარებანი გასაგები გახდება. გელათმა XII –XIV საუკუნეებში შექმნა ლიტერატურული, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის პირველხარისხოვანი ნაწარმოებები, ოქრომჭედლობის მსოფლიო ნიმუშები, უნიკალური მოზაიკური მხატერობა, არქიტექტურის კლასიკური ძეგლები... გელათი, როგორც სასულიერო, სამეცნიერო და მხატერული შემოქმედების ცენტრი, ეპოქალური მნიშვნელობისაა.

* * *

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი თუ საქართველოს მოქალაქე ათვალიერებს ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლს – გელათის მონასტერს. მონასტრის არქიტექტურა, მხატვრობა, კედლის წარწერები და ეპიტაფიები მნახველს ცოცხლად წარმოუდგენენ იმ გარდასულ ცხოვრებას, რომელიც გელათის ქვის კედლებში ოდესღაც იყო გაჩაღებული; მოაგონებენ იმ ისტორიულ ამბებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ ძეგლის დამაარსებლის, დავით აღმაშენებლის სახელთან; წარმოუდგენენ იმ ხალხის შრომასა და ძალას, რომელმაც შექმნა ეს შესანიშნავი ტაძრები და დარბაზები. მნახველის გონებაში ცოცხლდებიან სახელოვანი ქართველი ეროვნული მოღვაწეები: წმ. დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, დემეტრე მეფე, გიორგი III, წმ. კეთილმორწმუნე მეფე თამარი, ბაგრატ ალექსანდრეს ძე, საქარია ქვარიანი, პატრიარქი ეფდემონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფე სოლომონ I და სხვანი, რომელთა ნეშტი გელათის წიაღში ასვენია.

გელათი თავისი წარმტაცი ხატოვანი ბუნებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ქართული კულტურის ფასდაუდებელი სიმდიდრეა, საქართველოს ძველი ისტორიის ბრწყინვალე მღაღადებელი. დღეს იგი, როგორც სიძველე, ღირსეულად არის დაცული. აქ რეგულარულად ტარდება სარესტავრაციო სამუშაოები. გელათის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მდინარე წყალწითელას მარცხენა მხარეზე, მთის კალთაზე, ქალაქ ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კილომეტრის დაშორებით. ქუთაისიდან გელათში მიმავალი საავტომობილო გზა იწყება გელათის ქუჩით, რომელიც „მოწამეთას" გაელით მიემართება მონასტრისაკენ. ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზზე გელათი მესამე სადგურია,

საიდანაც დიდებულ მონასტრამდე სამიოდე კილომეტრია გასავლელი.

გალავნით შემორტყმული გელათის მონასტერი გაშენებულია კლდოვან-ტყიანი მთის დავაკებულ ადგილზე, საიდანაც იშლება ულამაზესი სანახაობა: დასავლეთის მხრით – მდ. წყალწითელა ერცელი მთაგორიანი მიდამოთი, ბაღ-ვენახებით. დაბლობში რკინიგზის სადგურია; დასავლეთით და ჩრდილოეთით – სოფელი გელათი, გლეხების ეზოები და კრამიტით გადახურული ოდები, შორს ჰორიზონტზე წყება-წყებად – კავკასიონის მთები; სამხრეთ-აღმოსავლეთით მონასტერს დაჰყურებს ტყით შემოსილი მაღალი ქედი, სადაც თვალი ამჩნევს მრავალი ძველთაძველი ქვის შენობის ნანგრევებს და მცირე ზომის საკულტო ნაგებობებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაწვრილებით აღწერს მონასტრის აშენების ამბავს: საქართველოს მეფეს დავითს (1089 – 1125 წწ.) მონასტრის ასაშენებლად საგანგებოდ შეურჩევია ლამაზი ბუნებრივი მდებარეობის ადგილი, სადაც მას ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი აუგია. ახლად აშენებული გელათის მონასტრისათვის მასვე შეუდგენია სამონასტრო ძმობა. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქართული მონასტრებიდან საგანგებოდ მოუწვევია სასულიერო და საერო განათლების მქონე სწავლული პირები. გელათის ამშენებელს იმთავითვე ფართო მიზნები ჰქონდა დასახული: გელათის მონასტერი მწიგნობრულ-სამეცნიერო მოღვაწეობისა და უმაღლესი განათლების კერად უნდა ქცეულიყო (როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ეპოქაში საგანმანათლებლო კერები, ჩვეულებრივ, მონასტრებთან ან საეპისკოპოსო კათედრებთან ეწყობოდა).

ჯერ კიდევ დავითის მეფობის ხანაში, გელათის მონასტერი ქართული კულტურის თვალსაჩინო ცენტრი

გახდა. საერო ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით თანამედროვენი გელათს „სხუა ათინას“ უწოდებდნენ, საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობისა და განათლების მიხედვით კი „მეორე იერუსალიმად“ მიაჩნდათ. მართლაც, თუ გავიოვალისწინებთ იმ უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც გელათმა დაგვიტოვა, თანამედროვეთა ეს შედარებანი გასაგები გახდება. გელათმა XII –XIV საუკუნეებში შექმნა ლიტერატურული, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის პირველხარისხოვანი ნაწარმოებები, ოქრომჭედლობის მსოფლიო ნიმუშები, უნიკალური მოზაიკური მხატვრობა, არქიტექტურის კლასიკური ძეგლები...გელათი, როგორც სასულიერო, სამეცნიერო და მხატვრული შემოქმედების ცენტრი, ეპოქალური მნიშვნელობისაა.

გელათის სამონასტრო კომპლექსის დაარსება და მოკლე ისტორია

XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, ქართველმა ხალხმა და ქართულმა სახელმწიფომ უდიდეს პოლიტიკურ და ეროვნულ ძლიერებას მიაღწია. საქართველოში შეიქმნა მტკიცე ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი ამიერკავკასია.

ჯერ კიდევ XI საუკუნეში საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი დამპყრობლების ხელში იყო. თბილისი მისი მიმდგომი ტერიტორიით და აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე თურქების სახედრო ძალებს ეპყრათ. პოლიტიკურად არც ქვეყნის შიგნით იყო სახარბიელო მდგომარეობა. გაძლიერებული ფეოდალური სეპარატიზმი ძირს უთხრიდა სამეფოს ერთიანობას. მაგრამ XII საუკუნეში ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების წყალობით საქართველომ ყველაფერ ამას თავი დააღწია და იგი ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.

საქართველოს პოლიტიკურ წინსვლად ამ პერიოდში ხელი იმანაც შეუწყო, რომ საერთაშორისო ასპარეზზე შეირყა ქართველთა საგარეო მტრის, თურქ-სელჩუკიან სულტნების ძლიერება. ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქ-სელჩუკებს მრავალი ქალაქი, მათ შორის, იერუსალიმი, ანტიოქია და სხვა დაპყრობილი ტერიტორია წაართვეს. ევროპელებთან ამ ომების გამო სელჩუკების ყურადღება რამდენადმე ჩამოსცილდა საქართველოს, სადაც მათ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ჰქონდათ მიტაცებული. ქართული სახელმწიფოს ნიჭიერმა მეთაურმა მეფეთმეფე დავითმა ისარგებლა ამ ხელსაყრელი საერთაშორისო

სიტუაციით და სელჩუკიან სულტნებს 1097 წელს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და თურქ დამპყრობთა ბუდეები საქართველოს მიწა-წყალზე თანდათანობით მოსპო. თურქები განდევნილ იქნენ სამშვილდის,რუსთავის,ლორეს და სხვა ციხე-ქალაქებიდან ბოლოს კი,1122 წელს თბილისიდანაც.

ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის ქართული სახელმწიფო თურქების წინააღმდეგ ბრძოლას თვისი ტერიტორიის გარეთაც აწარმოებდა. საჭირო იყო მტრის განდევნა მესობელი ქვეყნებიდანაც. ამ ხასიათის ბრძოლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1120 წელსა და 1123წელს თურქების განადგურება შარვანში (დღევანდელი აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ნაწილი). აქ ქართველებმა ჯერ აიღეს ქ. კაბალა, მერე – ქ. შამახია და სხვა ქალაქები. 1124 წელს თურქები გაძევებულ იქნენ სომხეთის რიგი ქალაქებიდანაც. 1124 წლის 20 აგვისტოს ქართველთა ლაშქარმა აიღო სომხეთის დედაქალაქი ანისი (მდებარეობდა სომხეთიდან საქართველოსკენ მომავალ გზაზე), რომელიც მაშინ მაჰმადიან მფლობელთა ხელში იყო. ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვით სომხებიც, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიწვიეს დავით აღმაშენებელი ანისს.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ სიძლიერეს უკვე ისიც მოწმობდა, რომ მან შეძლო არა მხოლოდ მტრის ცალკეული ლაშქრის დამარცხება, არამედ სძლია კოალიციური არმიაც. ცნობილია 1121 წლის აგვისტოში დიდგორის ომი (მანგლისის მახლობლად), სადაც მოწინააღმდეგეთა ბანაკში გაერთიანებული თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელები სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა. ასევე 1123 წელს სულტანი მეორედ უკუაქციეს შარვანიდან.

ამ სამხედრო გამარჯვებებმა დიდად გაზარდეს საქართველოს პოლიტიკური გავლენა საერთაშორისო ურთ-

იერთობაში, ქართული სახელმწიფოს ბრძოლებს თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ არ ჰქონდა მხოლოდდამხოლოდ ქართული, ეროვნული მნიშვნელობა, თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში საქართველო გამოდიოდა კავკასიის განმათავისუფლებლის როლში. საქართველო თურქებს მეზობელი ქვეყნებიდანაც დევნიდა (სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ა. შ.). ამას მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის ხალხები. თურქი სულტნების ალაგმვა და დასუსტება (დიდგორისა და სხვა ომებში) ხელს უწყობდა ევროპელ ჯვაროსანთა ბრძოლების წარმატებებს მაჰმადიან მფლობელებთან სირია-პალესტინაში. საქართველო მაშინ ერთადერთი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთში, რომელიც ენერგიულად აკავებდა თურქ-სელჩუკთა ექსპანსიას ევროპისაკენ. მის ამ როლს კიდევაც აღიარებდნენ და აფასებდნენ დასავლეთ ევროპაში. საქართველოს სახელმწიფო მტკიცედ გაერთიადა თავის ეროვნულ ტერიტორიაზე და მისი პოლიტიკური საზღვრები ამიერკავკასიას გადასცილდა.

ცხადია, საქართველო თურქობას ასე ვერ გაუმკლავდებოდა და პოლიტიკურ ძლიერებას ვერ მოიპოვებდა, რომ მას სათანადო სახელმწიფოებრივი ძლიერება არ ჰქონოდა. ეს გამოვლინდა არა მხოლოდ საგარეო ომებში. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ თურქობასთან ბრძოლის პარალელურად შეძლო მთელი რიგი არსებითი სოციალური, სამხედრო და ეკონომიური ღონისძიებების გატარებაც.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ურჩი დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგ დავით აღმშენებლის მტკიცე და გადამწყვეტი მოქმედება: 1097 წელს მან საქართველოდან გააძევა ცენტრალური ხელისუფლების დაუძინებელი მტერი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ივანეს ძე ბაღვაში, საერისთავო კი გააუქმა. ლიპარიტის ნაქონი მამ-

ულები გელათის მონასტერს გადასცა სამფლობელოდ; 1101 – 1104 წლებში საქართველოს სამეფო შემოუერთდა განზე გამდგარი კახეთიც; ფეოდალური ეკლესიის მტკიცედ დამორჩილების მიზნით დავითმა გაატარა მთელი რიგი ახალი ღონისძიებები. მეფემ მოახერხა ურჩი ფეოდალების გაძევება საეკლესიო ასპარეზიდან. საეკლესიო თანამდებობების დასაკავებლად ამიერიდან უპირატესობა პიროვნების პირად ღირსებებს მიეცა და არა გვარიშვილობას. ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეები მეფის უშუალო კონტროლსა და დამოკიდებულებაში მოექცა და ა. შ.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმებსაც, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა: არსებული წესის მიხედვით, ყოველი დიდგვაროვანი აზნაური თავისი ქმებით გამოდიოდა ლაშქარში. ამის გამო მეფის სამხედრო ქმედება ყოველთვის შეზღუდული იყო დიდგვარიანთა ნებასურვილით. დავითმა ამ ფეოდალური ლაშქრის გვერდით შექმნა მუდმივი, აზნაურთაგან დამოუკიდებელი ჯარი; 1118 – 1120 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოასახლა ყივჩაღთა ტომი და შეადგინა 45000-იანი არმია. ამ სამხედრო ორგანიზაციამ უდიდესი როლი შეასრულა როგორც საშინაო, ისე საგარეო მტრების მოგერიებასა და დათრგუნვაში.

საგარეო და საშინაო მშვიდობა, შინაგანი პოლიტიკური სიმტკიცე ხელს უწყობდა მოსახლეობის ზრდასა და მეურნეობის აღმავლობას. რასაკვირველია, პოლიტიკური წარმატებები და მასთან კულტურული მშენებლობანი შესაფერის მაღალ ეკონომიურ-სამეურნეო და სოციალურ განვითარებას გულისხმობდა. საქართველო ითვლებოდა განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად, მიწათმოქმედება ინ დროის პირობაზე მაღალ ტექნიკასა და მეურ-

ნეობის ღრმა ცოდნას ემყარებოდა. ქართული ფეოდალური მეურნეობა, ქართული მიწათმფლობელობის წესი, რომელიც ინტენსიურ მიწათმოქმედებას (ბაღ-ვენახების, პურეულის და სხვათა მოყვანას) ეყრდნობოდა, უეჭველად პროგრესული იყო.

საგრძნობლად განვითარდა ამ პერიოდში საქალაქო მშენებლობა (მაგალითად, ქ. გორის დაარსება) და აღებ-მიცემობა. მსხვილი მეურნეობები (განსაკუთრებით, სამონასტრო) ინტენსიურად არიან ჩაბმული ვაჭრობაში. საგანგებო მფარველობა ეწევა არაბულ-სპარსულ ვაჭრობასაც. მიმოსვლის გასაადვილებლად მდინარეებზე იგება ხიდები, ძნელი გზები ქვაფენილით იმოსება, გზებზე სასტუმროები შენდება და ა.შ.

ფეოდალური ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ დაწინაურებას სავსებით შეეფერებოდა სულიერი კულტურის მაღალი დონე. ქართულ ენაზე ნათარგმნი იყო მსოფლიო ლიტერატურის (ბიზანტიურის) თითქმის ყველა თვალსაჩინო თხზულება, ქართულად შეიძლებოდა ყოველმხრივი ცოდნის მიღება. განათლებული ადამიანი თანაბრად ფლობდა ღვთისმეტყველებასა და საერო მეცნიერებას. ამ დროის ქართულმა მწერლობამ თავის მხრივ გარკვეული წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურაში. ძლიერ ვითარდება მეცნიერების სხვადასხვა დარგი, როგორიცაა— იურისპრუდენცია, მათემატიკა, ისტორია, ფილოსოფია და სხვ. კულტურის ყველა სფეროში (ხელოვნება, მხატერულ-აგიოგრაფიული ლიტერატურა. ფილოსოფია და ა. შ.) ფეხს იკიდებს ჰუმანიზმი.

საქართველოში სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ არაქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები. რელიგიურ დევნა აქ არასდროს არ ყოფილა, პირიქით, ზოგჯერ შელავათებსაც კი ღებულობდნენ, მაგ., ვაჭრები, პოეტები და სხვ. დავით აღმაშენებელმა მაჰმადიან

პოეტებს საგანგებოდ სახლი აუშენა და მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ. საქართველოში ეს რელიგიური შემწყნარებლობა მჭიდროდ ენასკვებოდა მოქმედ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, საქართველო თურქობასთან ბრძოლაში კავკასიის გამაერთიანებლად გამოდიოდა (კავკასიაში კი ისლამისა და სხვა რელიგიის მიმდევარი პოლიტიკური ერთეულები მრავლად იყვნენ). ამ როლის შესრულებას, რასაკვირველია, იგი წარმატებით ვერ შეძლებდა ამგვარი შემწყნარებლური რელიგიური პოლიტიკის გარეშე.

ქართულმა მწერლობამ ამ პერიოდში წარმოშვა დიდი მოაზროვნეები: არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, იოანე პეტრიწი, იოანე ტარიჭისძე, პეტრე გელათელი, იეზეკიელი, არსენ ბულმაისიმისძე, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვ. საისტორიო, საეკლესიო-ფილოსოფიურ მწერლობაში მათ შექმნეს ბრწყინვალე ნაწარმოებები. თვითონ დავით აღმაშენებელი იყო დიდად განათლებული პიროვნება, ქრისტიანულ და მაჰმადიანურ კულტურას თანაბრად ზიარებული, შემოქმედი, ეროვნული კულტურისათვის თავდადებულად მსრუნველი.

დიდი ყურადღება ექცეოდა სწავლა-განათლების ცენტრების გამრავლებას. ასეთები ჯერ კიდევ ძველთაგანვა არსებობდნენ როგორც სამეფოს შიგნით (შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, შიომღვიმე და სხვ.), ისე საზღვარგარეთაც (ათონსე – საბერძნეთში, შავმთაზე –სირიაში, ჯვარი – პალესტინაში, პეტრიწონის მონასტერი – ბულგარეთში და სხვ.).მრავალი ქართველი იგზავნებოდა სასწავლებლად აგრეთვე ბიზანტიის სკოლებში, განსაკუთრებით, კონსტანტინოპოლის აკადემიაში.

დავით მეფე დიდი ენერგიით აახლებს ქართულ სავანეებს საბერძნეთში, ბულგარეთში, კვიპროსსე, სირიასა და პალესტინაში (აქ, განსაკუთრებით, იერუსალიმის

„ქრისტეს საფლავის“ მონასტერს); სინას მთაზე აგებს ახალ მონასტერს. საზღვარგარეთ ამ ქართული სავანეების არსებობა ქართველთა არა მხოლოდ სულიერი კულტურის, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური გავლენის დამადასტურებელიც იყო.

აი, ასეთ ვითარებაში – საქართველოს სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანაში – დაარსებულ იქნა გელათის მონასტერი – სასწავლებლითურთ, რომელშიც კონსტანტინე მონომახის მიერ კონტანტინოპოლში დაარსებული მანგანას აკადემიის მსგავსად, სწავლება ტრივიუმ-კვადრივიუმის სისტემაზე იყო აგებული და, რომელშიც „მრავალი ქართველი განისწავლებოდა სიბრძნისმეტყველებასა შინა“. ამავე დროს, გელათის აკადემია აგრძელებდა იმ მუშაობას, რომელიც ერთ დროს საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში – ათონსა, შავ მთასა და პეტრიწონში ღვიოდა...

* * *

გელათის სამონასტრო მშენებლობა 1106 წელს დაიწყო. დავით მეფე გარდაიცვალა 1125 წელს, როცა მშენებლობის დასრულებას თითქმის აღარაფერი უკლდა: „ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთაჲ უსრულად და წარმყუა მისთჳსცა ტკივილი სამარადისო...“ მისი ამ ანდერძის თანახმად მონასტერი 1126 წელს გაასრულა დავითის ძემ და მემკვიდრემ, დემეტრე მეფემ („შენ ხარ ვენახის“ ავტორმა), რომელმაც ღვთისმშობლის ტაძარი მოახატვინა და აკურთხებინა.

საგანმანათლებლო-სამონაზვნო მოღვაწეობა გელათში მშენებლობის დამთავრებამდე ბევრად ადრე იქნა გაჩაღებული. დღიდან დაფუძნებისა გელათი, როგორც მოქმედი მონასტერი, ბოლომდე განაგრძობდა უწყვეტ არსებობას.

საქართველოს წარსულის ისტორია უცხოელ დამპყრობელთა ხშირი და გამანადგურებელი შემოსევებით ხასიათდებოდა, რამაც კულტურის მრავალი ძეგლი მოშალა და დაანგრია. თუ გელათი გადაურჩა ფიზიკურად ამ ნგრევას, ამაში დიდი როლი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეასრულა: იგი მხოლოდ ორჯერ გახდა მტრის თავდასხმის ობიექტი. სწორედ ამ დაცულობის გამო გელათი ეროვნული ძვირფასეულობისა და სიწმინდეთა დასახიზნავ ადგილადაც იყო მიჩნეული. ამ გზით მოხვდა აქ „ხახულის ღვთისმშობლის“ განთქმული ხატი (X – XII სს.), აწყურისა (XVI ს.) და ბიჭვინთის (XVI ს.) ღვთისმშობლის ხატები და სხვ.

გელათს უპირატეს მდგომარეობას უქმნიდა ის გარემოებაც, რომ იგი მეფეთა საკუთარ საძვალე მონასტერს წარმოადგენდა. გელათში კრძალავდნენ საქართველოს მეფეებს (საქართველოში ყველა მსხვილ ფეოდალს თავისი სასაფლაო მონასტერი ჰქონდა). გელათი, როგორც სამეფო მონასტერი, მთელი რიგი ეკონომიური, სოციალური, საგადასახადო, სამხედრო და სამოსამართლო პრივილეგიებით სარგებლობდა.

სოციალური სტრუქტურით გელათი ისევე, როგორც სხვა მონასტრები და საეპისკოპოსოები საქართველოში, ფეოდალურ მიწათმფლობელ სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენდა. როგორც საეკლესიო სენიორია გელათი საკმაოდ მსხვილი ერთეული იყო. ჯერ კიდევ დავით მეფემ მონასტერს დაარსებისთანავე უბოძა დიდი მამულები. დავითმა მონასტერს გადასცა აგრეთვე ძვირფასი ნივთეულობა ოჯახის საგვარეულოდან და ომში ნადავლად ნაშოვნი ქონებიდან. გელათი ფლობდა უამრავ მიწებს, ყმებს, ფულად კაპიტალს და ა. შ. გელათს თავისი სამფლობელო ადგილ-მამულები ძირითადად გარს ერტყა, მას ეკუთვნოდა აგრეთვე მისგან დაშორებული სოფლები.

მაგ., დერჩი, ჩუნეში, საბანელა, კვახჭირი, ნობარევი, მუხაღუა, კვაშხიეთი და სხვ. ცალკეული გლეხები ჰყავდა შემდეგ სოფლებში: თხილთაწყაროს, ნაქალაქევს, ფარცხანაყანევს, ჩხარს, თერჯოლას, ჩერნათს, სორმონს, პატრიკეთს, გეგუთს, ნაბოსლევს, ბოსლევს, სიმონეთს, ჟუნტუბოს, რიონს, ოკრიბას, ძევრს, აგრეთვე ქ. ქუთაისს და სხვ. გელათის მონასტრის ყმა ვალდებული იყო გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა სახის გადასახადი ეძლია მონასტრისათვის, რადგან მიწა, რომელზეც ყმა იჯდა, მონასტერს ეკუთვნოდა, ყმები მონასტრის სასარგებლოდ გარკვეულ მინდვრის სამუშაოებსაც ასრულებდნენ.

გელათის მონასტერს დამოუკიდებელი, ავტონომიური, მართვა-გამგეობა ჰქონდა, მონასტერი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში, ყმა-მამულის მართვაში, გარდა მეფისა, არავის ხელისუფლებას არ ცნობდა. გელათის მონასტერი აღჭურვილი იყო თავისი ყმების გასამართლების უფლებითაც. მას სასამართლო შეუვალობა ჰქონდა: მონასტერი თავისუფალი იყო უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლის — კათალიკოს-პატრიარქის ყოველგვარი ეკონომიური ვალდებულებისაგან, კათალიკოსს გელათის მიმართ მხოლოდ სულიერი ხელმძღვანელობა ეკისრებოდა. გელათის მონასტრის ყმა-მამული განთავისუფლებული იყო სამეფო გადასახადებისაგანაც. მონასტრის ყმა-მამულის შემოსავალი განუყოფლად მონასტრის სასარგებლოდ მიდიოდა. ასეთი დათმობები ხელს უწყობდა გელათის მონასტრის ეკონომიურ გაძლიერებას. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, გელათის წარმატებისათვის იღვწოდნენ საქართველოს მეფეები: დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე,, ლაშა გიორგი, დავით ნარინი, გიორგი ბრწყინვალე და სხვ.

საუკუნეთა მანძილზე გელათში ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა ცხოვრება. ამაზე

თეით ქვეყნის საერთო მდგომარეობა ახდენდა გავლენას. გელათის ისტორიაში აღინიშნება აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები. ასე, მაგ., XII-XIII საუკუნეებში გელათი ეკონომიურად და საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ნაყოფიერებით განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს.

XV საუკუნეში გელათში მატერიალური თუ კულტურული ცხოვრება ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითობის გამო შენელებულია. როგორც ცნობილია, ამ ხანაში საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მოხდა არსებითი ხასიათის ცვლილებები – 1453 წელს თურქ-ოსმალებმა აიღეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და მოსპეს ეს უძველესი იმპერია. ამის შემდეგ უდიდესი კულტურული ტრადიციების მქონე ქრისტიანული ბიზანტიის ნაცვლად, საქართველოს უშუალოდ დაუმეზობლდა მაჰმადიანური ოსმალეთი. ქართველთა ცდა – მოეწყოთ ევროპულ სახელმწიფოებთან კოალიცია თურქ-ოსმალების წინააღმდეგ, უშედეგო აღმოჩნდა. საქართველო საბოლოოდ მოსწყდა იმდროინდელ ქრიტიანული კულტურის მსოფლიოს. ამან უდიდესი გავლენა იქონია მის მთელ მომდევნო კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებაზე. ასეთ საგარეო ვითარებას დაერთო შინაპოლიტიკური და სოციალური გართულებანიც, სამეფო დაიშალა ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად.

XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების შემდეგ, გელათი იმერთა მეფეების საკუთრებად იქცა. იმერეთის მეფეებმა გელათი საკმაოდ დაკნინებული და დაზარალებული მიიღეს. ძველი მეფეების სამარხები მივიწყებული და ეკვდრები დაცარიელებული იყო.

ოსმალეთმა საქართველოს მიმართ დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებით XVI საუკუნის დამდეგიდან გამოამჟღავნა. ოსმალეთი დასალეთ საქართველოს რამ-

დენიმე მხრიდან უტევდა.

1510 წელს სამცხეზე გაელით ოსმალთა დიდი ჯარი სელიმის მეთაურობით დასავლეთ საქართველოს შემოესია. 23 ნოემბერს დამპყრობლებმა მოაოხრეს სოფლები და ქალაქი ქუთაისი, ცეცხლი წაუკიდეს გელათს და XI საუკუნეში აგებულ შესანიშნავ ბაგრატის ტაძარს.

იმერეთის მეფეს ბაგრატ (III) ალექსანდრეს ძეს (1510 – 1565 წწ.) ამ აოხრების გამო დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია გელათში. მონასტრის ნაგებობათა შორის აღდგენილ იქნა კარგა ხნის გაუქმებული წმ. გიორგის ეკლესია. ებოძა მას მრავალი ახალი მამული და ყმები. მას მოუხატვინებია ღვთისმშობლის და წმ. გიორგის ეკლესიების კედლები, გაუკეთებინებია ქვის კანკელი და სამკვეთლოს მაგიდა.

1527 წელს მეფეს განუახლებია მონასტრის ახლომდებარე მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე საფუძვლამდე ყოფილა დანგრეული (ამჟამად მისი ადგილმდებარეობა უცნობია). ყოველივე ამ საქმიანობათა გამო ძველი წყაროები ბაგრატს გელათის „მეორედ აღმშენებელს“ უწოდებენ. ბაგრატთან ერთად გელათს აშენებდნენ და ამშვენიერებდნენ მისი თანამედროვენი: გელათელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე. ეს პირები, როგორც გელათის მაშენებლები მოხსენებულნი არიან გელათის ტაძრების კედლის წარწერებსა და მხატერობაში, აგრეთვე ძველს საისტორიო წერილობით წყაროებში.

XVI საუკუნის 20-იან წლებში ამავე ბაგრატს დაუარსებია გელათში საეპისკოპოსო კათედრა. ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკებზე მრავლადაა წარმოდგენილი „გაენათელი“ (გელათელი) ეპისკოპოსები. ამ ტაძარშივე შემონახულია ეპისკოპოსთა საფლავების ქვები.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთიდან, ბიჭვინთიდან გელათში ინაცვლებს დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. კათალიკოსის აქეთ წამოსვლა გამოწვეული იყო ოსმალთა ხშირი შემოსევებით აფხაზეთში და ამ მხარის თანდათანობითი გამუსლიმანებით. მეფეებმა კათალიკოსს უბოძეს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ამიერიდან საკათალიკოსო ეკლესიად იწოდებოდა. საკათალიკოსოს მთელი მოძრავი ქონება (ხელნაწერი წიგნები, ხატები და სხვ.) ამის შედეგად გელათში იქნა გადმოტანილი. დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა“) ეკლესიის უმაღლესი მესაჭის გადმოსვლამ გელათში კიდევ უფრო გაზარდა გელათის პოლიტიკური მნიშვნელობა. კათალიკოსთან ერთდროულად გელათში ეპისკოპოსიც იმყოფებოდა (მისი კათედრა ღვთისმშობლის ეკლესია იყო).

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებს გელათის წმ. გიორგის ეკლესიასა და ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენში ასაფლავებდნენ.

მეფე გიორგი ბაგრატის ძეს (1565 – 1584 წწ.) და მის თანამედროვე გენათელ ეპისკოპოსს ანტონს (1565 – 1568 წწ.) მოუხატვინებიათ ღვთისმშობლის ტაძრის ერთი ნაწილი, მისი ჩრდილოეთი კარიბჭე, წმ. გიორგის ეკლესიის ნაწილი და სხვ.

XVII საუკუნის შუა წლებში, 1650 – 1651 წელს, იმერეთის მეფის კარზე დიპლომატიური მისიით მყოფ რუს ელჩებს ტოლჩანოვსა და იეველეეს ორჯერ მოუნახულებიათ გელათი და დაწერილებით აღუწერიათ თავიანთ დღიურებში. აღწერილობიდან ირკვევა, რომ მაშინ გელათს დაწინაურებული მდგომარეობა ჰქონია. საუცხოოდ მოწყობილ სადგომებში შეკვანილი ყოფილა წყაროს წყალი მილებით, ელჩებს უნახავთ აქ ძალზე მდიდარი სალ-

არო, წიგნთსაცავი, ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშები ხატების სახით და სხვ. რუსი სტუმრები საზეიმო სადილზეც მიუწვევიათ. აღსანიშნავია, რომ გელათში ელჩების ყოფნისას აქ აკადემია უკვე აღარ არსებობდა. აკადემიის ყოფილ შენობაში ბერების სატრაპეზო იყო მოწყობილი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში გელათი დაქვეითებულა, რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში ცენტრალური სამეფო ხელისუფლების დასუსტებით, გარეშე მტრის – ოსმალეთის ხშირი შემოსევით და სხვ.

XVIII საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობს გელათის განახლება,ძველი გაუქმებული ეკვდრები ახალ მეფეთა საძვალეებად გადაიქცნენ. ხდება ძველი დაკარგული ყმა-მამულების დაბრუნება, ახალი შეწირვანი და ა. შ.

1759 წლის 10 აგვისტოს გელათს ლეკები დასხმიან და ცეცხლი წაუკიდებიათ ტაძრისათვის.

იმერეთის მეფე სოლომონ I (1751 – 1784 წწ.) ენერგიულად ზრუნავდა გელათის მეურნეობის აღსადგენად.

იმერეთის უკანასკნელ მეფეს, სოლომონ II-სა (1784 – 1810 წწ.) და გელათის უკანასკნელ ეპისკოპოსს, ექვთიმეს აღუდგენიათ წმ. ნიკოლოზის გაუქმებული ეკლესია.

რუსეთთან იმერეთის შეერთების (1810 წ.) შემდეგ, გელათის მონასტერი ფეოდალური სენიორიიდან საეკლესიო შტატის დაწესებულებად იქცა. რუსი ეგზარხოსის – თეოფილაქტეს საეკლესიო რეფორმების ძალით, გელათის საეპისკოპოსო გაუქმდა და იმერეთის საეპისკოპოსოს შეუერთდა (1822 წ.).

* * *

მონასტერი შორიდანვე გამოირჩევა მთის კალთის მწვანე ტყიდან თავის ღია მოყავისფრო ნაგებობებით. შუაში აღმართული გუმბათიანი ტაძარი დანარჩენ ნაგებობათა ანსამბლში კომპოზიციის ხაზგასმულ აქცენტად არის წარმოდგენილი. მთავარი ტაძრის მაღლა აზიდულ მოცულობებს დანარჩენ შენობათა ფორმები, განსაკუთრებით კი მათი გუმბათების ვერტიკალები ამშვენებს. მთელი მონასტერი გალავნითაა მოზღუდული, რომლის შიგნით დგას სამი ეკლესია: ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის. საცხოვრებელი სახლები (ახალი დროისა), სამრეკლო, სასადილო-სატრაპეზო (ადრინდელი აკადემიის შენობა) და სხვა ნაგებობანი. ყველა ესენი ერთ მთლიან მხატვრულ ანსამბლს ქმნიან.

გელათის მონასტრის სოციალურ-ეკონომიური და სამეურნეო-კულტურული მდგომარეობა

ფეოდალურ საქართველოში მრავალი მონასტერი და საეპისკოპოსო არსებობდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსხვილ სამეურნეო-ფეოდალურ სენიორიებს წარმოადგენდნენ.

საეკლესიო სენიორია მიწათმფლობელობის მხრივ მსგავსი იყო საერო სენიორიისა. მაგრამ მას, რამდენადაც იგი საკულტო დაწესებულება იყო, თავისებური მიწათმფლობელობის ფორმებიც ახასიათებდა. თავისებური იყო საეკლესიო სენიორია შინაგანი ორგანიზაციული წყობითაც. მას, როგორც საკულტო კორპორაციას, განსხვავებული მიზანი, ცხოვრების წესი და რიგი ჰქონდა.

გელათის მონასტერი ერთ-ერთი მსხვილი სამეურნეო-ფეოდალური ორგანიზაცია იყო. მონასტერი ფლობდა მთლიან სოფლებს, ასეულობით კომლს, გაფანტულს სხვადასხვა სოფლებში, ვენახებს, საყანეებს, ტყეებს, წისქვილებს, საყაჭრო დუქნებსა და სხვ.

გელათის მთლიან სამფლობელო სოფლებიდან დავასახელებთ რამდენიმეს: დერჩი, საბანელა, კვახჭირი, ქორვალა, ნობარევი, ჩუნეში, საბუე, მუხაღრუა, კვაშხიეთი და სხვ. ცალკეული გლეხები ჰყავდა შემდეგ სოფლებში: თხილთაწაროს, ნოქალაქევს, ფარცმანაყანევს, ჩხარს, თერჯოლას, ჩერნათს, სორმონს, კურსებს, ლეყერთს, ჯვარისას, ელისუბანს, შაერას (რაჭა), მანდიკორს, ნაბოსლევს, ბოსლევს, სიმონეთს, პატრიკეთს, გეგუთს, უუნტუბოს, რიონს, ოკრიბას, ძევრს, ქ. ქუთაისს და სხვ.

სიმდიდრის მხრივ დამახასიათებელი ფაქტია, რომ

გელათს „დიდ მონასტერს“ უწოდებდნენ, რადგანაც საქართველოში იყო მცირე მონასტრებიც.

მონასტრისათვის მუშაობდნენ ყმა გლეხები, გაცხოველებული იყო ვაჭრობა-აღებმიცემობა და ამ გზით იგროვებდა ქონებას. საგრძნობი ნაწილი კი მას შემოწირულების სახითაც მისდიოდა.

შეწირულება მონასტრის ქონების გადიდებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მიწებისა და სხვა მსხვილი ფასუელობის შემწირველად მეფეები და დიდგვაროვანი ფეოდალები გვევლინებიან. გელათის მონასტრის სამეურნეო-ეკონომიური აღორძინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იგი მეფეთა საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. მეფეები, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან ახალ-ახალი მსხვილი შეწირულებებით და სამეურნეო ნაგებობებით ამდიდრებდნენ გელათს. ეკლესია ფეოდალურ საქართველოში, ისევე, როგორც ყველგან შუა საუკუნეების ქვეყნებში, მძლავრ ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა. მრავალრიცხოვანი მონასტრებით იგი თითქმის მთელი მიწების ერთ მესამედს ფლობდა. დავითს, გელათის დამაარსებელს, იმთავითვე საკმაოდ ფართო ღონისძიება ჩაუტარებია გელათის უზრუნველსაყოფად. ახლადაშენებული ღვთისმშობლის ტაძარი მეფეს შეუმკია საჭირო სამღვდელმსახურო იშვიათი ძვირფასი ნიეთებით. მისთვისვე შეუწირავს მეფეს სელჩუკებთან და არაბებთან ომში ნადავლად ნაშოვარი ქონება: ფიალები, სასმისები, „მანიაკი“, გვირგვინები და სხვ. გელათში დავითს დაუდევს აგრეთვე ოქახის საგვარეულო ნივთები: ძველ ქართველ მეფეთა ტახტები („საყდარი“), სასანთლეები, „საკიდელნი“ და სხვ.

სამონასტრო შტატის გამოსაკვებად დავითს მონასტრისათვის შეუწირავს საკმაოდ დიდი მამულები: „მამული ლიპარიტეთი“, რომელსაც, ძველი ისტორიკოსის

განმარტებით, მემკვიდრე პატრონი არ ჰყავდა, ამასთანავე, სხვა სოფლებიც და ა. შ. გელათის ამ მამულების სიდიდეზე წარმოდგენას ზემოაღნიშნული „ლიპარიტეთი“ გვაძლევს, რომელიც ლიპარიტის საკუთარ საგვარეულო მამულს გულისხმობდა (ვ. დონდუა). ლიპარიტი დავითის დროს კლდეკარის (თრიალეთი, კლდეკარი და მიმდგომი ქვეყანა) გამგებელი ერისთავი იყო ბაღვაშთა გვარიდან. ბაღვაშები (კლდეკარის ერისთავები) ეკონომიურ-პოლიტიკურად ცნობილი უძლიერესი ფეოდალები იყვნენ. ფეოდალური სეპარატიზმის გამო ისინი სისტემატურად ებრძოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დროიდან. საბოლოოდ მათი დამარცხება დავით აღმაშენებელმა შეძლო. მან ორგული ლიპარიტი საქართველოდან გააძევა და კლდეკარის საერისთავო მოსპო. მალე ლიპარიტის ერთადერთი მემკვიდრე რატიც, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, გარდაიცვალა, ხოლო უმემკვიდროდ დარჩენილი ლიპარიტის მამული იმდროინდელი წესის თანახმად მეფემ ჩაიბარა. აი, ეს მამული ებოძა გელათს „ლიპარიტეთის“ სახით. ადვილი წარმოსადგენია, რა რაოდენობისა უნდა ყოფილიყო ასეთი დიდი ფეოდალის ყოფილი მამული. ბაღვაშები კლდეკარში დასავლეთ საქართველოდან იყვნენ გადმოსული, მათი საგვარეულო მამულები ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ასე მაგ., კაცხი მათი საკუთხება იყო. დანარჩენი სამფლობელო პუნქტები დადგენილი არაა, რის გამოც ვერ დავასახელებთ, თუ გელათისადმი გადაცემულ ამ ყოფილ ლიპარიტეთში კონკრეტულად რა შედიოდა.

დღიდან დაარსებისა გელათის მემამულეობა თანდათან იზრდება. ამ მხრივ მომდევნო მეფეთაგან წყაროები აღნიშნავენ ბაგრატ III-ის, თამარის, დავით ნარინის და სხვათა ღვაწლს.

გელათის მაღალი ქონებრივი მდგომარეობა საუკუნეთა განმავლობაში შედარებით სტაბილური იყო, მაგრამ ამ მხრივ რამდენიმე ეტაპის გამოყოფა მაინც შეიძლება. XII-XIII საუკუნეებში გელათი მაღალი სამეურნეო-ეკონომიკური დონით ხასიათდება. შემდეგ: XV საუკუნეში ეკონომიკა დაქვეითებულია; XVI საუკუნის პირველ ნახევარში გელათში ტარდება გრანდიოზული აღდგენითი სამუშაოები იმერეთის მეფეების ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.), მისი შვილის გიორგის (1565-1584 წწ.), გენათელ ეპისკოპოსის მელქისედეკ საყვარელიძის და კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის თაოსნობით. როგორც ზემოთ ითქვა, დაცემა შედეგი იყო ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური დაქვეითებისა, ამას დაემატა 1510 წელს იმერეთში ოსმალთა ჯარის შემოსევა და ქუთაისის და გელათის მიდამოების მოოხრება: გელათის და ქუთაისის ეკლესიებს მტერმა ცეცხლი წაუკიდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც მოხდა გელათის საფუძვლიანი აღდგენა, XVII ს-ის პირველ ნახევარში, და შემდეგაც XVIII საუკუნეში, ცხოვრება ისევ აღორძინდა, მაგრამ პირველ მდგომარეობას (საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის პერიოდში რომ იყო) მაინც ვერ გაუსწორდა. მონასტრის ეკონომიური წინსვლისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა XVI საუკუნის 20-იან წლებში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას. გელათის შემოსავალი ამით საგრძნობლად იზრდებოდა, რადგან ამიერიდან გელათში თავს იყრიდა არა მარტო საყმო გადასახადები, არამედ საეპისკოპოსო-სამწყსო გამოსაღებებიც. გელათის მონასტრის მეურნეობაში წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება განვითარებული მევენახეობით. მარცვლეული კულტურებიდან პირველი ადგილი ეკავა ღომს, შემდეგ პურს და ქერს. მონასტერს ჰქონდა ღვინის დიდი შემოსაყალი, რაც

მოხმარების საჭიროებას აღემატებოდა. ზედმეტ ღვინოს მონასტერი ყიდდა. მეღვინეობის საქმის მომწესრიგებლად გელათის მონასტერს საგანგებო მოხელე ჰყავდა მეღვინეთუხუცესის სახით.

სამონასტრო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას,რაზედაც სანთლის ბეგრის არაჩვეულებრივი სიმრავლე მიუთითებს. თაფლისა და სანთლის შემოსაელის საგრძნობ ნაწილს მონასტერი ყიდდა. გელათის მონასტერს საკმარისი რაოდენობის ფულადი თანხა ჰქონდა უმთავრესად ვაჭრობა-აღებმიცემობის, შემოწირულობის ან ყმა გლეხთა საბეგრო ვალდებულების გზით შემოსული.

XII-XIV საუკუნეებში გელათი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა, რაც მას ძლიერ განასხვავებდა სხვა საფეოდალოებისაგან. ასეთ უპირატესობათაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1. გელათი გათავისუფლებული იყო ყოველგვარი საეპისკოპოსო და საკათალიკოსო გადასახადებისაგან. ჩვეულებრივი წესის თანახმად, ყველა მონასტერი, მიუხედავად იმისა, თუ ვის საკუთრებად ითვლებოდა, როგორც საკულტო-საეკლესიო დაწესებულება, მღვდელმსახურების სფეროში იერარქიულად უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას – უშუალოდ თავის ოლქის ეპისკოპოსს და შემდეგ სრულიად საქართველოს ეკლესიის გამგებელს-კათალიკოსს – ემორჩილებოდა. მონასტერი ვალდებული იყო მათ სასარგებლოდ სხვადასხვა სახის ე. წ. „სამწყსო“ (საეკლესიო) გამოსაღებებიც გადაეხადა: მღვდლები, რომლებიც საჭირონი იყვნენ მონასტერში მსახურებისათვის, ეპისკოპოსს უნდა ეკურთხებინა ხოლმე, ამაში მას ცალკე გადასახადი მიჰქონდა; ან, თუ ვინმე მონასტრის შტატისა გარდაიცვლებოდა, მისი „ნიშანი“ (გადასახადი მკვდარზე ტანსაცმელის ან იარაღის სახით) ეპისკოპოსს ერგებოდა და ა. შ. გელათი ამ საერ-

თო წესს არ ემორჩილებოდა: იგი არ იხდიდა არც ერთ „სამწყსო“ გადასახადს.

საეკლესიო-იერარქიული ხაზით გელათის მონასტერი დავით აღმაშენებლის დროს უშუალოდ კათალიკოსს ექვემდებარებოდა, ხოლო ეპისკოპოსს უფლება არ ჰქონდა შესულიყო მონასტერში; მღვდლებსაც უშუალოდ კათალიკოსი აკურთხებდა, რისთვისაც მონასტერი მას გადასახადს არ აძლევდა. ასეთი საგადასახადო შეუვალობა ხელს უწყობდა გელათის ეკონომიურ გაძლიერებას. იმ დროიდან კი, როცა თვით გელათში დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა (XVI ს.), ყოველგვარი იერარქიული-საკულტო საქმეები უშუალოდ გელათის ეპისკოპოსის ხელში გადავიდა, კათალიკოსს იქ უკვე აღარ ესაქმებოდა.

2. გელათი თავისი ყმების გასამართლების უფლებითაც იყო აღჭურვილი. სასამართლო შეუვალობა საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ რამდენიმე სამეფო მონასტერი, მათ შორის გელათი და შიომღვიმე. საერთო წესის მიხედვით დამნაშავეს ან სამეფო, ანდა საკათალიკოსო უწყება ასამართლებდა ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ სასამართლო შეუვალობა გელათმა პირველად დავით მეფისაგან მიიღო XII ს-ში და შეინარჩუნა თითქმის ბოლომდე, XVIII საუკუნის დასასრულამდე.

მეტად საინტერესო გარემოებაა, რომ გელათს სასამართლოს წარმოების საკუთარი წესდება ჰქონია შემუშავებული. ეს წესდება ჩაწერილი ყოფილა საგანგებო კრებულში, რომელსაც წყაროები „გელათის იადგარს“, ზოგჯერ „დიდი საყდრის დავთარს“ ან „გელათის გუჯარს“ უწოდებენ. თუმცა ეს ძეგლი ჯერჯერობით მეცნიერებისათვის უცნობია, მაგრამ სხვადასხვა საბუთში ნაწყვეტებად მოღწეული ცნობები მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა გელათის სასამართლოს შესახებ.

გელათის სასამართლო აპარატში მოსამართლე-მსაჯულებად გამოყოფილი იყვნენ გელათელი ბერები. ამ სასამართლოში ირჩეოდა ყოველგვარი სახის „უპატიობა“-დანაშაული: მკვლელობის, ქურდობის, „სჯულისა“ და სხვ. ასე მაგ., არასრული ცნობების მიხედვით „გელათის იადგარი“ (XVI ს.) ითვალისწინებდა შემდეგ დანაშაულობებს: სახლში მიხტომას, ჯოგის გარეკვას, გრძნეულებაში ცილის დაწამებას, ცოლის დატოვებას ქმრისაგან, „უომარი ყრმაწვილის შეგინებას“, უსამართლოდ მეფის კარზე დასმენას, მოკვლას, დადაღვას, ეკლესიის გატეხვას.

გელათის სასამართლო არჩევდა სადავო საქმეებს, მომხდარს არა მხოლოდ გელათის ქვეშევრდომ ყმათა შორის, არამედ იგი წყვეტდა დავას იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე მხარე სხვა ფეოდალს ეკუთვნოდა, ანუ სხვა სასამართლო უწყებაში შედიოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევისას შიომღვიმის სამეფო მონასტერში, როგორც ვიცით, შერეული შემადგენლობის სასამართლო გამოდიოდა და ა. შ.

სასჯელის ფორმად გელათის მონასტრის სასამართლოშიც ჩვეულებრივად ქონებრივი საზღაური იყო მიღებული, რასაც „სამართალი“ ეწოდებოდა. მკვლელობის დაჭრილობის ან სხვა დაზარალების გამო „სისხლის“ საურავის რაოდენობა დაზარალებულის წოდებრივ კუთვნილებაზე იყო დამოკიდებული. უბრალო გლეხის სისხლი უფრო ნაკლებად ფასობდა, ვიდრე აზნაურისა და ა. შ. ამის მიხედვით იხდიდა დამნაშავე „სისხლს“. თუ რა რაოდენობის იყო სისხლის საზღაური გელათის სასამართლოში, ცნობების უქონლობის გამო, არ ვიცით.

ისეთ მძიმე დანაშაულს, რომელიც სიკვდილით სასჯელს გულისხმობდა, საერთოდ მონასტრის სასამართლო არ არჩევდა. სიკვდილით დასჯა მხოლოდ სამეფო სა-

სამართლოს უფლებას შეადგენდა საქართველოში.

ზნეობრივი ან სარწმუნოებრივ-საეკლესიო დანაშაულის დროს (მრუშობა, მარხვის გატეხვა, გრძნეულება და სხვ.) დამნაშავეს საეკლესიო სასჯელი – „საკანონო“ ედებოდა. მსჯავრდებულს უკრძალებოდა რამდენიმე ხნით (ან იშვიათად სამუდამოდ) საეკლესიო-საქრისტიანო წესის შესრულება: წირვა-ლოცვაზე დასწრება, ზიარების მიღება, ერთმეოდა უფლება ეკლესიის გალავანში დამარხვისა და სხვ. უფრო გვიან საუკუნეებში „საკანონოს“ მატერიალური სახის ჯარიმა ცვლიდა.

სასამართლოს შეუვალობა, რომლითაც გელათი სარგებლობდა, სოციალური შინაარსის მატარებელი მოვლენაა. ეს თვისება კარგად გამოხატავს მონასტრის ფეოდალურ ბუნებას, ახასიათებს მონასტერს, როგორც დამოუკიდებელ თავისებურ სენიორიას. სასამართლოს შემოსავალი მონასტრის სასარგებლოდ მიდიოდა. ეს გარემოება საგრძნობლად უწყობდა ხელს გელათის მატერიალურ წინსვლას, მით უფრო, რომ ასეთი პრივილეგია საყოველთაო არ ყოფილა.

3. მართვა-გამგეობის მხრივ გელათის მონასტერი პატრონის, მეფის, უმაღლეს უმაღლეს ხელისუფლებას აღიარებდა. სხვა მხრივ მას დამოუკიდებელი, ავტონომიური, მმართველობა ჰქონდა. საქართველოში ყოველგვარ საეკლესიო საქმეებს (მონასტრები, ეკლესიები, საეპისკოპოსოები) სახელმწიფოს პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და მისი უწყება განაგებდა. გელათის მონასტერი კი ამ უწყებისგან განთავისუფლებული იყო, რაც საგანგებოდ არის კიდეც შეტანილი მოქმედ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

მეფეს თავისი უშუალო წარმომადგენელი ჰყავდა მონასტერში. დაეით აღმაშენებლის დროს ასეთად მეფის პირადი მოძღვარი – არსენ ბერი იყო. ამისთვის ჩაუ-

ბარებია დავითს გელათის სამეურნეო და სასულიერო საქმეების მოგვარება. ეს არსენი თვალსაჩინო პიროვნებაა: იგი არის 1103 რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის ავტორი“, დავითის ისტორიის შემდგენელი, დავით აღმაშენებლის მესაიდუმლე. მას ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე მეორე სამეფო მონასტრის, შიომღვიმის, აშენებაში და სხვ..

არსებული საბუთები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ XIII-XVI საუკუნეებში მეფის წარმომადგენლად მონასტერში მოძღვართ-მოძღვარია, რომელსაც უფლებრივ-იერარქიულადაც პირველი ადგილი უჭირავს გელათის კორპორაციაში. მოძღვართ-მოძღვრის თანამდებობის გაუქმების შემდეგ XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან მეფის რწმუნებულად გენათელი ეპისკოპოსი გვეელინება და ასე გრძელდება ბოლომდე.

გელათის ორგანიზაციული წყობა რთული და თავისებურია საქართველოში არსებულ სახვა მცირე მონასტრებთან შედარებით. გელათში მთავარი, დიდი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის გარდა მრავალი წვრილი ეკლესია-ეკვდერი არსებობდა, რომლებიც მეფეთა ცალკეულ საძვალეებს წარმოადგენენ. ისინი უმთავრესად მთავარი ტაძრის მინაშენი ან იქვე, მონასტრის გალავანში მყოფი ცალკე ეკლესიებია (აღწერილობა მოცემულია ზემოთ). ღვთისმშობლის ეკლესიაში დღესდღეობით ასეთი ექვსი სამწირველო-ეკვდერია: „მთავარანგელოზის“, „მაცხოვრისა“, და „მარინესი“, სამი დანარჩენის სახელწოდება უცნობია. ცალკე დგას წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგის ეკლესიები.

თითოეული ეს ეკვდერი-საძვალე იმთავითვე ცალკე ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულს შეადგენდა „სამწირველოს“ სახით. თითოეულს საკუთარი უფროსი („მწირველი“) ჰყავდა, რომლებიც საფლავს უვლიდნენ და საჭირო

სამეურნეო საქმეებს აწესრიგებდნენ. XII-XV საუკუნეებში ამ ეკვდერ-სამწირველოთა კავშირი ყველა ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში შედარებით მჭიდრო იყო. მათ ერთი საერთო უფროსი (წინამძღვარი),საერთო ქონება და საზოგადო ცხოვრება ჰქონდათ. XV საუკუნიდან კი ეს მთლიანობა ფორმალურ ხასიათს იღებს და ფაქტიურად ეკვდრები სრულ დამოუკიდებელ ერთეულებად იქცევიან. ეკვდერის უფროსსაც ახლა უკვე „წინამძღვარი“ ეწოდება ე. ი. იგივე სახელწოდება, რომელსაც სენიორიის საერთო ხელმძღვანელი ატარებდა წინათ. ეკვდრებს ახლა „საწინამძღვრო“ ეწოდება ნაცვლად „სამწირველოსი“, და, ამრიგად, გელათში იმდენი წინამძღვარი ზის, რამდენიც ეკლესია-ეკვდერი არსებობს და ა. შ. საჭიროა შევნიშნოთ, რომ გელათის მონასტერს მთლიანი სენიორიის სახე, რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს, მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალური მდგომარეობა. „საწინამძღვროების“ წარმოშობამ მონასტერში გამოიწვია სენიორიის მკვეთრი დაშლა რამდენიმე დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულად.

ამგვარი ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც მცირეოდენი განსხვავებით გაიარა საქართველოში საერთოდ ყველა მსხვილმა საეკლესიო სენიორიამ,გარეგნული გამოხატულება იყო იმ შინაგანი ცვლილებისა,რაც საერთოდ ფეოდალურ მიწათმფლობელობაში მოხდა აღებულ ეტაპზე. ქვეყნის სწრაფი ფეოდალური დაშლილობა ამ დროს საყოველთაო მოვლენაა. „საწინამძღვროს“ დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი იყო მიწის მფლობელობის წესი, რაც იმაში გამოიხატა, რომ „საწინამძღვრო“ მიწის ცალკე ფეოდალურ მესაკუთრედ იქცა. იგი სენიორიის საერთო მიწათმფლობელობას გამოეყო (დამოკიდებული დარჩა მხოლოდ პატრონთან, ვისაც ეკვდერი ეკუთვნოდა).

ყოველგვარ ადმინისტრაციულ და სამეურნეო-საკულტო საქმეების უმაღლესი მესაჭე შინ და გარეთ გარკვეულ

პერიოდში მოძღვართ-მოძღვარია, შემდეგ მას გუნათელი ეპისკოპოსი ცვლის (XVI საუკუნიდან). მეორე პირი მონასტერში „წინამძღვარია“, რომელიც მოძღვართ-მოძღვრის ან ეპისკოპოსის თანაშემწედ გამოდის.

სამეურნეო და ღვთისმსახურების დარგში გელათს ჰყავდა სხვადასხვა ხელქვეითი მოხელეები. მღვდელმსახურების საქმეში: დეკანოზი, კანდელაკი, მღვდლები, დიაკვნები, მგალობლები. კელარი, ომოფორის მოლარე, ჯვარის მტვირთველი და სხვ. ამასთანავე, როგორც ითქვა, თითოეული ეკვდრის მსახურების საქმეებს სამეურნეოსთან ერთად, „მწირველები“ (შემდეგში „წინამძღვრები“) განაგებდნენ. „მწირველთა“ საერთო უფროსად წინამძღვარი ითვლებოდა, რომელიც გარკვეულ დრომდე (სენიორიის დაშლამდე) ერთი იყო გელათში. შემდეგში, როცა რამდენიმე წინამძღვარი გაჩნდა, საერთო უფროსად ჯერ მოძღვართ-მოძღვარი, შემდეგში კი ეპისკოპოსი გამოდის. უმაღლესი თანამდებობის პირებს, მოძღვართ-მოძღვარს, ეპისკოპოსს, წინამძღვარს, მეფე ნიშნავდა.

სამეურნეო დარგის მოხელეებად გელათში უმეტესად საერო პირები იყვნენ მიწვეულნი. ამათ შორის საყურადღებოა მეღვინეთუხუცესის არსებობა. სამონასტრო მამულების ადგილობრივ მართვა მოურავებს ევალებოდათ. მეტად თავისებური გარემოებაა, რომ მონაზვნები ფართოდ არიან ჩაბმული მანასტრის სამურნეო-სახორციელო საქმიანობაში. ასე მაგ., მონაზონი დეკანოზი თუ კადელაკი საქმიანობს არა მხოლოდ მღვდელმსახურების სფეროში, არამედ მონასტრის კედლებს გარეთ, იგი სოფლის საადგილმამულო საქმეებსაც განაგებს.

შევეხოთ სამონასტრო კორპორაციის წავრთა ყოფაცხოვრებასაც, სადაც რელიეფურად ჩანს მონასტრის ფეოდალური ბუნება.

ყოველდღიური ცხოვრება მონასტერში, როგორც სამ-

ღვდელმსახურო, ისე სამეურნეო, რეგლამენტირებული იყო გარკვეული შინაგანაწესით, რომლის დაცვა ყოველი „ძმის“ (ბერის) ვალდებულებას შეადგენდა. წესდების შინაარსი დროდადრო იცვლებოდა მონასტრის სამეურნეო-სოციალური განვითარების შესაბამისად. საერთოდ, საქართველოში ყოველ მონასტერს ცალკე საკუთარი წესდება (ტიბიკონი) ჰქონდა, რომლებიც ზოგადად ერთნაირი იყო. ტიბიკონს მონასტრის პირველი დამაარსებელი, ან პატრონი, ადგენდა. თუმცა კი გელათის ტიბიკონს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ არაპირდაპირი ცნობები მოწმობენ, რომ გელათს თვით დავით აღმაშენებლისაგან შედგენილი წესდება ჰქონია. წესდებაში განსაზღვრული იყო ბერ-მონაზონთა კვების, ჩაცმის, ლოცვის, მეურნეობის მართვის, შემოსავლის განაწილებისა და სხვა ნორმები.

სამონაზვნო ცხოვრება გელათში დაარსებისთანავე ატარებდა მკვეთრ ფეოდალურ-კლასობრივ ხასიათს. აქ უკვე ოდნავადაც აღარ შეიმჩნეოდა სამონაზვნო ასკეტიზმი და ძმათა შორის თანასწორუფლებიანობა, რაც ჯერ კიდევ ერთგვარად დამახასიათებელი თვისება იყო საქართველოს მონასტრებში მათი წარმოშობის პირველ ხანებში, V-VI საუკუნეებში. გელათის მონასტრის დაარსებისას, XII ს-ში, სამონასტრო ცხოვრებას ეს პერიოდი უკვე კარგა ხნის გაელილი ჰქონდა და მონასტერი ეპოქის შესაფერისად სრულყოფილ ფეოდალურ ორგანიზაციად იყო გაფორმებული: გელათის მონასტერში მონაზონი-ბერი თავისუფალი იყო ყოველგვარი სამეურნეო-ფიზიკური შრომისაგან, მას მზამზარეულად ეძლეოდა თანამდებობის მიხედვით საკვები, ჩასაცმელი და ა. შ. მონაზვნის ერთადერთ მოვალეობას შეადგენდა წირვა-ლოცვა შემომწირველთა „სულის საცხოვნებლად“. ზოგ მათგანი წირვა-ლოცვის გარდა ფართო შემოქმედებით და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა.

კორპორაციის წევრებს საერთო სამონასტრო სარჩო ჰქონდათ (მამული, ყმები და სხვ.). მათ ამავე დროს პირადი საკუთრებაც გააჩნდათ ფულის, ნივთეულობის და ზოგჯერ ყმა-მამულის სახითაც. მონასტერში იყენენ მეტნაკლებად შეძლებული ბერები. ასე მაგალითად, გელათის დეკანოზებს, წინამძღვრებს ან ეპისკოპოსებს თაყიანთ პირადი ქონებით შეეძლოთ მთელი სოფელი ეყიდათ, ხიდები აეშენებიათ და სხვ. ძმობაში შექმნილი სოციალური დანაწილება დაკანონებულია ამ დროის სამონასტრო ტიბიკონითაც. პრივილეგირებული ჯგუფი, ე. წ. უფროსი ძმები, „უთავადესი ძმები", ცალკე არიან გამოყოფილი. მათ ქონებრივ შეძლებულობასთან ერთად, რაიმე მაღალი თანამდებობა (წინამძღვრობა, მწირველობა, დეკანოზობა და სხვ.) ეკავათ და უფლებამოსილნი იყვნენ, ჩასაცმელ-საკვების მეტი ნორმა ეძლეოდათ. „უმცროსი ძმები" ყოველივე ამას შედარებით მოკლებულნი იყვნენ. მათ უუფლებობას მიუთითებს ისიც, რომ გელათის საბუთებში ისინი თითქმის სრულებით არ იხსენიებიან, როგორც კორპორაციის წევრნი.

გელათის მონასტერი, ჩვეულებრივ, როგორც ფეოდალური მებატონე, გლეხების შრომით ცხოვრობდა. წარმოების საშუალება – მიწა, რომელზეც მონასტრის ყმა გლეხი იჯდა და მეურნეობას ეწეოდა, მონასტრის საკუთრებას შეადგენდა. ყმა მიჯაჭვული იყო ფეოდალის ამ მიწაზე. თუ იგი მიწას თავის ნებით დატოვებდა, ბატონს უფლება ჰქონდა ეძებნა ყმა მთელი 30 წლის განმავლობაში და უკან მიეყვანა. მონასტრის ყმა ვალდებული იყო გარკვეული რაოდენობისა და სახის გადასახადი ეძლია მონასტრისათვის. გადასახადი ძირითადად ნატურალური სახის იყო. გელათის ყმებს ედვათ აგრეთვე ფულადი გადასახადიც, განსაკუთრებით უფრო ფართოდ XVIII საუკუნეში.

ნატურალურ გამოსაღებებს შორის გელათის ყმებში

ფართოდ ეხედებით: ღომს, ქერს, ღვინოს, ტკბილს (ღვინისა), ქათამს, კვერცხს, მარილს, ცხვარს, ღორს, ცვილს (სანთელს); გადასახადებში არის აგრეთვე მკედი სელისა (სანთლის გულად), საკმეველი, ყველი, თივა, საბელი, ბამბის ნასთი, სანთელი ბამბის ნასთზე ჩამოსხმული, ტილო, აბრეშუმი და სხვ. (შედარებით იშვიათად პური, თევზი).

ყმები ვალდებული იყვნენ სხვადასხვა სახის სამსახური და მუშაობა გაეწიათ მონასტრის სასარგებლოდ. ასე მაგ., გლეხები ვალდებული იყვნენ რელიგიურ დღესასწაულებში. „ძღვენი“ მოეტანათ მონასტერში ე. წ. „საყველიერო“, „სააღდგომო“ და ა. შ., ყმები ვალდებული იყვნენ წელიწადის ერთ რომელიმე დღეს შესაფერისად გამასპინძლებოდნენ მონასტერში ან სოფლად, წინამძღვარს და სხვა რომელიმე სამონასტრო მოხელეს. საამისოდ გლეხებს ედვათ „სამასპინძლო“, “პურის ჭამა“, „სასტუმრო“ და ა. შ.

ყმები ვალდებული იყვნენ ცხენით ან სხვა ტრანსპორტით მომსახურებოდნენ გელათის მონასტრის წინამძღვარს, ეპისკოპოსს და ა. შ.

შრომით ვალდებულებებს შორის გვხვდება: „ჭურის რეცხვა“, „ყანის მუშაობა“ ან საერთოდ „მუშაობა“. რაც კონკრეტულად წინასწარ განსაზღვრული არ იყო და გულისხმობდა მონასტრის მიმდინარე საჭიროებისდა მიხედვით ყმის შრომას. მონასტრის ყმა ვალდებული იყო კვირაში რამდენიმე დღე მონასტრის ხოდაბუნებში (ვენახები და ყანები, რომლებიც ყმა გლეხებზე არ იყო გაცემული) ემუშავათ. საერთოდ, საბატონყმო ვალდებულებებით სამონასტრო ყმები არ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი საერო საბატონო ყმებისაგან.

მონასტრის ყმებში ერიცნენ ე. წ. „მეაღაპე“ გლეხებიც, რომელთა ყმური ვალდებულებანი მხოლოდ გარეგნული სახით იყო თავისებური: შეწირულება უსასყიდლო

„საჩუქარს“ არ წარმოადგენდა, იგი გარკვეული პირობით ეძლეოდა მონასტერს. მონასტერი, როგორც შეწირულების მიმღები ორგანიზაცია, ვალდებული იყო შემომწირველის „სული ღვთისათვის შეევედრებინა“. მონასტერი წელიწადის გარკვეულ დღეს შემომწირველის სულის მოსახსენებლად აღაპს (საზოგადო პურის ჭამა) იხდიდა, წირვა-ლოცვას ატარებდა მის სახელზე და ა. შ. აღაპისათვის საჭირო პურ-ღვინის მიტანა მონასტერში და მისი ყოველგვარი ხარჯი სწორედ ამ მეაღაპე გლეხებს ჰქონდათ შეწერილი, სამაგიეროდ ისინი სხვა სამონასტრო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებული იყვნენ. მეაღაპე გლეხებს საგანგებოდ მფარველობდნენ შემომწირველები, რათა მეაღაპე გლეხი არ შევიწროებულიყო.. ამგვარად, ამ კატეგორიის გლეხები შედარებით შეღავათიან პირობებში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო. წარმოშობის მიხედვით მეაღაპე ყმების უმრავლესობა შეწირულები იყვნენ. მიუხედავად ასეთი პრივილეგიებისა, ეკლესიისთვის შეწირული მეურნე ყმაგლეხი შეიძლება იმ ზომამდე მისულიყო, რომ თავისი სახლკარი დაეტოვებია და გადაკარგულიყო. ამის მაგალითები გელათის მონასტერშიც იყო.

საერთო წესის მიხედვით ყოველ ყმას, თავის საბატონო ვალდებულებების გარდა, საერთო სახელმწიფო ვალდებულებანიც ჰქონდა დაკისრებული გარკვეული გამოსაღებებისა და სამხედრო სამსახურის სახით. გელათის მონასტრის ყმები გათავისუფლებული იყვნენ სამეფო გადასახადებისაგან. ასეთი საგადასახადო შეუვალობა ხელს უწყობდა მონასტრის ეკონომიურ გაძლიერებას, რადგან ყმის შემოსავალი მხოლოდ მონასტრის განკარგულებაში რჩებოდა და მას სხვა მონაწილე არ ჰყავდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამგვარი უპირატესობა ყველა მონასტერს არ ჰქონია საქართველოში. ამის ფაქტები არა

ერთია გელათის მონასტერში. თვით კორპორაციას, ძმობას,არავითარი გადასახადი არ მართებდა მეფე-პატრონის მიმართ, ერთი ძღვენის გარდა, რომელსაც „გელათურ ძღვენს“ უწოდებდნენ. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის პერიოდში მეფეებს წესად ჰქონიათ შემოღებული „ქრისტეშობის“ რელიგიური დღესასწაული დასაველეთ საქართველოში გადაეხადათ, საფიქრებელია, გელათში. სწორედ ამ „საქრისტეშობოდ“ მიმავალ მეფისათვის ძღვენი უნდა მიეგებებიათ გელათიდან: „საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი“. ამ ძღვენს, რასაკვირველია, იმდენად ეკონომიური მნიშვნელობა არ ჰქონია მეფისათვის, რამდენადაც იმის სიმბოლური გამოხატულება იყო, რომ მონასტრის უზენაეს მფლობელად მეფე ითელებოდა. ძღვენის ვალდებულება საერთოდ სხვა სამეფო მონასტრებსაც ედვათ. ამასთან ერთად, სამეფო მონასტრის ბერები სასახლეშიც უნდა მისულიყვნენ და იქ სათანადო სასულიერო მომსახურება გაეწიათ მეფისათვის (მაგ.,ლოცვების წაკითხვა, გალობა რელიგიურ დღესასწაულებში და სხვ.). სამაგიეროდ, მეფის სასახლეში სამეფო ბერებს საპატიო ადგილი ეჭირათ. ისინი მონაწილეობდნენ საზეიმო ტრაპეზში, პურის ჭამაში და მიღებული ცერემონიალის მიხედვით სუფრასთან მეფის ახლოს, საპატიო ადგილს ისხდნენ. მაგალითად, მეფის მარცხნივ პირველები გელათელები ისხდნენ, მომდევნოდ გარეჯელი ბერები და ა. შ. მოძღვართ-მოძღვარი წელიწადის გარკვეულ დროს თაყის მოწაფეებით სამეფო სასახლეში მიდიოდა (თუ როგორ უხვდებოდნენ მას იქ), ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). გელათელი ეპისკოპოსების უმრავლესობა მეფის პირადი მოძღვრის მოვალეობას ასრულებდა და სხვ.

რაც შეეხება სახელმწიფო სამხედრო სამსახურს „ლაშქარ-ნადირობას“, ეს ისეთი საყოველთაო მოვალეო-

ბა იყო, რომ იშვიათად თუ ვინმეს გაათავისუფლებდნენ, გელათის მონასტრის ყმათაგან მხოლოდ ერთეულები იყვნენ თავისუფალი. ასეთი გლეხები უმთავრესად სააღაპოდ შეწირული ყმები იყვნენ. თვითონ ბერებს, როგორც „წმინდა, ღვთის კაცებს“, საეკლესიო კანონის თანახმად, სამხედრო სამსახური არ ეხებოდათ. სამეფოს სამხედრო ინტერესებისათვის ეს გარემოება საზიანო იყო, რადგან ბერ-მონაზონთა სახით სახელმწიფოს ათასობით აკლდებოდა მეომარი ძალა. ამასთანავე მოსახლეობის ფიზიკურ გამრავლებაზეც უარყოფით გავლენას ახდენდნენ მონაზვნები, რადგან ისინი სამონაზვნო აღთქმის მიხედვით უქორწინონი იყვნენ.

საგადასახადო შეუვალობანი, დაწინაურებული ეკონომიური მდგომარეობა, მონასტერს საშუალებას აძლევდა დაეგროვებია უამრავი ქონება. ამიტომაც იყო, რომ ქვეყნის საერთო ეკონომიური კრიზისების დროს ეკლესია-მონასტრებს შედარებით არ უჭირდათ. ჩვენ ვხედავთ, რომ მონასტრები ინტენსიურად და ფართოდ აწარმოებდნენ გაპარტახებული ადგილების მოშენებას, სასახლეების, ხიდების, ეკლესიების მშენებლობას, დავალიანებული ყმების გამოსყიდვას. ამ მხრივ გელათის სენიორიაში გამოირჩევა გენათელი ეპისკოპოსების საქარია ქვარიანისა და გედეონ ლორთქიფანიძის საქმიანობა.

განსაკუთრებით მწვავდებოდა ბრძოლა ეკონომიური კრიზისების დროს. მონასტრებს მიწებს ეცილებოდნენ წარჩინებული საერო წოდების წარმომადგენლები,რომელთაც დაცემული ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სურდათ უკან წაელოთ ძველად შეწირული მამულები. რასაკვირველია, მონასტერი საკუთარი ინტერესებს იცავდა და ნებით არავის ანებებდა მიწებს.

გელათის სამონასტრო კომპლექსი
ღვთისმშობლის დიდი ტაძარი

მონასტრის შუა ადგილას აღმართულია ღვთისმშობლის დიდი ტაძარი (სიგრძე – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 29,20 მ, სიგანე – 20,20 მ, სიმაღლე –გუმბათის მწვერვალამდე 36,39 მ), აგებული მეფე დავით აღმაშენებლის მიერ 1106 – 1125 წლებში. ტაძარი დღემდე უცვლელად არის მოღწეული. მისი ჩრდილეთისა და სამხრეთის მინაშენები მომდევნო ახლო ხანას ეკუთვნიან, ხოლო დასავლეთისა – შეიძლება მთავარი ტაძრის თანამედროვეც იყოს.

ტაძარი შემოსილია გათლილი ქვის ფილებით, მნახველის ყურადღებას იქცევს ფილათა არაჩვეულებრივი სიდიდე. გვხვდება 4 მეტრი სიგრძის ქვებიც.

გელათის ღვთისმშობლის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა და ითვლება შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშად.

შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურამ თავის განვითარების პერიოდებში, ოშკისა (958-966 წწ.), კუმურდოს (964 წ.), ხახულის (1002 წ.), ქუთაისის კათედრალის (1003 წ.), მცხეთის სვეტიცხოველის (1029 წ.), ალავერდის (X ს. მეორე ნახევარი) და სხვათა სახით, შექმნა მონუმენტური სტილის კლასიკური ძეგლები, არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით მსოფლიო მნიშვნელობისა. ამ პერიოდის ძეგლებს მრავალი საერთო ნიშანი ახასიათებს: ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა. მთავარი ყურადღება ექცევა ტაძრის სივრცეს. ზომების გადიდებით არქიტექტორი ცდილობს შექმნას გრანდიოზულობის შთაბეჭდილება. საგრძნობლად შემცირებულია გუმბათის

ყელის დიამეტრი, სიმაღლე კი გადიდებულია. ტრომპები კოვზისებურია. გუმბათის ცენტრშია და დასავლეთი მკლავი ჯვრისა წაგრძელებულია, რაც შენობას დაგრძელებულ ფორმას აძლევს. მთავარ ამოცანად დგას შენობის გარეთა გაფორმება. შენობის გარეთა კედლები უფრო მდიდრულადაა შემკობილი. შიგნითა მოხატულობაც ახლა უკვე მხოლოდ საკურთხეველის მოზაიკით არ ამოიწურება, არამედ სავალდებულოა კედლის მთლიანად მოხატვა და სხვ.

ამავე შუა საუკუნეების მომწიფებული სტილის არქიტექტურას აქვს ქრონოლოგიურად მომდევნო ქვესაფეხური: ბედია (X საუკუნის დასასრული ან XI საუკუნის დასაწყისი), სამთავისი (1030 წ.), გელათი (1106–1125 წწ.), იკორთა (1172 წ.), კაბენი (XIII ს.) და სხვ. აქ ის კერძო ცვლილებებია, რომ ტაძრის სიგრძე კლებულობს. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მცირდება ჯვრის მკლავი და ამდენად, XI–XII საუკუნეებში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში, გეგმა კვადრატს უახლოვდება.

ამ საერთო თვისებების მატარებელია გელათია ღვთისმშობლის ტაძარიც.

ტაძრის ჯვრის მკლავები სწორკუთხოვანია და დასავლეთისაკენ წაგრძელებული. გუმბათის ყელი ოთხ საყრდენზეა აღმართული და თექვსმეტი სარკმელი აქვს. გელათის ტაძარი თავისი დროის ძეგლებთან შედარებით კერძო თავისებურებებსაც იძენს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთის ფასადზე გამოწეული სამი აფსიდა. ტაძარი უხვადაა შემკული არქიტექტურული დეკორით, მაგრამ მას არ გააჩნია ტრადიციული მოჩუქურთმება და სადადაა დარჩენილი, რითაც ტაძარი გამოირჩევა მისი ჯგუფის სხვა ძეგლებისაგან (სამთავისი – 1030 წ., იკორთა – 1172 წ. და სხვ.). იმის გამო, რომ თითო-ოროლა დეტალი ჩუქურთმითაა შემკული (მაგ., აღმოსავლეთი ფა-

სადის როზეტი, ცალკე კრონშტეინი), აღნიშნული ტაძარი ამ მხრივ დამთავრებული არ ყოფილა. განსრახული ორნამენტული გაფორმება მან ვერ მიიღო.

ღვთისმშობლის ტაძრის დღევანდელი შიგნითა მოხატულობა და წარწერები XVI–XVII საუკუნეებს მიეკუთვნება. შემორჩენილია ძველიც, XIV საუკუნის მხატვრობა. საკურთხევლის აფსიდის კონქში მოზაიკური მხატვრობაა, რომელიც შესრულებულია 1125–1130 წლებში.

კედლის მხატვრობაში ისტორიულ პერსონაჟთა გარდა, ძირითადად წარმოდგენილია „წმინდანები“ და სახარების სიუჟეტებზე აგებული სხვადასხვა კომპოზიცია. თითოეულ სურათს ახლავს შინაარსის აღმნიშვნელი წარწერა ქართულად (ასომთაერული დამწერლობით), ზოგჯერ – ბერძნულად.

საკურთხევლის აფსიდის კონქის შემკობა მოზაიკით ქართულ ხელოვნებაში ჯერ კიდევ ძველი მოვლენაა (მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი და წრომი, VII ს.).

მოზაიკის თავზე იკითხება გრძელი საღვთისმეტყველო შინაარსის ქართული წარწერა.

საკურთხევლის მოზაიკა შესრულებულია დავით აღმაშენებლის ანდერძით, მისი შვილის, დემეტრე მეფის დაკვეთით, 1125–1130 წლებში.

გელათის მოზაიკა თავისი მაღალი მხატვრული ღირებულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარებაში, არამედ იმ დროის მსოფლიო ხელოვნებაშიც (გელათის მოზაიკა ერცლადაა შესწავლილი სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში).

კონქის ცენტრში მოზაიკით ოქროსფერ ფონზე წარმოდგენილია მდგომარე ღვთისმშობელი ყრმა იესო ქრისტეთი ხელში. აქეთ-იქით მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი და ვინაობის აღმნიშვნელი ბერძნული

წარწერები მოზაიკითვე არის შესრულებული. მოზაიკა საერთოდ კარგად არის მოღწეული, მაგრამ მოზაიკის მხატვრობის ქვედა ნაწილი ჩამოცვენილია, რომელიც XVI საუკუნეში ფრესკით შეუვსიათ. ფრესკაში, ბათქაშის ქვეშ, ალაგ-ალაგ მოჩანს მოზაიკის ნარჩენები.

ღვთისმშობლის ფიგურა ყრმა იესოთი, რომელსაც მთელ კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ოდნავ მობრუნებულია მარჯვნივ და ერთგვარად ბუნებრივი მოძრაობით ხასიათდება. აქ პირველადაა დარღვეული ტრადიციული საზეიმო მონუმენტალობა და მოზაიკის მხატვრობაში დინამიკაა მიღწეული. დინამიკურობას კიდევ ისიც აძლიერებს, რომ ღვთისმშობელი მუქ-ლურჯი ტანსაცმლითაა წარმოდგენილი, ხოლო ყრმა იესო ქრისტე – ღია ფერის მოელვარე ტანსაცმლით. ფერების ასეთი შეხამება ოქროსფერ ფონზე ხელს უწყობს ღვთისმშობლის ფიგურის რელიეფურად გამოყოფას და მასზე აქცენტირებას. გვერდით მდგომარე მთავარანგელოზები შემოსილნი არიან მდიდრული ტანსაცმლით, ხოლო მათი პოზა საზეიმოა და მშვიდი. მთავარანგელოზთა ამგვარი დაპირისპირება ცენტრალურ ფიგურასთან კიდევ უფრო აძლიერებს ღვთისმშობლის მოძრავ გამოსახულებას.

გელათის მოზაიკის კომპოზიცია მხატვრული გადაწყვეტით წმინდა ქართული შემოქმედებაა, რომელსაც პარალელი იმ დროის მსოფლიო ხელოვნებაში (საკურთხევლის მხატვრობაში) არ მოეძებნება. ამგვარი გადაწყვეტა ახალი მოვლენაა.

ბიზანტიურ ხელოვნებაში, როგორც წესი, ღვთისმშობელი გადმოცემულია ფრონტალურად, მკაცრი რელიგიურ-დოგმატური გაგებით. გელათის საკურთხევლის მოზაიკაში კი, ღვთისმშობლის მარჯვნივ მობრუნებით,

პირველად და გაბედულად დარღვეულია ეს ბიზანტიური ტრადიცია.

გელათის საკურთხევლის მოზაიკის ღვთისმშობლის პირისახის ნაკვთები საგრძნობლად განსხვავებულია ბიზანტიური ძეგლების ასეთივე საკურთხევლის ღვთისმშობლისაგან. გელათის ქართულ ღვთისმშობელს საგრძნობლად მოგრძო პირისახე აქვს, თვალის ჭრილი გრძელი, ცხვირი თხელი – თითქოს მოღუნული, გამოყვანილი ტუჩები. აქ აშკარაა გელათის ღვთისმშობლის ქართული სტილი. ყოველადწმიდა ღვთისმშობელი ქართველი ქალის ეროვნულ ნიშნებს ატარებს. ბიზანტიურ მოზაიკაში, თითქმის ყველა დროის ძეგლში, ღვთისმშობელს აქვს ერთნაირი დამახასიათებელი პირისახე: სახის ოვალური მოყვანილობა, გრძელი, ოდნავ მოღუნული ცხვირი და ა. შ.

ქართველი ხელოვანის მიერ შესრულებული გელათის მოზაიკა სრულიად ორიგინალური მხატვრული ძეგლია (რაც შეეხება კომპოზიციას, ის ახალი არ არის). აქვე აღსანიშნავია, რომ გელათის მოზაიკაში კენჭების წყობა უფრო მჭიდროა, ვიდრე კონსტანტინოპოლის ცნობილი სოფიის ტაძრის მოზაიკაში.

ღვთისმშობლის ეკლესიის კედლის მხატვრული გაფორმება შესანიშნავია იმითაც, რომ მოზაიკასთან შერწყმულია ფრესკაც, ხოლო ასეთი ერთიანობა არ იცის ბიზანტიურმა ხელოვნებამ.

საკურთხეველი გადატიხრული იყო კანკელით. საკურთხევლის კედელს მთელ სიგრძეზე რკალისებურად შემოჰყვება ოთხსაფეხურიანი დასაჯდომი, რომელიც განკუთვნილი იყო წირვაში მონაწილე მღვდელმსახურთათვის. შუა ნაწილში ჩართულია რვასაფეხურიანი ქვის კიბე სავარძლით. სავარძელი წირვაში მონაწილე მღვდელმთავრის (ეპისკოპოს-მიტროპოლიტის ან კათალიკოსის) სავარძელს წარმოადგენდა. კიბის მეშვიდე საფეხურზე

ოეთრი ასოებით შესრულებულია წარწერა, რომელიც იხსენიებს გელათის ეპისკოპოსს მელქისედეკ საყვარელიძეს.

საკურთხევლის კედელზე მღვდელმსახურთა ამ ოთხსაფეხურიანი დასაჯდომის გაყოლებით მოთავსებულია წარწერა. წარწერაში მოხსენებული არიან მეფე ბაგრატი (1510–1565 წწ.), მეუღლე მისი ელენე და ძენი მათნი.წარწერას ფარავდა ბათქაში, მაგრამ წარწერის წაკითხვის მიზნით ბათქაში აუცლიათ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. კედლის ეს ფენა, რომელზეც აღნიშნული წარწერაა მოთავსებული,მოუხატვინებია დასახელებულ მეფეს. კედლის ეს მხატვრობა ამჟამად დაფარულია ახალი ფენით. საკურთხეველი მთლიანად მოხატულია.

საკურთხევლის ფრესკებზე მოცემულია სცენები სახარების სიუჟეტებიდან და პორტრეტები მამამთავრებისა. საკურთხეველში ცენტრალური ნაწილის მხატვრობა შინაარსობრივი თანამიმდევრობით დალაგებულია ზემოდან ქვემოთ. ქვედა რეგისტრში, სადაც წარწერაა ბაგრატის შესახებ, არის „იესოს გარდამოხსნა“, მის მარცხნივ და მარჯვნივ „წმინდა მამებია“ გამოხატული. ზემოთ მოცემულია „სიარება“, რომელიც საკურთხევლის სამი სარკმლით ორადაა გაყოფილი (სარკმლებს შორის სერაფიმები და ქერუბიმებია). „სიარების“ პირველ ნაწილში იესო მოციქულებთანაა,ასევე მეორე ნაწილშიც. თავში ახლავს გრძელი ბერძნული წარწერა, რომელიც ორადაა გაყოფილი და წარმოადგენს სახარების სიტყვებს. მომდევნოდ წარმოდგენილია „ღვთაებრივი ლიტურღია“ და მის ზემოთ, კონქში, მოზაიკური მხატვრობა. მოზაიკის თავზე იკითხება გრძელი საღვთისმეტყველო ქართული წარწერა. საკურთხევლის თაღში გამოხატულია ღვთაება ანგელოზებითურთ, რომელსაც ქართული წარწერა ახლავს. საკურთხევლის ამ ცენტრალური მხატვრობის მარცხენა და მარჯვენა მხარეს თანამიმდევრობით გამოხატულია:

მარცხნივ, ქვემოდან ზევით მარიამი, იოაკიმე და ანა (შუაში სარკმელია), ცალკე იოაკიმე, ზემოთ ყოვლადწმიდა მარიამი ყრმა ქრისტეთი მაცხოვარი ნათლისღებისთვისაა გამზადებული; შემდეგ „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“ და ბოლოს ანგელოზთა დასი. მარჯვენა მხარეზე: ანა, ზაქარია (შუაში სარკმელი), მარიამი ანგელოზებით. ქრისტეს „ამაღლება“ და ბოლოს მეომარ ანგელოზთა დასი.

საკურთხეველის ეს ფრესკული მხატვრობა ეკუთვნის XVI და XVII საუკუნეებს. საკურთხეველის აფსიდის კონქში მოთავსებულია როგორც ითქვა, XII საუკუნეში შესრულებული მოზაიკური მხატვრობა. ამ მოზაიკის თანამედროვე ფრესკული მხატვრობა საკურთხეველში ჯერ აღმოჩენილი არ არის, ხოლო იგი რომ არსებობდა, უეჭველია, რადგან მოზაიკის თანამედროვე მხატვრობა შემონახულია დასავლეთ მინაშენში.

საკურთხეველიდან სამკვეთლოში თაღიანი დაბალი გასასვლელია. თაღზე, მარცხნივ გამოხატულია ქართული წარწერით გელათის პირველი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე. ამავე თაღში, მარჯვნივ, გამოსახულია ღვთისმშობელი იესოთი, ახლავს ბერძნული წარწერა. თვით სამკვეთლოში მხატვრობა არ არის, კედლები შეთეთრებულია. სამკვეთლოში დგას ქვის ოთხკუთხედი მაგიდა, რომელსაც ოთხივე მხარეს ამოკვეთილია წარწერა. წარწერიდან ჩანს, რომ მელქისედეკ საყვარელიძეს გაუკეთებინებია ღვთისმშობლის ეკლესიის ქვის კანკელი და სამკვეთლოს ეს „ტრაპეზი“ (მაგიდა).

სამკვეთლოში შემავალი კარების თავზე არის ფრესკა ბიზანტიის იმპერატორის კოსტანტინე დიდისა და მისი მეუღლის ელენეს გამოსახულებით. ახლავს ქართული წარწერა.

გუმბათის ყელში, სარკმლებს შორის მოთავსებულ

არეებზე გამოსახულია ებრაელთა მეფეები დავითი და სოლომონი. მათ ქვემოთ მოთავსებული ქართული წარწერებით ვგებულობთ, რომ ღვთისმშობლის ტაძრის ამ ნაწილის მხატვრობის შემსრულებელი ოსტატები ყოფილან სვიმეონი და მისი მოწაფე თევდორე. ებრაელთა მეფის სოლომონის მარცხნივ გამოხატული არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები: მოსე, აარონ, ისაია, ზაქარია და სხვ.

გუმბათის შუბლზე მოთავსებულია საღვთისმეტყველო შინაარსის წარწერები ქართულ და ბერძნულ ენებზე.

ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში თანმიყოლებით გამოხატული არიან ისტორიული პირები, რომლებიც გელათის მონასტრის სხვადასხვა დროის მაშენებელ-განმაახლებელნი (ქტიტორები), იყვნენ. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი დავით აღმაშენებელია, მონასტრის დამაარსებელი. მას სხვებთან შედარებით მეტი სიმაღლე აქვს, მარჯვენა ხელში გრაგნილი უკავია, მარცხენაში მის მიერ აშენებული ღვთისმშობლის ეკლესიის მოდელი (მოდელი ეკლესიის თავდაპირველ სახეს არ გამოხატავს). დავითის გამოსახულებას ახლავს ორ სვეტად შესრულებული ვინაობის აღმნიშვნელი ასომთავრული წარწერა, რომელიც ნაწილობრივ გადაშლილია.

დავით აღმაშენებლის გვერდით დახატულია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ევდემონი წარწერით: „აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემონ"[1] . ევდემონ ჩხეტიძე მოღვაწეობდა 1557–1578 წლებში. მის მომდევნოდ წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს მეფე ბაგრატ (III) ალექსანდრეს ძე (1510–1565 წწ.) წარწერა: „მეფეთ მეფე ბაგრატ". ბაგრატის გვერდით მისი მეუღლე ელენეა წარწერით: „დედოფალთა დედოფალი ელენე". მეოთხე

---

1 წარწერები ყველგან ქარაგმების გახსნით მოგვყავს.

პიროვნება არის იმერეთის მეფე გიორგი ბაგრატის ძე (1565–1583 წწ.). წარწერა იკითხება: „მეფეთ მეფე გიორგი“, გვერდით მისი პირველი მეუღლე რუსუდანია: „დედოფალთა დედოფალი რუსუდან“. მეფე გიორგისა და რუსუდანს შორის არის ბავშვი: „ძე მათი ბაგრატ“. ყველა ეს მხატვრობა და წარწერები შესრულებულია XVI საუკუნეში.

ზემო რეგისტრებში მოცემულია რელიგიური კომპოზიციები და პიროვნებები. მაგ. ქრისტეს შესვლა იერუსალიმში და სხვ.,რომლებიც შესრულებულია XIV საუკუნეში და განახლებული – XVI საუკუნეში. ჩრდილოეთის ამ კედელზე გამოჭრილია სამი სარკმელი.

ჩრდილოეთის კედელზე, ქტიტორთა გამოსახულებების დასასრულს, კარის თავზე, თაღში გამოხატული არიან წმ. კვირიკე და წმ. ივლიტე, ქართული წარწერებით.

ჩრდილოეთის სვეტზე აღმოსავლეთის მხრით მიშენებულია ორსაფეხურიანი ქვის ტახტი, რომელსაც გუმბათოვანი სახურავი და ოთხი სვეტი აქვს. ტახტის სურგის კედელზე გამოხატულია გელათის ეპისკოპოსი: „ქრისტე, ადიდე ა(მ) საყდრის მღვდელმთავარ ეპისკოპოსი მაწყვერელი“, ტახტის სახურავის კარნიზზე იკითხება: „მოიხსენე უფალო ტახტის ამის აღმაშენებელი მეფის ალექსანდრეს ძე გენათელი მიტროპოლიტი იოსებ. ამის წელსა იყო ქრისტეს აქეთ ქორონიკონი ჩღი“ (1760 წ.). როგორც წარწერა გვამცნობს, ეს სამღვდელმთავრო ტახტი 1760 წელს აუშენებია გენათელ მიტროპოლიტს იოსებს (შემდეგში მას ეპისკოპოსობასთან ერთად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსობაც ეჭირა). ქვის ტახტი აქ იოსებამდეც ყოფილა, ასე რომ იოსებს იგი ხელახლა აუშენებია. რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იეველევი 1650 წელს დაწვრილებით აღწერენ აღნიშნულ ქვის ტახტს, როგორც სამიტროპოლიტო ადგილს. მათ დროს ტახტი მორთული ყოფილა ძვირფასი ნოხებით, „წმინდანებისა“

და ძველი მიტროპოლიტების ფრესკებით, სვეტები შეჭედილი ყოფილა ვერცხლით. არის იმის მატერიალური ნიშნები, რომ სულ ძველად ეს სამღვდელმთავრო ტახტი მარმარილოსი უნდა ყოფილიყო.

ამავე ჩრდილოეთის სვეტზე სამხრეთით, ლურჯ ფონზე, გამოხატულია ზემონახსენები იოსები საეპისკოპოსო ტანსაცმელში, თანმხლები ასომთავრული წარწერა ამჟამად ძნელად იკითხება.

ამ სვეტის მოპირდაპირედ სამხრეთ სვეტზე ჩრდილოეთით არის კათალიკოსის ფრესკა, ახლავს წარწერა: „ქრისტე ღმერთო, შემიწყალე დიდისა საყდრისა გაენათისა მიტროპოლიტი დ(ა) აწ აფხაზეთისა და საქართველოსა დიდისა ბიჭვინტისა კათალიკოზი ზაქარია ქვარიანი, ამინ“. წარწერაში მოხსენებულია ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ზაქარია ქვარიანი, რომელიც 1637 წლიდან გელათის მიტროპოლიტი იყო, შემდეგ, 1657 —1660 წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსიც.

მხატვრობა, მოთავსებული დასავლეთის შუა კარებთან და დასავლეთის მკლავის გვერდითს თაღოვან კედლებზე, შესრულებულია XVII საუკუნეში „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის ზაქარია ქვარიანის შეკვეთით. აქ მოცემულია „ქრისტეს ვნებათა“ მთლიანი ციკლი. მოხატულობა ტიპიურია XVII საუკუნისათვის და ითვლება ამ ეპოქის ერთ-ერთ შესანიშნავ მხატვრობად. როგორც უკვე ითქვა, თვით მხატვრობის შემკვეთი ზაქარია ქვარიანი გამოხატულია სამხრეთის სვეტის ჩრდილოეთ კედელზე.

ღვთისმშობლის ეკლესიაში ჩრდილო და დასავლეთ მკლავებს შორის არის იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1751—1784 წწ.) საფლავი ეპიტაფიითურთ. წარწერა საკმაოდ გვიან პერიოდშია შესრულებული.

სამხრეთ მკლავში დასავლეთის თაღოვან კედელზე,

სარკმლის ქვემოთ,მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია სამ-სამსტრიქონიანი ბერძნული წარწერები, რომლებიც გვამცნობენ იმერეთის მეფის ბაგრატის მიერ ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვინების ამბავს.

სამხრეთის კედელზე მოცემულია კომპოზიციები სახარების თემებზე. კედელში გამოჭრილია სამი სარკმელი. სარკმელთა შორის დახატული არიან წმ. გიორგი და წმ. დიმიტრი.

სამხრეთ კედელთან, სალაროს წინ არის XIX საუკუნის მოღვაწის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ (გერასიმე) ქიქოძის საფლავი. საფლავის ქვაზე კუთხეებში დაკრულია ლითონის წარწერიანი ოვალური ფირფიტები. წარწერაში ვრცლადაა გადმოცემული დაბადების, მოღვაწეობისა და გარდაცვალების თარიღები: „ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, მაქსიმე მღვდლის შვილი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე, დაიბადა 1825 წ. პირველად სწავლობდა მამასთან, შემდეგში თბილისის და პეტერბურღის სასულიერო სემინარიებში. დაასრულა პეტერბურღის სასულიერო აკადემია 1849 წ. და დანიშნულ იქმნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. 1850 წელში მიიღო მაღისტრის ხარისხი. 1854 წელში დანიშნულ იქმნა იმავე სემინარიაში მათემატიკის პროფესორად და ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწაელებლად. ამავე წელში იქმნა ხელდასხმული მღვდლად, 1856 წ. აღიკვეთა ბერად. 1858 წ. აყვანილ იქმნა არქიმანდრიტის და მღვდელმთავრობის ხარისხზე და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად. 1860 წ. დანიშნულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსად. 1868–1896 წლებში მართავდა სამეგრელოს ეპარქიას და სვანეთს. უკანასკნელში აღადგინა დაცემული ქრისტიანობა და დაქცეული ტაძრები. ჰქონდა ყველა მაღალი ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველის და ორდენი ანნა(სი). უმაღლესად დაჯილ-

დოებული იყო ოქროს პანაღიით. წარმოსთქვა მრავალი ქადაგებანი, აწ უკვე გამოცემულნი რუსულს, ინგლისურს და ქართულს ენებზე.გარდაიცვალა 26-ს იანვარს 1896 წ. და დაკრძალულ არს გელათის მონასტერში".

ჩრდილოეთის მინაშენი. ჩრდილოეთის კედლის მთელ სიგრძეზე ღვთისმშობლის ეკლესიას აკრავს ოთხგანყოფილებიანი მინაშენი. შუა განყოფილება კარიბჭეა, ხოლო განაკიდა განყოფილებები – ეკლესია-ეკვედრები, რომლებიც თავის დროზე მეფეთა და კათალიკოსთა საძვალეებს წარმოადგენდნენ.

მინაშენის შუა განყოფილებაში (კარიბჭეში) არის დასაელეთ საქართველოს კათალიკოსის ზაქარია ქვარიანის საფლავი წარწერით: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ეს, ჩემს უკან გახსნას შესვენებულ იყოს შ-ქკა".

კარიბჭეში ჩრდილოეთის კარების თაღზე არის წარწერა: „ჰოი, ასულო სიონისო, ნაყოფო იოვაკიმესო, სურნელებაო სამოთხისო, წმიდა ღვთისმშობელო, შეიწყალე სული ანტონის გენათელ მღვდელმთავარ ეპისკოპოზისა". ამავე კარიბჭეში სამხრეთის კედელზე კარებთან არის სასულიერო პირის სურათი წარწერით. წარწერა ამჟამად ძნელად გაირჩევა: „მაწყევრელმან და აწ გენათელ მთავარ ეპისკოპოსმან ანტონი და(ვ)ხატენ კარიბჭე ესე ჩემდა სულის საოხად, მეფეთ მეფის გიორგის სადიდებლად, ამინ". წარწერიდან ეგებულობთ, რომ გელათის მთავარეპისკოპოსს ანტონს მოუხატვინებია კარიბჭე იმერეთის მეფის გიორგის (1565 – 1584 წწ.) დროს, ანტონ მაწყევრელს (აწყურის ეპისკოპოსს) გელათის კათედრა ეკავა 1565 წლიდან. პოლიტიკური მდგომარეობის გართულების გამო ანტონს აწყური (სამცხე-საათაბაგოში) დაუტოვებია და გადმოსულა იმერეთს. სამხრეთის ამ კედელზე, კარების თავზე, გამოხატულია ღვთისმშობელი ქრისტეთი. ზევით

თაემოკეეთილი იოანე,რომელსაც კისრიდან სისხლი სდის, კედლებზე მეუდაბნოენი. აღმოსავლეთის კარებთან ძველი, ანტონის დროინდელი მხატვრობა ჩამოღებულია, სადაც გამოჩენილია მხატვრობის უფრო ძველი ფენა: იესო ქრისტე, ანგელოზები, რომელთაც მედალიონები უჭირავთ, შენობები, სულ ქვეით – ისტორიული პირები.

კარიბჭის კედელში გარედან ეზოსკენ, ჩატანებულია პატარა ოთხკუთხა ქვა,ასომთავრული წარწერით „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი (ა)ნტონი“. ამ წარწერის ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ ანტონ მაწყვერელს არა მხოლოდ მოუხატვინებია, შეუკეთებია კიდეც ჩრდილოეთის ეს კარიბჭე.

ჩრდილოეთ მინაშენის პირველ განყოფილებაში, მაცხოვრის სახელობის ეკვდერში, ხის მაღალი კანკელია. კედლები მოხატულია XVII ს-ში. საკურთხეველის თაღში გამოხატულია მაცხოვარი ტახტზე მჯდომარე, ორივე მხრივ ანგელოზები მიქელი და გაბრიელი, კედლებზე მოცემულია ქრისტეს ვნებათა ციკლი, კერძოდ, სამხრეთის კედელზე კომპოზიციები თორმეტი საუფლო დღესასწაულებიდან. ჩრდილოეთის კედელზე გამოხატულია ისტორიული პირი ბერის ტანსაცმელში. წარწერა იკითხება „ბატონიშვილი გენათელი სვიმონ“. სვიმონის წინ საფლავის ქვაა, რომელიც ეკუთვნის ამავე სვიმონს, გენათელ ეპისკოპოსს. სვიმონ გენათელის ფრესკის გვერდით (შუაში სარკმელი) გამოხატულია როსტომ მეფე წარწერით. როსტომი გამოხატულია აგრეთვე დასავლეთის კედელზეც.

სამხრეთის კედელზე გადმოცემულია მეფეებისა და სამეფო სახლის წევრების გამოსახულებანი.

ჩრდილოეთ მინაშენის ამ ეკვდერში დასაფლაეებული არიან მეფეები: გიორგი კოსტანტინეს ძე (1604 – 1639 წწ.), გიორგი ალექსანდრეს ძე (1683 – 1720 წწ.), როსტომ

კოსტანტინეს ძე (XVI ს. 90-იანი წლები), ალექსანდრე გიორგის ძე (1639 – 1660 წწ.).

ჩრდილოეთის მინაშენის მესამე განყოფილებას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ეკლესიაში არის ქვის კანკელი და ქვის მაგიდა (ტრაპეზი). კედლები მოხატულია XVII საუკუნეში. ჩრდილოეთ კედელზე იკითხება: „გენათელი ზაქარია ქვარიანი“. ეკლესიას სულ ორი სარკმელი აქვს.

ჩრდილოეთ მინაშენს აქვს მეოთხე განყოფილება, რომელიც, როგორც მისი გაგრძელებული ნაწილი, ტაძრის დასავლეთ მინაშენს ჩრდილოეთიდან ეკვრის. ამ განყოფილებას ჩრდილოეთით აქვს ეზოდან შემოსასვლელი კარი. აქ კარებთან გელათის ეპისკოპოსის გედეონ ლორთქიფანიძის საფლაოის ქვაა.

სამხრეთის მინაშენი. სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე ღვთისმშობლის ეკლესიას მინაშენი გასდევს. მინაშენის შუა ნაწილი კარიბჭეა. კარიბჭის კედლები მოხატულია XVI საუკუნეში, საქართველოს მეფის ბაგრატის დროს. დასავლეთის კედელზე მხატვრობა გადაშლილია, წარწერა კი დარჩენილია „... ადიდე მეფეთა მეფე ბაგრატ“. ამ კედელზევე კარებთან გადაშლილი მხატვრობის ქვეშ მოთავსებულია დაახლოებით 21-სტრიქონიანი მეტად დაძველებული წარწერა, რომელშიც მოხსენებული არიან საქართველოს მეფე ბაგრატი და მისი ძე გიორგი (ბაგრატი გამეფდა 1360 წელს).

სამხრეთის მინაშენში დასავლეთით მდებარე წმ. მარინეს სახელობის ეკვდერი მოხატულია. ეკლესიას ამჟამად კანკელი არა აქვს. ტრაპეზი (მაგიდა) უშუალოდ კედელზეა მიდგმული. აქვს ორი სარკმელი. ეკლესიის კედელზე გამოხატულია მეფე, მეუღლე მისი და ვაჟიშვილი. წარწერა გადაშლილია, არ იკითხება. აქვეა მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ქალის სურათი წარ-

წერით: „ასულნი მათნი თინათინ და ვისი“. ამ ეკვდერში დასაფლავებულნი არიან მეფე სოლომონ პირველის მეუღლე მარიამი და სხვა დედოფლები.

სამხრეთის მინაშენის მეორე ეკლესია (აღმოსავლეთით), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობისა, დიდი ხნიდან გაუქმებული ყოფილა ისე, რომ XVIII საუკუნეშიც არავინ იცოდა, რომელი მეფის სასაფლაო იყო ან რომელი „წმინდანის“ სახელწოდებას ატარებდა. 1730 წელს იმერეთის მეფეს ალექსანდრე გიორგის ძეს (1720-1751 წწ.) საკუთარ სასაფლაოდ განუახლებია ეს მივიწყებული ეკვდერი. აქ დაუსაფლავებია თავისი მეუღლე მარიამი, შემდეგში ალექსანდრეც აქ იქნა დასაფლავებული. ამ ეკვდერის წინა ისტორია წერილობითი წყაროების მოუღწეველობის გამო უცნობია. დასავლეთის მხარეზე ჩანს დაზიანებული ფრესკა წარწერით: „ მეფეთა მეფე“ და „დავითი ძე რუსუდანისი“ (დავით ნარინი, მეფობდა 1247-1293 წწ.). მკვლევართა დასკვნით აქ მოცემულია ნარინის ორი გამოსახულება: როგორც მეფისა (სამეფო სამოსელში) და როგორც ბერისა (ბერის ტანსაცმელში). კედლის ამ ფენის მხატვრობა ნარინის დროინდელია. ეკვდერში დასაფლავებულია დავით ნარინი.

გელათის მონასტერში დაცული ზეპირი გადმოცემის მიხედვით თამარ მეფე (1184-1213 წწ.) დასაფლავებულია ამ ეკვდერში. თამარის თანამედროვე ისტორიკოსებიც ერთხმად მიუთითებენ გელათში თამარის დასაფლავების შესახებ, მაგრამ საფლავის ადგილმდებარეობა მათ, როგორც ჩვეულებრივ, ნახსენები არა აქვთ. მე-13 საუკუნის წყაროები პირდაპირ წერენ: თამარი „დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“, ან „წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოს პატიოსანსა“ და სხვ. ამ ცნობის ავტორები თამარის დასაფლავების დამსწრენიც კი იყვნენ.

თამარი, როგორც საქართველოს უძლიერესი მეფე, მრავალმხრივაა ასახული ხალხურ თქმულებებში, მაგრამ მათში საკმაოდ ბევრი ფანტაზია და ზღაპარია. თამარის დასაფლავების ადგილის შესახებაც ქართულ ფოლკლორში მრავალი ლეგენდა არსებობს, ყოველი მთქმელი თამარის საფლავს თავის მხარეში უჩვენებს, მაგ., სვანები – სვანეთში, მესხები – ვარძიაში, ოსები – ოსეთში და ა. შ. გავრცელებულია ასევე ლეგენდა, რომლის მიხედვით თამარის საფლავი თითქოს განგებ დამალეს, რომ არავის სცოდნოდა იგი, რადგან მის ნეშტს სიკვდილის შემდეგაც ემუქრებოდნენ მტრებიო და ა. შ. ამ ლეგენდებსა და სხვა ამათ მსგავსთ, არაფერი საერთო ისტორიულ სინამდვილესთან არა აქვთ, ლეგენდაში გამოხატულია მხოლოდ მთქმელის სურვილი, რომ მისი კუთხე თამარის სახელს უკავშირდებოდეს, თამარი მისი კუთხისათვის ახლობელი იყოს და ა. შ.

დასავლეთის მინაშენი. დასავლეთ მინაშენი მთელი სიგრძით გასდევს ტაძარს, რომელშიც მოხვედრილია ღვთისმშობლის ეკლესია დასავლეთის სამი კარით. დასავლეთ მინაშენს ეზოდან აქვს ორი კარი დასავლეთით და სამხრეთით. მას აქვს შემოსასვლელი აგრეთვე ჩრდილოეთ მინაშენის მეოთხე განყოფილებიდან. ეს მეოთხე განყოფილება „დასავლეთის კარადაა“ ცნობილი ძველს წყაროებში. სამხრეთის კედელზე, კარების თავზე და ჭერზე შემონახულია ფრესკის მცირე ნაწილი.

ამ განყოფილებაშივე არის საფლავი ასომთავრული წარწერით:

„ქრისტე ღმერთო, შეიწყალე გენათელი ლორთქიფანიძე გედეონ. ვინცა შენდობა ბრძანოთ თქვენც შეგინდოს ღმერთმან. ამას წინათაც პაპა ჩემს ხელმწიფისაგან წყალობაი საფლავი ეშოვნა კარ შესავალს ესენიც და დედა (ჩ)ემიცა იქ დაემარხენ და აწ ასე არს განსასვენე-

ბელი ჩემი,ამას დავემკვიდრო უკუნისამდე,რამეთუ მთნავს ესე,ვინც კაცის დასამარხავად ეს გახსნას,ჩემდამც მუქაფად განიკითხვის მეორედ მოსვლას. ქრონიკონსა ტჟი" (1682 წ.). გედეონ ლორთქიფანიძე ეპისკოპოსობდა 1660-1682 წლებში. გედეონი აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებშიც. 1669 წელს ბაგრატ მეფემ იგი ელჩად გაგზავნა რუსეთში, საიდანაც დაბრუნდა 1676 წელს.

დასავლეთ მინაშენიდან ღვთისმშობლის ეკლესიაში შემავალი შუა კარის მარცხნივ არის სამღვდელო პირის, დიმიტრი კანდელაკის, ფრესკა წარწერით (შავ ფონზე თეთრი ასოებით): „მონა ღვთისა დიდისა საყდრისა კანდელაკი დიმიტრი და ვინცა შენდობა უბრძანოთ ღმერთმან თქვენცა შეგინდოს, ამინ".

დასავლეთ მინაშენის დასავლეთ კედელში გამოჭრილია ორი სარკმელი, ერთ-ერთ სარკმელში, სიღრმის კედელზე არის ფრესკა და მასთან ხუთსტრიქონიანი დაზიანებული ასომთავრული წარწერა.

მეორე სარკმლის სიღრმეში გამოხატულია რომის იმპერატორი მარკიანე, რომელიც ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების ტექსტს აძლევს სასულიერო პირს. ეს პირი, სპეციალისტების დაკვირვებით, უნდა იყოს პეტრე იბერიელი (V საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და ფილოსოფოსი, ქ. მაიუმის (პალესტინა) ეპისკოპოსი, დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმით მისი თხზულებები ცნობილი იყო მთელს აღმოსავლეთში).

დასავლეთის ამ გრძელ მინაშენში შემორჩენილია სხვადასხვა დროის მხატვრობა. აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებზე, აგრეთვე თაღოვან ჭერში, ძირითადად წარმოდგენილია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების თემა. ეს მხატვრობა შესრულებულია 1125-1130 წლებში, და ერთდროულია ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხევე-

ლის აფსიდის კონქის მოზაიკისა.

დასავლეთ მინაშენში აღმოსავლეთის კედელზე მიდგმ'ულია პატარა სამწირველო-ეკლესია ოთხ სვეტზე დადგმ'ული გ'უმბათისებრი სახ'ურავით. ეკლესიას საკ'ურთხეველი და მხოლოდ ორი კედელი აქვს. აღმოსავლეთის კედლად გამოყენებ'ულია ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის კედელი, ხოლო სამხრეთისაკენ ცალკე კედელია აშენებ'ული. დგას ორი ქვის მაგიდა, რომელთაგან ერთი – სამკვეთლოს, ხოლო მეორე – საკ'ურთხევლის (სამსხვერპლო) დანიშნ'ულებას ასრ'ულებდა. ეკლესიის კედლები, სვეტები კამარები და გ'უმბათი მოხატ'ულია ადგილგამოუტოვებლად ლურჯ ფონზე. ყველა ეს მხატვრობა ეკუთვნის XVII საუკუნეს. აღმოსავლეთის კედელზე გამოხატ'ულია ღვთისმშობელი ყრმა იესოთი, აქეთ-იქეთ მახარებლები. ქვემოთ გამოხატ'ულია იესო ქრისტე საფლავში, იქვე მახარებლებს ხელ'ში გაშლილი გრაგნილები უჭირავთ, თითქოს წერენ. გ'უმბათის ჭერზე გამოხატ'ულია იესო ქრისტე, ერთ მხარეზე მარიამია, მეორეზე – იოანე ნათლისმცემელი თანმხლები ანგელოზებით. წარწერა: „დიდებაი ღვთისა იესო ქრისტესი". გ'უმბათის აფრებზე ოთხი მახარებელია შენობების ფონზე. სამხრეთის კედელ'ზე გამოხატ'ული არიან იმერეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძე (1639–1660 წწ.) და მეუღლე მისი ნესტან-დარეჯანი.

ამავე დასაელეთ მინაშენში XIX–XX საუკუნეების რამდენიმე საფლავია წარწერებით. 1. არქიმანდრიტი სერაპიონ ახელედიანი (გარდაიცვ. 1911 წ), 2. არქიმანდრიტი სვიმონ წ'ულ'უკიძე (გარდაიცვ. 1852 წ.), 3. გ'ურიის ეპისკოპოსი იოანე იოსელიანი (დაბ. 1791 წ., გარდაიცვ. 1867წ).

წმ. გიორგის ეკლესია

ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთით დგას წმ. გიორგის ეკლესია (15,55×11 მ; სიმაღლე 21,40 მ), რომელიც აშენებულია XIII საუკუნეში.

წმ. გიორგის ეკლესიას დასავლეთით აქვს გრძელი მინაშენი. ეკლესია ჯვრის ფორმისაა, ცენტრალურ გუმბათოვანი. აქვს რვა სარკმელი (საკურთხეველში – სამი). კედლები მოხატულია უმთავრესად მუქ-ლურჯ ფონზე.

წმ. გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობა გვიანფეოდალური ხანის მონუმენტური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება. როგორც ტაძრის გუმბათის კამარებზე არსებული წარწერებიდან ჩანს, მხატვრობის ერთი ნაწილი შესრულებილია XV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით. საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახულია ღვთისმშობელი მთელი ტანით ყრმა იესო ქრისტეთი. მარჯვნივ პეტრე მოციქულია, მარცხნივ – პაველე მოციქული, რომლებიც ლოცულობენ. ქვემოთ გამოხატულია ბიბლიური პერსონაჟები, სამი ყმა – ასარია, ანანია და მისაილ. ამავე რიგში, აქეთ-იქით – აარონი და სამუილი. ქვედა რიგში ორ ჯგუფად გამოსახული არიან საეკლესიო წმინდა მამები: ბასილ დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ აკრაკანტელი, პეტრე ალექსანდრიელი და სხვ.

საკურთხეველში დგას ქვის მაგიდა და ქვის სკამი. სამკვეთლოშიც ასევე ქვის მაგიდაა. სამკვეთლოში მხატვრობის ნაწილია შემორჩენილი. ჩრდილოეთ კედელზე წმ. იაკობის ფრესკაა, ჭერში – მაცხოვრისა. მის გვერდით იოანე ნათლისმცემელია, დასავლეთის კარის თავზე გამოხატულია ორი წმინდანი.

საკურთხევლის მხატვრობა იკონოგრაფიული თვალსაზრისით XIV საუკუნის მხატვრობის ტრადიციის გაგრძელებადაა მიჩნეული.

წმ. გიორგის ტაძარში პერსონაჟთა სახელები უმეტესად ბერძნულადაა გადმოცემული.

ჩრდილოეთის კედელზე მკრთალად ჩანს ისტორიული პირები: მეფე გიორგი ბაგრატის ძე (1556 – 1584 წწ.), მეუღლე მისი – თამარი და ძე მათი – ალექსანდრე.

ჩრდილოეთის მკლავის თაღზე დასავლეთით მხატვრობა გადაშლილია. იკითხება: „მეფეთ მეფის ბაგრატის ძე თეიმურაზ; „გაბრიელ“.

მოხატულია ორივე მკლავის (ჩრდილოეთისა და სამხრეთის) თაღები, აგრეთვე შუა ნეფიც: წარმოდგენილია შემდეგი კომპოზიციები: „ხარება“,„ქრისტეს შობა“,„მირქმა“,„ნათლისღება“,„ფერისცვალება“,„ლაზარეს აღდგინება“, „ღვთისმშობლის მიძინება“. არის მთელი რიგი კომპოზიციები წმ. გიორგის ცხოვრებიდან.

სამხრეთ კედელზე გამოხატული არიან ისტორიულო პირები. მარცხნიდან მარჯვნივ არის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, აქვე არის იმერეთის მეფე ბაგრატი და მისი მეუღლე, წარწერები გადაშლილია.

გუმბათის ნახევარსფეროზე მხატვრობა შემორჩენილი არ არის. გუმბათის ყელში, სარკმელთა შორის მოთავსებულ არეებზე გამოხატული არიან ანგელოზნი და წინასწარმეტყველნი. გუმბათის ოთხივე აფრაზე გამოხატულია მახარობლები: იოანე, მარკოზი, ლუკა და მათე.

წარწერები მოთავსებულია გუმბათის თაღის შუბლზე. აღმოსავლეთ შუბლზე ღვთისმეტყველური შინაარსის წარწერაა. სამხრეთით მოთავსებულ წარწერაში მოიხსენიებიან მეფე ბაგრატი (1510–1565 წწ.) და მეუღლე მისი – ელენე. 1545 წელს მეფე ბაგრატს წმ. გიორგის ეკლე-

სია საფუძვლიანად განუახლებია და თავის საძვალედ გაუხდია. მეფე ბაგრატისა და მისი მეუღლის, ელენეს საფლავის ადგილი ისე, როგორც სხვა მეფეებისა, ამჟამად ცნობილი არაა.

გუმბათის შუბლზე დასავლეთით მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს მოუხატვინებია წმ. გიორგის ეკლესია. ეს ევდემონი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დახატულია ღვთისმშობლის ეკლესიაშიც. იგი დამარხულია იმავე წმ. გიორგის ეკლესიაში. 1651 წელს მისი საფლავი ეპიტაფიითურთ აქ უნახავთ რუს ელჩებს იეელევსა და ტოლოჩანოვს. ამჟამად ევდემონის საფლავი ცნობილი არაა. ევდემონი პირველი კათალიკოსია, რომელიც გელათში იქნა დასაფლავებული. მის შემდეგ ყველა კათალიკოსი გელათში იმარხებოდა. ეს ფაქტი უკავშირდება საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადმოტანას, რაც სწორედ XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა.

წმ. გიორგის ტაძარში გუმბათის შუბლზე ჩრდილოეთით იკითხება: „ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა მეფეთ მეფე გიორგი და დედოფალთა დედოფალი თამარ და ძე მათი ალექსანდრე გაგვიზარდე, ღმერთო“. გიორგი მეფე თავისი პირველი მეუღლით, რუსუდანით, ღვთისმშობლის ტაძარშია გამოხატული.

საკმაოდ გვიან წმ. გიორგის ტაძრისათვის დასავლეთის მხრიდან გრძელი ნაგებობა მიუშენებიათ. ამ მინაშენში მოხვედრილია წმ. გიორგის ეკლესიის ერთადერთი კარი, რომელიც ორივე მხარეზე გაფორმებულია მოჩუქურთმებული სვეტებით.

დასავლეთის ეს მინაშენი სამგანყოფილებიანია, განაპირა განყოფილებებში მხატვრობა გადასული არის. გარედან, მონაშენის სარკმლის ჩარჩოში ჩასმულია შეფერადებული ქვის ბარელიეფი წმ. გიორგის გამოსახ-

ულებით, ამოკვეთილია წარწერა: „ წმიდა გიორგი“ და „წმიდაო გიორგი, მეოხ მეყავ მსასოებელსა შენსა იოანე ბერსა ბახტაძეს“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ მოხსენებული იოანე ბახტაძე ამ ნაკეთობის შემსრულებელია.

წმ. გიორგის ეკლესია გადახურული ყოფილა რკინით. ამჟამინდელი თუნუქის სახურავი ახალია.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია

გელათის ძეგლთა შორის ეს ეკლესია (8,50×6,55 მ, სიმაღლე – 13,60 მ) ყველაზე ახალია, მაგრამ მისი აშენების დრო ჯერჯერობით ცნობილი არაა. იგი ორიგინალურია იმ მხრივ, რომ თაღოვან სვეტებზე დგას. ძველი წყაროები მას „ოთხსვეტოვან ეკლესიას“ უწოდებენ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მდებარეობა საეს ებით შეფარდებულია დანარჩენი ორი ეკლესიის მდებარეობასთან. სამივე ისინი მდებარეობენ ერთ სწორ ხაზზე და არქიტექტურული ანსამბლის ერთ მთავარ ღერძს ქმნიან. ეკლესიას ჩრდილოეთიდან ასასვლელი მაღალი ვიწრო ქვის კიბე აქვს, ქვედა თაღოვანი ნაწილი უფრო ძველი ნაგებობაა (10×9,40 მ, სიმაღლე წმ. ნიკოლოზის ეკლესიითურთ – 19,10 მ.

საბუთები მიუთითებენ, რომ ნიკოლოზის ეკლესია მეფეებს უბოძებიათ ქსნის ერისთავისათვის სასაფლაოდ.

1650 წელს, როცა გელათი რუს ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს მოუნახულებიათ, წმ. ნიკოლოზის ეკლესია ცარიელი და გაუქმებული ყოფილა.

წმ. ნიკოლოზის განახლება უცდია ჯერ იოსებ კათალიკოსს (1769 – 1776 წწ.), ხოლო 1787 წელს იგი საფუძვლიანად განუახლებია ექვთიმე მიტროპოლიტს, ამ წლიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესია ისევ ქსნის ერისთავთა გვარის ერთ-ერთი ოჯახის სასაფლაოდ ითვლება.

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის საფლავი

სრულიად საქართველოს მეფეების სამარხთა შორის გელათში დღესდღეობით ცნობილია დავით აღმაშენებლის საფლავის ადგილი. დავითი დასაფლავებულია ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით. სასაფლაო წარმოადგენს ცალკე ნაგებობას (მცირე ეკლესიას), რომელიც მონასტრის ჭიშკარიც ყოფილა. საფლავის ქვას იმგვარი მდებარეობა აქვს, რომ ჭიშკარში შემსვლელი უსათუოდ მასზე გადაივლის. ხალხური გადმოცემით, ასეთი ადგილი თითქოს განგებ აირჩია დავითმა თავმდაბლობის გამოსახატავად. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია ფსალმუნის პერიფრაზი: „ქრისტე, ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, (რამეთუ მთნავს ესე), ამასა დავემკვიდრო მე“.

ნაგებობა გრძელია და ერთმანეთის მოპირდაპირედ აქვს თაღიანი ორი ფართო შემოსასვლელი. სამხრეთით, სოფლიდან შემოსასვლელი ამჟამად ამოშენებულია და ასე ყოფილა XIX საუკუნის 40-იან წლებშიც. ჭიშკარზე აბმული იყო რკინის კარები, რომელიც მეფე დემეტრე პირველს, დავით აღმაშენებლის შვილს, 1138–1139 წელს ქ. განძის აღების შემდეგ ქალაქისათვის მოუხსნია და აქ მოუტანია, როგორც ნადავლი. კარზე შემორჩენილია ამ ამბის მაუწყებელი ქართული წარწერა. საყურადღებოა, რომ რუსი ელჩები XVII საუკუნეში დაწვრილებით აღწერენ მონასტრის ამ ჭიშკარს და ზედ აბმულ განძის კარებს. ამჟამად განძის კარებიდან გადარჩენილია მხოლოდ ცალი კარი, რომელზედაც ამოჭედილია შემკვეთისა და გამკეთებელი ოსტატის ვინაობის, აგრეთვე თარიღის (1063 წ.) აღმნიშვნელი არაბული წარწერა. მეო-

რე ცალი კარი, რომელზეც ზემონახსენები ქართული ქარწერა ყოფილა, XVIII საუკუნეში სალურსმნე მასალად გამოუყენებიათ, დარჩენილია მისგან მხოლოდ წარწერიანი დაზიანებული ფურცლები.

სამრეკლო

სამრეკლო სამსართულიანია. პირველი სართული თაღოვანი ღია ნაგებობაა, სადაც მილით შემოყვანილია წყაროს წყალი. მეორე სართული პატარა ოთახს წარმოადგენს ბუხრითა და ორი სარკმლით. მრგვალ და გუმბათოვან მესამე სართულზე მოთავსებულია ზარები.

ძველი აღწერილობით, სამრეკლოს ქვეშ ქვის ჭა ყოფილა, რომელშიც წყაროს წყალი გროვდებოდა. ჭიდან მილი გამოდიოდა, ხოლო მილის ქვეშ თითო საჟენზე მეტი სიგრძის სამი ქვის ოთხკუთხა ყუთი მდგარა, რომელშიც მიედინებოდა წყალი. წყაროს წყალი მიწისქვეშა მილებით შეყვანილი ყოფილა ბერების სამყოფელოში და სამეურნეო დანიშნულების ყველა შენობაში.

გალავანი

მონასტერი შემოზღუდულია ქვის მაღალი გალავნით, რომელსაც სამხრეთით და აღმოსავლეთით ჭიშკრები აქვს. ეს ქვის გალავანი მოხსენებულია XII საუკუნის საბუთში.

XVII საუკუნის 50-იან წლებში გელათის დასათვალიერებლად მოსული რუსი ელჩები იევლევი და ტოლოჩანოვი აღმოსავლეთის ჭიშკრით (ამჟამად მოქმედი ჭიშკარი) შესულან მონასტრის ეზოში. XVII საუკუნის აღწერილობით ჭიშკრებთან კოშკები მდგარა, ხოლო ეზო-

ში თერთმეტი დიდი და საშუალო ზომის „პალატი“ ყოფილა, მათ შორის ქვის პალატი (ყოფილი აკადემიის შენობა).

საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც მონასტრის ეზოში ვხედავთ, მიეკუთვნება XIX–XX საუკუნეებს. მხოლოდ სამხრეთით მდებარე ხის სახლი, შემკობილი ხისავე ჩუქურთმებით, საკმაოდ ძველია. გალავანში შემორჩენილია აგრეთვე ძველი დროის სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები და საცხოვრებელი სახლების საძირკვლები.

მონასტრის გალავანში მოიპოვება საფლავის ქვები რომელთა უმრავლესობა ეკუთვნის XIX–XX საუკუნის გელათელ მოღვაწეებს.

ყურადღებას იპყრობს ეზოში, მთავარი ტაძრის სამხრეთით, ქვის მრგვალი სვეტი, რომელსაც ორნამენტირებული ბოლოები აქვს. ზემო ნაწილში ძალზე დაზიანებული ქართული ასომთავრული წარწერაა.

მონასტრის გალავნის გადაღმა არსებულ ისტორიულ ძეგლთაგან შეიძლება დავასახელოთ: აღმოსავლეთის ჭიშკართან, გალავნის გარეთ, გზის პირას, ფერდობზე მდებარე მცირე ეკლესია, რომელიც აგებულია წყაროს სათავეზე. წარწერა: „განახლდა წმინდა ეკლესია ესე 1903 წ. აგვისტოს 30 ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლის წყარო ცხოვრებისა სახელსა ზედა და ამავე წელსა იქმნა განახლებული ახალის მილით ეს მონასტრის წყალი, ვითხოვ აღმომკითხველთაგან შენდობას მშრომელი ამისი“.

სოხასტერი

მონასტრის ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამაღლებულ ადგილზე არის ძველი შენობების ნანგრევები მცირე ზომის ეკლესიითურთ, რომლებსაც „სოხასტერს“ ეძახიან.

ქართული სიტყვა „სოხასტერი“ ბერძნული „ჰე სეიხასტერიონ“-ისაგანაა წარმომდგარი და ნიშნავს ისეთ ადგილს, სადაც დაყუდებული ბერები ცხოვრობდნენ. სოხასტერი გელათის მონასტრის ნაწილს წარმოადგენდა საერთო სამეურნეო-ორგანიზაციული ცხოვრებით. სოხასტერის წინამძღვარი ექვემდებარებოდა გელათის მონასტერს. სოხასტრის წინაისტორია, წერილობითი საბუთების მოუღწევლობის გამო, უცნობია. ამ მიდამოში არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა.

როგორც პირველი წყაროები მოწმობენ, დავით აღმაშენებელს აუშენებია ქსენონი (მოხუცთა და ავადმყოფთა თავშესაფარი). წყაროები არ მიუთითებენ ქსენონის ადგილმდებარეობას, მაგრამ დღეს ფიქრობენ, რომ ეს დაწესებულება სწორედ აქ სოხასტრის მიდამოში უნდა ყოფილიყო. ამ აზრის სასარგებლოდ მრავალი რამ ლაპარაკობს, კერძოდ ის, რომ აქ კარგად ჩანს რაღაც დიდი, არასაკულტო მნიშვნელობის ნაგებობის ნაშთი. აგრეთვე ისიც რომ შუა საუკუნეებში (ბიზანტიაში) სამონასტრო სისტემაში აკადემიასთან ერთად ძალიან ხშირად ქსენონიც შედიოდა. ამდენად, თუ, დავით მეფე გელათის მონასტრის შემდეგ ქსენონს აგებდა, ეს მხოლოდ გელათში არის საგულისხმებელი სოხასტრის ადგილას. თეორიული თვალსაზრისით, ვიდრე სოხასტრის ძველი ისტორიის შესახებ წერილობითი და არქეოლოგიური მასალები მოპოვებული არაა, ზედმეტი არ იქნება ყურადღება მივაქციოთ თვით ამ მიდამოს სახელწოდებას – „სოხასტერს“ და ამ თვალსაზრისით იმ ფაქტს, რომ აქაურ ეკლესიას აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი სახელწოდება: „სოხასტერის მაცხოვრის ეკლესია“ და ა. შ. ადვილი შესაძლებელია თავდაპირველად, თვით გელათის მონასტრის აშენებამდეც, სოხასტერი ამ მიდამოში ეკლესიას ან მონასტერს კი არ გულისხმობდა, არამედ დაყუდებულ

ბერთა სადგომს, როგორც ამას თვითონ სახელწოდება მიუთითებს. ქართული სიტყვა „სოხასტერი“ ბერძნული „ჰე სვიხასტერიონ“-ისაგან არის წარმომდგარი და ეწოდებოდა ისეთ ადგილს, სადაც დაყუდებულნი (მდუმარებააღთქმული ბერები) ცხოვრობდნენ. ამგვარი სოხასტერები საქართველოშიც და საბერძნეთშიც ზოგჯერ მონასტრებთან არსებობდა. ეკლესია, რომელიც დღესაც მოღწეულია სოხასტერის ადგილას, ძველია და დასაშვებია, რომ იგი აქ გაჩნდა აქაური დაყუდებული ბერებისათვის უფრო გვიან ან მაშინ, როცა აქ ქსენონი დაარსდა. მაინცდამაინც შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მომდევნო ხანის საბუთებში (ადრინდელი არა გვაქვს) აქაური ეკლესია იწოდება „სოხასტრის მაცხოვრის ეკლესიად“ ან „სოხასტრის ეკლესიად“. ეს უკვე გულისხმობს „სოხასტრის“ ადრე ან ცალკე არსებობას.

გელათის აკადემია

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით მდებარეობს დიდი დარბაზის ნანგრევები. ეს არის შენობა აკადემიისა – უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულებისა, რომელიც XII საუკუნეში მონასტერთან იქნა დაარსებული. აკადემიის დარბაზის სიგრძე – 25,36 მ; სიგანე – 10,36 მ; კედლების სიაღლე – 10 მეტრია. დარბაზში კედლების გასწვრივ არის გრძელი, ერთიანი ქვის დასაჯდომი. კედლებში ოთხივე მხარეს შვიდი თახჩაა თითქმის ერთნაირი სიმაღლის, სიგანისა და სიღრმისა.

დარბაზის შუა ადგილას, დასავლეთის კედელთან, გამ-

ოყოფილად დგას ქვის მაგიდა – „მეფის საჯდომი“. დარბაზს აქვს ფართო თაღოვანი სარკმლები, სულ 13. ნაგებობა არქიტექტურულად მთლიანად საერო-სამოქალაქო სტილისაა.

დარბაზის იატაკი მოდუღაბებულია. სპეციალისტების აზრით, აღნიშნული დასაჯდომები, კედლების გასწვრივ რომ არის, მოსწავლე-მსმენელთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, ხოლო კედლის თახჩები – სასწავლო ნივთების შესანახად. შუა მაგიდა მასწავლებლის, „დიდასკალოსის“ კათედრის დანიშნულებას ასრულებდა.

აკადემიის შენობა წარმოდგენილია არა მხოლოდ ამ დარბაზით, არამედ ნაგებობათა მთელი სისტემით. დიდ დარბაზს ორი კარი ჰქონია. ერთი კარი მონასტრის ეზოდან შედის, რომელსაც მიშენებული აქვს ოთხსვეტიანი მხატვრულად გაფორმებული სტოა თაღებითა და ორფერდოვანი სახურავით. თითოეული სვეტის თავი სხვადასხვა სახის ჩუქურთმებითაა შემკობილი. სვეტების ღეროები გაფორმებულია სხვადასხვანაირად: ერთი ღერო მთლიანად მრგვალია, მეორე – ოთხი მრგვალი სვეტის კონას წარმოადგენს, მესამე – რვაწახნაგოვანია, ხოლო მეოთხე – ოთხი რვაწახნაგოვანი ღეროების კონაა.

დარბაზის მეორე კარი დასავლეთის კედელშია გამოჭრილი, აკადემიას მთავარი ფასადი დასავლეთიდან ჰქონია, სოფლის მხარეზე, და ეს კარიც თავისი კამაროვანი ვესტიბიულით მთავარი შემოსასვლელი ყოფილა შენობაში. იგი ახლა ნანგრევების სახითაა მოღწეული.

ვესტიბიული აგებულია სალ კლდეზე ისე, რომ იატაკად კლდეა გამოყენებული. ასევე კიბეების საფეხურებადაც ალაგ-ალაგ კლდეა გამოკვეთილი, ხოლო სოგან დუღაბით არის შევსებული. ვესტიბიულიდან სამმოსახვევიანი კიბე ადიოდა დარბაზში.

შესასვლელის კედლები აგებულია თეთრი თლილი

ქვისგან. შესავალი სულ სამსართულიანი ყოფილა. პირველი სართული ვესტიბიულია, ხოლო შემდეგ თითო სართულზე თითო ოთახია. მესამე სართულის ოთახი დასავლეთის მხრიდან ღია ყოფილა, უკედლოდ. ამ ღია ოთახში გამოდიოდა დიდი დარბაზის დასავლეთის კარი. აკადემიის შენობის ჭერი კამარით იყო გადაყვანილი.

აკადემიის ამ შენობამ გარკვეული დროის შემდეგ თავისი პირვანდელი დანიშნულება დაკარგა. შემდგომ იგი ბერების სატრაპეზოდ გამოუყენებიათ. ასეთი ცვლილება, უეჭველია, გამოწვეული იყო იმით, რომ თვით ამ დაწესებულებამ, აკადემიამ, XVI საუკუნიდან შეწყვიტა არსებობ, თუმცა, საგანმანათლებლო-მწიგნობრული მოღვაწეობა გელათში მომდევნო საუკუნეებშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა. მაგრამ არა იმგვარი შინაარსითა და მასშტაბით, როგორც ძველად. ამიტომაც ამ დროიდან ასეთი გრანდიოზული შენობა საჭირო აღარ იყო. XVII საუკუნეში აკადემიის ყოფილ შენობას „ქვის პალატას“ ეძახიან. აკადემიის კომპლექსიდან მხოლოდ ეს დიდი დარბაზი მოქმედებს, როგორც პურის საჭმელი ადგილი. დარბაზის შუაში მარმარილოს მაგიდა იდგა, სადაც მეფე დაბრძანდებოდა ტრაპეზის დროს (ახლა ეს მაგიდა უბრალო ქვისაა). დარბაზის შუა ადგილას მიწაში ჩაფლული ყოფილა ღვინის დიდი ქვევრი, საიდანაც სახარჯო ღვინოს იღებდნენ, ეს ქვევრი ჩვენამდე მოღწეულია.

გელათის აკადემიას უკვე მეფე დავით აღმაშენებლის დროსვე იმდენად მოუხვეჭია სახელი, რომ მას, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვენი „სხუა ათინას“ და „ელადას“ უწოდებდნენ (ათენი საერო-ფილოსოფიური მეცნიერების განთქმული ცენტრი ძველ საბერძნეთში, ელადა – ძველი საბერძნეთი), ხოლო სასულიერო-სამონაზვნო მოღვაწეობის მხრივ „მეორე იერუსალიმს“ (ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრი). XII საუკუნეში გელათში ცხოვრობს და

აკადემიაში მოღვაწეობს ბევრი ცნობილი ქართველი მეცნიერი. ზოგი ვარაუდის მიხედვით, XII საუკუნის დამდეგს: „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ნუსხის ერთერთი მინაწერის მიხედვით, რომელიც სავარაუდოდ სულხან საბა ორბელიანს უნდა ეკუთვნოდეს, დავით მეფეს' ჩრიდ (1114) წელს'(თ. ჟორდანია) გელათში „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკობილნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთად... მოიყვანნა და დაამკჳდრნა მას შინა." მათ შორის კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში სწავლამიღებული არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე თვით დავით აღმაშენებელს მოუწვევია გელათში სამოღვაწეოდ. თვითმხილველი ისტორიკოსი ასე ახასიათებს გელათს: „აწ წინამდებარე არს ყოველისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწაულად ყოველისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულობისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა". იოანე პეტრიწმაც განათლება მიიღო კოსტანტინეპოლში, კოსტანტინე მონომახის მიერ 1044–1047 წწ. დაარსებულ მანგანის აკადემიაში. ვარაუდობენ, რომ იგი იყო მოწაფე გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსების, მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსისა, რომლებმაც იმ დროისათვის გარკეული პროგრესული მიმდინარეობა (ნეოპლატონიზმი) შექმნეს ფილოსოფიურ აზროვნებაში. დაახლოებით 1083 წელს ამ ჯგუფმა ოფიციალური სამეფო წრეებისგან დევნა განიცადა, მათ შორის იოანემაც. ამის შემდეგ იოანე სამშობლოში მოდის მუშაობის განსაგრძობად. მაგრამ იგი მალე ბულგარეთში გადადის და იქ ქართველთა პეტრიწონის მონასტერში მკვიდრდება (პეტრიწონის მონასტერი დააარსა გრიგოლ ბაკურიანმა 1083 წელს). ფიქრობენ, რომ იოანე ამ მონასტრის სემინარიის რექტორი ხდება და მოღვაწეობს საკმაოდ დიდხ-

ანს. XII საუკუნის დამდეგს პეტრიწონის მონასტრიდან იოანე საქართველოში ბრუნდება. მიზეზი ის არის, რომ მისთვის დევნა დაუწყიათ იქ მყოფ ქართველებსა და ბერძნებს და, როგორც თვითონ ლაპარაკობს, მუშაობის საშუალება არ მიუციათ. გელათში დავით აღმაშენებელს იოანესათვის ყოველგვარი პირობები შეუქმნია. იოანე ამბობს, რომ იგი მუშაობს დავით მეფის მფარველობით და ზრუნვით „კელინსა შინა გაენათისასა“. იოანე პეტრიწის იდეები ფილოსოფიაში სავსებით შეესაბამებოდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ გეგმას (ერთმმართველობის დამყარება, ქვეყნის ეროვნულ-კულტურული კონსოლიდაცია და სხვ.) და ამით აიხსნება, რომ მის მოღვაწეობას გელათში ფართო გასაქანი მიეცა. იოანე გელათში ქმნის ნეოპლატონურ ფილოსოფიურ მიმართულებას. მან ქართულად თარგმნა არისტოტელესა და ნეოპლატონიკოს ავტორთა შრომები. დაურთო მათ ვრცელი კომენტარები, შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია და სხვ. ეს საქმიანობა გელათში გრძელდებოდა შემდეგაც. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობს პეტრიწის მიმდევარი ფილოსოფოსი და მთარგმნელი პეტრე გელათელი. ამრიგად, გელათის აკადემიის საფილოსოფო ცენტრში შესაძლებელი შეიქმნა იმ საქმის განგრძობა და გაკეთება, რაც ბიზანტიაში შეწყდა და ვერ მოხერხდა შინაგანი თუ საგარეო პირობების გამო. ამიტომაც გელათის აკადემიის პროგრესული მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ ქართული, ეროვნული ფარგლებით, გელათის აკადემია ერთ-ერთ საპატიო ადგილს იჭერს იმ დროის აღმოსავლეთში. გელათში დაიწერა და ითარგმნა მრავალი შესანიშნაცი ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული თხზულება.

გელათის აკადემიაში XII საუკუნის დამდეგს მოღვაწეობს იოანე პეტრიწი, დიდი ქართველი ფილოსოფო-

სი და მეცნიერი. იოანემაც განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წელს დაარსებულ მანგანის აკადემიაში. იგი იყო მოწაფე გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსების იოანე იტალისა და მიქაელ ფსელოსის, რომლებმაც გარკვეული მიმდინარეობა შექმნეს ფილოსოფიურ აზროვნებაში (ნეოპლატონიზმი). დაახლოებით 1083 წელს ამ ჯგუფმა ოფიციალურ წრეებისაგან დევნა განიცადა და მათ შორის იოანემაც. ამის შემდეგ იოანე სამშობლოში მოდის მუშაობის განსაგრძობად, მაგრამ იგი მალე ბულგარეთში გადადის, სადაც ქართველთა პეტრიწონის მონასტერში (დააარსა გრიგოლ ბაკურიანმა 1083 წ.) მკვიდრდება. იოანე ამ მონასტრის სემინარიის რექტორი ხდება და მოღვაწეობს საკმაოდ დიდხანს. XII საუკუნის დამდეგს პეტრიწონის მონასტრიდან იოანე საქართველოში ბრუნდება. მისვლი ის არის, რომ მისთვის დევნა დაუწყიათ იქ მყოფ ქართველებსა და ბერძნებს და, როგორც თვითონ ლაპარაკობს, მუშაობის საშუალება არ მიუციათ. გელათში დავით აღმაშენებელს იოანესათვის ყოველგვარი პირობები შეუქმნია. იოანე ამბობს, რომ იგი მუშაობს დავით მეფის მფარველობთ და ზრუნვით, „კელინსა შინა გაენათისასა“. მას აქ რამდენიმე ფილოსოფიური და საღვთსმეტყველო თხზულება უთარგმნია ბერძნულიდან. იოანე პეტრიწი, როგორც ნეოპლატონიკოსო, საქართველოში ქმნის ფილოსოფიურ მიმართულებას. მან ქართული ლიტერატურა გაამდიდრა არისტოტელისა და ნეოპლატონიკური შრომების თარგმანებით, რომელთაც დაურთო ვრცელი კომენტარები, შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია და სხვა. XIII ს-ში გელათში მოღვაწეობს პეტრიწის მიმდევარი ფილოსოფოსი და მთარგმნელი პეტრე გელათელი, რომელმაც თარგმნა იოანე სინელის „კლემაქსი“ ანუ „სათნოებათა კიბე“.

მკვლევართა აზრით, გელათის აკადემიაშიც ძირითადად სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორიც საერთოდ იმ დროის ქრისტიანულ აღმოსავლეთში. ქართული წყაროების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გელათის აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად ისეთივე იყო, როგორც იმ დროის ბიზანტიის სხვა აკადემიებისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზანტიის უმაღლეს სკოლებში ყველგან ერთნაირი რაოდენობისა და სახის სასწავლო დისციპლინები არ ყოფილა მიღებული. აქაც დაახლოებით იგივე სამეცნიერო დისციპლინები ისწავლებოდა, ტრივიუმ-კვადრივიუმის ცნობილი საგნები: რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, და ასტრონომია.

ქართულ წყაროებში შემონახულია ცნობები გელათის აკადემიის უფროსის, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რექტორის შესახებ, რომელიც მოძღვართ-მოძღვრის ტიტულს ატარებდა. იგი მეცნიერი ბერია. უფლებით და ავტორიტეტით მოძღვართ-მოძღვარი მაღლა დგას კორპორაციის ყველა ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფლებაზე, მათ შორის მონასტრის წინამძღვარზეც. გელათის მოძღვართ-მოძღვარს არა მხოლოდ მონასტერში, მთელს საქართველოშიც უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. იგი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდმოხელე სასულიერო პირთა (ჭყონდიდელი, ქართლისა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები) რიგში არის ჩარიცხული. ოფიციალური კანონის („ხელმწიფის კარის გარიგების“) ძალით მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული. ასე მაგ., დიდ დარბაზზე დასასწრებლად მოძღვართ-მოძღვარს საგანგებოდ ეგზავნება ერთი ჯორი და სამი ცხენი (ორი ცხენი მოწაფეებისათვის), დარბაზში პირველად ის შედის, შემდეგ კი კათალიკოსი. მეფეც ყველაზე მეტი პატივისცემით მას ესალმება, ვიდრე

კათალიკოსებს და ჭყონდიდელს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „მოძღვართ-მოძღვარი“ „მოძღვრების“ მოძღვარს კი არ გულისხმობდა, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეგონოს. ამ ცნებაში „მოძღვარი“ ნაგულისხმევია აღმატებით ხარისხში. ე. ი. „მოძღვარი“, რომელიც ყველაზე წარჩინებულია, ჩვეულებრივ მოძღვარზე მეტად ნასწავლია („მოძღვარი“ ძველად მასწავლებელს ნიშნავდა). ანალოგიას ძველ საქართველოში წარმოადგენს „ერისთავთ-ერისთავი“, რომელიც არასდროს ერისთავთა უფროსი არ ყოფილა, არამედ ყველაზე დიდი ერისთავი და დიდი მოხელე იყო. „მოძღვარი“ ძველ მონასტრებში მეცნიერ ბერს ეწოდებოდა, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და მათ ეცნიერებას, მწერლობას და რაიმე ხელოვნებას ასწავლიდა. გელათის მოძღვართ-მოძღვარიც ასეთივე მასწავლებელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ მოძღვრებთან შედარებით მას უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა და სკოლის უფროსიც იყო.

საინტერესო გარემოებაა, რომ ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის უფროსი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ანალოგიური სახელწოდების მქონეა – „დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“.

საბუთებით დადგენილია, რომ XIV ს-ში საქართველოში მხოლოდ ერთი, გელათის, მოძღვართ-მოძღვარი არსებობდა (ნ. ბერძენიშვილი). ეს საყსებით-გასაგები გარემოებაა, რამდენადაც XIV საუკუნეში საქართველოში სხვა აკადემიის არსებობა საგულისხმებელი არ არის, თუმცა მონასტრებში მოძღვრები კი იყვნენ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოში გვიან ხანაში (XVII-XVIII სს.), როცა უკვე მოძღვართ-მოძღვართა რიცხვი გამრავლდა, იხსენიებიან ისინი ჩვეულებრივ ისეთ მონასტრებში, სადაც სკოლა არის.

გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვართა შორის

ცნობილნი არიან: ანტონი (XIII ს.), საბა (XIV ს.), ილარიონი (1502-1519 წ.), მანასე (1527 წ.).

გელათის აკადემიამ იარსება XVI საუკუნის პირველ ოცეულ წლამდე, მაგრამ მუშაობა იქ ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა. აკადემიის ცხოვრება იმდენად მინელებულა, რომ XVI საუკუნის ოციანი წლებიდან მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი ქრება. ამის შემდეგ გელათში არცერთი მოძღვართ-მოძღვარი აღარ იხსენიება. მაგრამ ამ დროიდან გელათში უკვე საეპისკოპოსო კათედრა არსდება და გელათში ეპისკოპოსები ჩნდებიან. ეპისკოპოსი ახალი, მაღალი სასულიერო თანამდებობის პირია, მანამდე გელათში ეპისკოპოსობა არ არსებობდა. საყურადღებო გარემოებაა, რომ იმერეთის მეფე ბაგრატი გელათის მონასტრის აღორძინების მიზნით (იყო სხვა მიზეზიც) მოძღვართ-მოძღვრის ნაცვლად გელათში საეპისკოპოსო კათედრას აარსებს. ამის შემდეგ გელათელ ეპისკოპოსს სამეფო კარზე ასეთივე უფლებები და პატივი ენიჭება, როგორც მოძღვართ-მოძღვარს ჰქონდა ძველად ცხადია, ეპისკოპოსის მოვალეობა, როგორც სასულიერო იერარქისა განსხვავებული იყო.

უმაღლესი სასწავლებლის გაუქმების შემდეგაც გელათს არ დაუკარგავს მწიგნობრული ცენტრის მნიშვნელობა. მართალია, ამ დროისთვის, როგორც საერთოდ, ისე აქაც, ნაკლებად იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, უფრო ძველ ხელნაწერთა გადაწერით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ ამ მხრივაც გელათი სხვებზე წინ იდგა.

XVI საუკუნეში განსაკუთრებით გამოირჩევა აქ გელათელი ეპისკოპოსების: ევდემონ ჩხეტიძის (1557–1578 წწ.), ექვთიმე საყვარელიძის (1578–1616 წწ.) და ზაქარია ქვარიანის (1637-1660 წწ.) მოღვაწეობა. მათი შეკვეთით მრავალი ხელნაწერი იქნა გადაწერილი და გამრავლებული.

XVII საუკუნის ცნობით გელათს ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, სადაც მრავალი საეკლესიო და საისტორიო შინაარსის წიგნები ყოფილა დაცული. XVII საუკუნეში, 1650-51 წლებში, რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იეველეი „წიგნსაცავის“ შესახებ მიუთითებენ რომ ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველში. წიგნებით სავსე კიდობანი მდგარა. „წიგნსაცავში“, როგორც ზაქარია ქვარიანს, გენათელ ეპისკოპოსს, ელჩებისათვის უთქვამს, მრავალი საეკლესიო და საისტორიო წიგნები ყოფილა. მათ შორის იყო თურმე წიგნი ბერძენ და იმერეთის მეფეთა გამარჯვებების შესახებ.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გელათმა, არა მხოლოდ მწიგნობრობის მხრივ, არამედ კულტურის სხვა დარგშიც (ოქრომჭედლობა, მხატვრობა და სხვ.) ბოლომდე (XVIII საუკუნის დასასრულამდე) შეინარჩუნა პირველობა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ იგი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მტრების შემოსევების ჟამს ნაკლებად განიცდიდა აოხრებას. სხვა სავანეები ამ მიზეზით საგრძნობლად დაკნინდნენ და მოისპენ კიდეც.

XII საუკუნეში ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ოპიზისა და ტბეთის სკოლის შემდეგ გელათი ითვლებოდა. გელათმა ამ მხრივ სრულიად დამოუკიდებელი სტილი და ტექნიკური შესრულების წესი შეიმუშავა, რომლის გავლენა დიდხანს არსებობდა საქართველოში.

გელათში, გარდა იმისა, რომ მზადდებოდა ოქრომჭედლობის ნივთები, თავს იყრიდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დახიზნის მიზნით, ხელოვნების მრავალი ძვირფასი ძეგლი. გელათი შუა საუკუნეებში ქართული კულტურის თავისებურ მუზეუმს წარმოადგენდა.

XII ს-ში გელათში იქნა გაჭედილი მსოფლიოში განთქმული „ხახულის ღვთისმშობლის“ ხატის სახატე

(განი 2 მ; სიმაღლე 1,75 სმ). სახატე გაკეთებულია მოოქრულ ვერცხლისაგან, ზედაპირი მთლიანად დაფარულია მცენარეული და გეომეტრიული სახის რელიეფური ორნამენტებით, ადგილ-ადგილ ჩასმულია მინანქრის მედალიონები, ძვირფასი თვლები და სხვ. სათანადო ადგილზე არის ბერძნული და ქართული წარწერები. თვითონ ხატი („თავი ხატი"), ღვთისმშობლის გამოსახულება, რომელიც მოთავსებულია სახატეს ცენტრში, მინანქრისგანაა (ოქროსე) დამზადებული ხახულის მონასტერში (ხახულის მონასტერი ამჟამად თურქეთის ტერიტორაზეა). ხატი გადმოტანილია ხახულიდან გელატში დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრეს დროს (1125-1154 წწ.). მარალი მხატვრული შესრულებისა და მინანქრის დიდი რაოდენობის მიხედვით ეს ხატი მისი სახატითურთ მსოფლიოში უნიკუმად ითვლება.

გელათში არის გაკეთებული ოქროზე ნაჭედი ცნობილი „გელათის ღვთისმშობელი", რომელიც შეუკვეთია, როგორც ამ ხატზე მოთავსებული მხატვრობიდან და წარწერიდან ჩანს, იმერეთის მეფეს ბაგრატს (1510-1565 წწ.). XVIII ს-ში ეს ხატი ჩაუსვამთ კარებიან სახატეში მეფის ალექსანდრე გიორგის ძის (1720-1751 წწ.) შეკვეთით.

ცნობილი „აწყურის ღვთისმშობელი" შეუმკიათ გელათში იმერეთის მეფის გიორგის (1565-1583 წწ.) და მისი მეუღლის თამარის შეკვეთით. სახატე დაუმსადებიათ 1764 წელს იმერეთის მეფის სოლომონ I-ს შეკვეთით.

ყველა ეს ძეგლი და ამასთან გელათური სხვა მრავალი ნიმუში ამჟამად ექსპონირებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ რუსეთიდან ჩამოსულ ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს 1650-1651 წლებში გელათში ყოფნისას საგანგებო ყურადღება მიუქცევიათ ზემოჩამოთელილი ხატებისათვის და მათი დეტალური აღწერა, სხვა ნიმუშებთან ერ-

თად, შეუტანიათ კიდეც თავიანთ დღიურებში.

ასეთია გელათის ძეგლის მოკლე ისტორია... მრავალი რამ ჯერ კიდევ გამოვლენილი და შესწავლილი არაა. გელათის ისტორიის სისრულით წარმოდგენისათვის საჭიროა მეცნიერ-სპეციალისტთა შემდგომი მუშაობა.

თამარის საფლავი

ბაბილინა ლომინაძე

რატომ დაიკარგა თამარ მეფის საფლავი გელათში

(ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, №4, 1995)

თამარ მეფის თანამედროვენი, კარის ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებში აღწერენ რა თამარის მოღვაწეობას, დაწვრილებით გადმოგვცემენ მისი გარდაცვალებისა და გელათში დამარხვის ამბავსაც. ისინი წერენ:

„მიიცვალა თამარი ხმელსა დგომასა შინა... წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათსა და დამარხეს პატიოსანსა. დაუტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას".[2]

მეორე ისტორიკოსი უმატებს ასეთ ცნობას: აგარის ციხიდან ცხედარი „მცირესა შინა დღეთა მცხეთად დადგეს და, მერმე უკანასკნელ, თვით მუნვე, გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა დადებად მუნ შინა სამკვიდრებელსა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა მისთა მეფეთა". [3]

მესამე ისტორიკოსი წერს: „თამარი აღვიდა წინაშე ღმრთისა... თვესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა აგარათა სომხითისასა, ქრონიკონს ოთხას ოცდაშვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს... იგლოვა ყოველმან ამან სოფელმან უამსა ჯეროვანსა..." [4]

---

2 *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (XII-XIII ს.). ქართლის ცხოვრება, ტ. II. გამოცემა ს. ყაუხჩიშვილისა, 1559 წ. გვ. 112-113.*

3 *ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე (XII-XIII ს.). ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამოცემა ს. ყაუხჩიშვილისა, 1955 წ., გვ. 369.*

4 *А. Муравьев, Грузия и Армения, ч. III, стр. 159-213; დ. ბაქრაძე. დას. ნაშრ. გვ. 1017-1018; ბ. ლომინაძე. გელათი, 1955, გვ. 45.*

ამას უნდა დავუმატოთ ის გადმოცემა და ტრადიცია, რომელიც გარკვეულ დრომდე გელათში ყოფილა დაცული. კავკასიის სიძველეთა ცნობილ მკვლევარს, ა. მურავიოვს გელათის მონასტრის დათვალიერების დროს, 1842 წელს, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდრის შესახებ საინტერესო გადმოცემა მოუსმენია. იმერეთის მიტროპოლიტს, დავით წერეთელს მისთვის უთქვამს, რომ სოლომონ პირველის მამის, ალექსანდრე გიორგის ძის (1720-1751) დრომდე ყოველწლიურად, თამარის ხსენების დღეს, ამ ეკვდერში თამარის საფლავის ქვას ახდიდნენ და პანაშვიდს იხდიდნენო. მოგზაურის დასკვნით, ამ გადმოცემას რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდა და, შესაძლებელია, ეს ჩვეულება მოისპო მას შემდეგ, რაც იქ ალექსანდრე მეფის მეუღლე მარიამი დაასაფლავესო .

არა გვაქვს საფუძველი არ დავუჯეროთ ამ ოთხი ცნობის ავტორებს: პირველთ – თამარის დასაფლავების თვითმხილველთ და მეოთხეს – გელათში ზეპირი გადმოცემის მსმენელს.

1919 წელს გათხრილ იქნა ხსენებული ეკლესია. გათხრამ გამოაელინა მხოლოდ ორი ჩონჩხი, რომელთაგან არც ერთი არ იქნა მიჩნეული თამარის ნეშტად. ერთი მიეკუთვნა ზემონახსენებ იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს, ხოლო მეორე მის მეუღლეს – მარიამს (ამ მეფეს 1730 წელს განუახლებია, ეს მანამდე მივიწყებული ეკვდერი თავის სასაფლაოდ, მისთვის თავისი სახელწოდებაც მიუცია და სხვ. ამ სახელდახელოდ ჩატარებულმა გათხრამ შედეგი ვერ გამოიღო. ჯერჯერობით გამოვლენილი არაა რაიმე ისეთი ნაშთი, რომელიც თამარის სამარხ ადგილს გელათში ზუსტი ლოკალით გვიჩვენებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია, არც იმის მოწმობად გამოდგება, რომ უარვყოთ თამარის დასაფლავება და საფლავი გელათში.

მით უფრო, როცა ამაზე არსებობს ზემომოტანილი ჩვენებები. საქმე ისიც არის, რომ დრესდენობით გელათში არ ჩანს გაერთიენებული საქართველოს არც სხვა მეფეების სამარხები, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა აქ არის დასაფლავებული. ამ პერიოდიდან გამონაკლისია მხოლოდ დავით აღმაშენებლის საფლავი, რომელიც ცნობილია ლოკალურად გელათში წარწერიანი საფლავის ქვით ფსალმუნის სიტყვებით. დავით ნარინის საფლავს მიუთითებს დავით ნარინის პორტრეტული გამოსახულების არსებობა ერთ-ერთ ეკვდერში... [5]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თამარის დროიდან მოყოლებული, არც ერთ ძველ ისტორიკოსს (და თითქმის არც XIX საუკუნეების მკვლევართ), ვინც თამარ მეფის პიროვნებას შეხებია, არც საეჭვოდ და არც საკამათოდ არ გაუხდია მოტანილ ისტორიულ წყაროთა ჩვენება. ეს იმასაც მოწმობს, რომ ავტორებს უეურადღებოდ არ დარჩებოდათ ამ ცნობის სხვა ვერსიაც, იგი რომ სადმე, წერილობით და ზეპირ გადმოცემებში არსებული და ან რეალობის ამსახველი ყოფილიყო.

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის საისტორიო თხზულებაში გელათის აღწერისას მიუთითებს: „აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან... ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხვანიცა, და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი“.[6] ამასვე იმეორებს ისტორიკოსი ნიკო დადიანი თავის ნაშრომში, რომელიც დაიწერა 1823-24 წელს.[7]

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი დიმ-

---

5 *ბ. ლომინაძე, დას. ნაშრ., გვ. 45, 54 და სხვ.*

6 *ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, 1973 წ. გვ. 754.*

7 *ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 149 (ნ. დადიანი ცხოვრობდა 1780-1834 წწ-ში).*

იტრი ბაქრაძე (1826-1890) თავის ერთ-ერთ ნაშრომში ასახელებს გელათში დასაფლავებულ მეფეებს, მათ შორის თამარსაც. იქვე შენიშნავს: „თამარ მეფის დასაფლავების ადგილის შესახებ არის სხვადასხვა აზრი: ერთნი მიუთითებენ სვანეთს, სხვები ვარძიას, მესამენი – გელათს. უკანასკნელი აზრი უეჭველია“ [8] (XIX ს-ის სხვა მკვლევრებს აღარ დავასახელებ). გელათი იყო აღიარებული თამარის საფლავად XIX ს-ის მწერლობაში და პოეზიაში (იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ.).

XX საუკუნის მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც თამარ მეფისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ნარატიულ წყაროზე დაყრდნობით თამარის საძვალედ მიუთითა გელათი. [9]

თამარ მეფე, როგორც საქართველოს იძლიერესი მეფე, ეროვნულ გმირად ამაღლებული პიროვნება, საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანის“ შემოქმედი, მრავალი მხრით არის ასახული ხალხურ თქმულებებში, მაგრამ მათში საკმაოდ ბევრი ფანტაზია და ზღაპარია. თამარის საფლავის შესახებ თანამედროვე ფოლკლორისტების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილია მრავალი ლეგენდა. თითოეული მის საფლავს თავის მხარეში უჩვენებს, მაგ., სვანები – სვანეთში, მესხები – ვარძიაში, ოსები – ოსეთში და ა.შ. გავრცელებულია ასევე ლეგენდა, რომელიც თამარის საფლავს დამალულად აცხადებს, რადგან მის გვამს სკვდილის შემდეგაც

---

8 Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Акты, т. VI, ч. стр. 1017.

9 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1983 წ. გვ. 291 (პირველად გამოიცა 1914 წელს). თამარ მეფის საფლავის გელათში უეჭველი არსებობის საკითხს ჩვენს დროში შეეხო ბ. ლომინაძეც და სხვებიც. გელათი, 1955 წ., გვ. 45-46; გელათი (მეგზური) მეორე გამოცემა. 1959 წ. გვ. 33 (პირველი გამოცემა 1958 წ.).

ემუქრებოდნენ მტრებიო და სხვ. ამ ლეგენდებს და სხვა ამის მსგავსთ არაფერი საერთო ისტორიულ სინამდვილესთან არ აქვთ: ისინი გამოხატავენ მხოლოდ სიყვარულსა და პატივისცემას თამარისადმი: თითოეულ მოქმელს სურს მისი კუთხე თამარის სახელს უკავშირდებოდეს, თამარი მისი კუთხისათვის ახლობელი იყოს... [10]

საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა ზურაბ ავალიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „ჯვაროსანთა დროიდან“ (პარიზი, 1929 წ.). ავტორს მოტანილი აქვს ფრანგი დე ბუას წერილი, გაგზავნილი ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი (XII-XIII ს.). ამ წერილში ლაპარაკია ჯვაროსანთა ლაშქრობის შესახებ იერუსალიმის დასაცავად სარკინოზთა (მაჰმადიანთა) წინააღმდეგ. რაინდი ამასთან დაკავშირებით წერს „გაგონილს“ ამბავს, რომ იბერიიდან გეორგენებმა (ქართველებმა) „ურწმუნოებს“ დიდი ზიანი მიაყენეს იერუსალიმის მიმდებარე მხარეების ბრძოლებში; ისინი „მოვლენ წმინდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად და დაიმორჩილებენ ურწმუნოთ“. „მათი 16 წლის მეფეს მოაქვს... დედამისის, უძლიერესი დედოფლის, თამარის ძვლები, ვინაიდან თამარს მისთვის სიცოცხლეშივე ანდერძად დაუტოვებია: „ერუსალიმში, უფლის საფლავის ახლოს დამარხეა“. „მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება...“ ამ ცნობის საფუძველზე ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მეფე თამარის ნეშტი გელათიდან გადასვენებულ იქნა იერუსალიმში. მეორე ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს. ამჟამად ჩვენ ვერ შევუდგებით დასახელებული წერილის ისტორიულ-არქეოლოგიურ განხილვას, ვთვლი მას (სხვადასხვა ნიშნების გამო) არასანდო წყაროდ, მაგრამ ამაზე

---

10 ბ. ლომინაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 46; დ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 1017. ლეგენდები საფლავის შესახებ, ჩემი აზრით, წარმოშობილია XIX ს-ში, მისწვდეს სიტყვას ალარ გაეგრძელებ

ახლა ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ აზრის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს და იმათაც, ვისაც შესაძლებლად მიაჩნიათ გელათიდან თამარის იერუსალიმს გადასვენება, ყურადღება არ მიუქცევიათ იმ ფაქტისათვის, რომ ქართველ მართმადიდებელი საზოგადოების აზროვნებაში თავიდანვე და შემდეგშიც არ ყოფილა იდეალი იერუსალემში დასაფლავება (ამას თავისი მიზეზი აქვს). სამაგიეროდ, სურვილი და იდეალი იყო: იერუსალიმის მონახულება სალოცავად და სამკურნალოდ წასვლა,[11] იქ მონაზვნად შედგომა, მონასტრების დაარსება, აღაპისა და მოსახსენებლის გაჩენა იქაურ ქართულ ან ადგილობრივთა მონასტრებში; საეკლესიო-სამწიგნობრო მოღვაწეობისათვის მისვლა; იერუსალიმის, როგორც „წმინდა მიწის“ მტრისაგან დაპყრობისა ან ბატონობის დროს და სხვ. (ეს სრულდებოდა და შესრულება დამოკიდებული იყო, პირველ რიგში, მატერიალურ შესაძლებლობებზე). საქართველოს ისტორიაში არ არის მაგალითი იმისა, რომ იერუსალიმში ვინმე საქართველოდან წაესვენებინათ იქ დასამარხად (მით უფრო საერო პირი), ან ვინმეს ანდერძად დაეტოვებინოს იერუსალიმში დამარხვა (ამისი არც შემთხვევა და არც ტრადიცია არ არსებობდა). ცხადია, ამ მოვლენის არსებობას ჰქონდა როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური მიზეზები... თვით იმ პერიოდშიც, როცა ქართველებს „იერუსალიმის კლიტენი“ (ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესია, „გოლგოთა“ და „საფლავი“) ეპყრათ, ან, როცა იგი მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს (XIV ს.)

---

11 ქართველთა ამ ჩვეულებათა შესახებ გვაქვს V საუკუნის წერილობითი ცნობა (წმ. შუშანიკის წამება); გვიანი ხანის სიგელებში დადებული გარიგების მოშლისათვის დამნაშავე იწყეველება ასეთი ფორმულით: „...ნუმცა იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან ნურცა წირვითა, ნურცა გლახაკთა მიცემითა, ნურცა იერუსალიმს წასვლითა, ნურცა საყდრის შენებითა, ნურცა საუფლო ხატისა მოქმედითა...“ (1586 წ.).

დაიბრუნეს, მაშინაც არ არის ცნობა იქ ვინმეს დამარხვაზე. ერთი სიტყვით, ეს დეტალი და კიდევ სხვა რამეც უკარგავს ამ ევროპულ ცნობას სანდოობას. მიუღებელია ამ ცნობის საფუძველზე ჩავთვალოთ სინამდვილედ ან შესაძლებლად თამარის იერუსალიმში გადასვენება.

თამარის საფლავის ადგილსამყოფელის კვლევა, ჩემი აზრით, დღეს (1990-იან წლ.) სწორი მიმართულებით არ მიდის. ჯერ ერთი, საკითხის განხილვაში ჩაერივნენ არაკომპეტენტური პიროვნებები, ამავე დროს, ზოგიერთი თამარის საფლავს ეძებს უსაფუძვლოდ გელათის გარეთ: საქართველოს მღვიმეებში, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იქ ახლახან ბერძენი არქეოლოგის მიერ ორი ქალის ჩონჩხის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ამ თემაზე დაიწერა ჟურნალ-გაზეთებში სტატიები, გადმოიცა ტელევიზიით სპეციალური საუბრები, მიუძღვნეს სამეცნიერო სხდომები, არქეოლოგიური ექსპედიციები და სხვ.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ქართულ ისტორიოგრაფიაში უდავოდ აღიარებული დებულების განმტკიცებას: მოტანილია თამარ მეფის საფლავის გელათში არსებობის სხვა მასალაც და ახსნილია, რატომ „დაიკარგა“ გელათში საფლავის ადგილი.

* * *

თამარ მეფის საფლავის გელათში არსებობის თაობაზე, გარდა ზემომოტანილი ჩვენებებისა, ინტერესს იწვევს გელათის მონასტრის ერთი, XIII საუკუნის სიგელი („დაწერილი“), რომელიც გაცემულია 1260 წელს / 67 წელს. ამ საბუთში სხვა „მწირველებთან“ ერთად მოხსენიებულია „თამარის მწირველიც“ [12] . ეს მითითება მოწმობს (ჩემი

12 *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, 1887, გვ. 160-162.*

ანალიზით) გელათის მონასტერში თამარ მეფის [illegible] ველისა და სამწირველოს არსებობას და იმას, რომ [illegible] მეფის ნეშტი ამ დროისათვის და, მით უფრო შემდეგ, არსად არ ყოფილა გადატანილი.

ვიდრე ხსენებული საბუთიდან ასეთ დასკვნას გავაკეთებთ, საჭიროა, პირველ ყოვლისა შევეხოთ საბუთის არქეოგრაფიულ მონაცემებს, შემდეგ ტექსტის ფილოლოგიურ შინაარსს, ბოლოს კი განვმარტოთ ტექსტის რელიგიური შინაარსი.

საბუთი წარმოადგენს თამარ ემენელისძის მიერ გელათის მონასტრისათვის ს. კვახჭირის შეწირულების აქტს (თამარი იყო მეფე რუსუდანის ძის, დავითის (ნარინის) „ცოლი"). საბუთი გამოსცა 1897 წ. თ. ჟორდანიამ XVII საუკუნის (ხუცურად დაწერილი) პირის მიხედვით. დედანი და ეს პირიც ამჟამად დაკარგულია. ბოლო ორი გამოცემა ი. დოლიძისა[13] და კორპუსისა I,[14] იმეორებს თ. ჟორდანიას გამოცემას.

XVII ს-ის პირის ტექსტში აბზაცებად დაყოფა და სასვენი ნიშნების დასმა ეკუთვნით ზემოდასახელებულ გამომცემლებს. დედანში არსებობდა სიტყვათა მხოლოდ განკვეთის ნიშნები, მაგ. წერტილები ვერტიკალურად და ა. შ. XVII ს-ში დედნიდან პირის გადაღების დროს განკვეთის ეს ნიშნები არ გადმოჰქონდათ, სამაგიეროდ, სიტყვებს აშორებდნენ ერთმანეთისაგან მანძილის ყოველგვარი ნიშნის გარეშე. ამ ფაქტზე ყურადღებას ვამახვილებ იმისათვის, რომ ავხსნა, თუ რამ გამოიწვია ამ საბუთის დასახელებულ სამ გამოცემაში სამგვარი პუნქტუაცია:

---

13 *ართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1965, გვ. 75-76, 599-600.*

14 *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. 1984, გვ. 163-164.*

ის გამომდინარეობს გამომცემელთა მიერ ტექსტის სხვადასხვანაირი გაგებიდან.

საბუთი ტიპიურია მონასტერში შემწირველისათვის (ამ შემთხვევაში საძვალეში) სულის სამსახურისათვის საუკუნო „სამწირველოსა“ და „მწირველის“ გამოყოფის შესახებ. [15]

თამარ ემენელიძის ასულს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს ნასყიდი სოფ. კვახჭირი და „პატრონთაგან“ ბოძებული ორ-ორი გლეხი. ყველა ეს მამული დაუდევს მონასტერში მისთვის „საუკუნი სულის სახსენებლად და სამწირველად“ („სამწირველოს გაჩენა გულსყიდგინე...“ „ვიჩინე მწირველად ჩემად ღირსი და პატიოსანი კანდელაკი იოანე...“). აქვე არის განსაზღვრული მის მიერვე, თუ როდის და რა წესით გადაიხადოს ამ მწირველმა მისთვის აღაპი, როგორ უნდა დააკმაყოფილოს მატერიალურად აღაპის დღეს ჩატარებულ წირვა-ლოცვაში მონაწილე მონასტრის უფროსობა და რიგითი ძმები (იერარქიული თანრიგით); მითითებულია აგრეთვე მწირველის გარდაცვალების შემთხვევაში რა წესით უნდა დაადგინოს მონასტერმა მომდევნო მწირველი: „შემდგომად მისა, თუ გაზრდილი იყოს მისი, ის დაადგინოს“ და სხვ. ამ საბუთიდან ვგებულობთ, რომ შემწირველ თამარს ამ მამულების გარდა მონასტრებისათვის გადაუცია ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც მისგან ამ სოფლის (კვახჭირის) ნასყიდობას შეეხებოდა („ჩ“ წერილი) და ის „სიგელიც“, რომელიც ადასტურებდა იმას, რომ ეს გაყიდული სოფელი ნამდვილად ამის გამყიდველს, ვინმე ბეღეს ეკუთვნოდა (რომ იგი მას „პატრონთაგან“ ბოძებული ჰქონდა). [16]

საბუთში იქ, სადაც ამ დოკუმენტების მონასტრისათვის

---

15 „სამწირველოსა“ და „მწირველის“ განმარტება იხ. ქვემოთ.

16 ხსენებული დოკუმენტების ჩაბარება მონასტრისათვის საჭირო იყო შეწირულობის უდავობისა დამტკიცისათვის.

გადაცემაზე არის მითითება, ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილი (მომაქვს „ კორპუსის,I“ წაკითხვით,რომელიც მართებულად მიმაჩნია შედარებით სხვა გამოცემათაგან):

„და თვით იგი სიგელი და ბეღესაგან ჩემთვის მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა კითხვითა,მოხსენებითა და მოწმებითა დიდისა მოძღვართ-მოძღვარისა, **დავითის მწირველისა**– ანტონისათა, დიდისა მონასტრისა წინამძღვრისა, **პატრონთა** მწირველისა იოვანესითა **პატრონთა** გამზრდელისა, **თამარის მწირველისათა** – ილარიონ ფავნელისათა, პეტრე დეკანოზისა და ყოველთა დიდისა დავითის ძმათა“.

აქ დასახელებულია სრული კრებული (რომელიც მართავდა მონასტერს). მათში პერსონალურად ჩამოთვლილია მმართველები იერარქიული თანმიმდევრობით: მოძღვართ-მოძღვარი, წინამძღვარი, დეკანოზი და „დავითის ძმები“ (იგულისხმება უფროსნი), იქვე დამატებულია მითითება, თუ რომელი მათგანი ვისი მწირველია.

ვინ არიან: **„დავითი“,„პატრონნი“,„თამარი“**,რომელთაც თითოეულს ცალ-ცალკე მწირველი ჰყავს მონასტერში?

დავითის მწირველია მონასტრის მოძღვართ-მოძღვარი ანტონი.

ტექსტის კომენტარში თ. ჟორდანია აღნიშნავს: „ეს დავით აღმაშენებლის მწირველია,როგორც გელათის მაშენებლისი“. დავითი თვით ამ საბუთის შესავალ ნაწილშიც მოხსენებულია აღმაშენებლად: „დავსდევ დიდსა და წმიდასა მონასტერსა დიდისა **დავითის აღმაშენებლისა**, ღვთივგვირგვინოსანთა მეფეთ-მეფისა სამკვიდრებელსა გელათსა...“ [17] ამ მხრივადაც არ უნდა იწვევდეს ეჭვს,რომ აქ **„დავითის მწირველში“** დავით აღმაშენებელია ნაგულისხმევი. საერთოდ, როგორც ცნობილია, ეკლესია-მონას-

17 *ქრონიკები, II, გვ. 161.*

ტრებში საუკუნო სახსენებელსა და მწირველ-სამწირველოს უწენდნენ პირველ რიგში მის აღმაშენებელს. დაჲითს მწირველი ეყოლებოდა იმ გარემოების ძალითაც, რომ მან გელათი ააშენა თავისი და თავის მემკვიდრეების საძვალედ.

გელათის სხვა, შემონახული საბუთების მიხედვით, დავით „აღმაშენებლის „მწირველი“ მოქმედია XVI ს-შიც: იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის 1545 წლის სიგელში გელათის წმ. გიორგის ეკლესიისადმი ჩამოთვლილია ამ მეფისათვის გადახდილ წირვაში მონაწილეები, მათ შორის თვით მეფის „მწირველი“ (მისი მოძღვარი), „გაენათლი“ (ეპისკოპოსი), **„ამშენებლის მწირველი“**, „მეფის ვახტანგის მწირველი“, „მეფის ალექსანდრის მწირველი“ და სხვ.; [18] 1573 წლის გიორგის ბაგრატის ძის სიგელში გელათისადმი **ულუხანის** (გელათში დასაფლავებულის) სულისათვის მოსახსენებელ წირვაში მონაწილეთა შორის დასახელებულია „გაენათელი“, „მეეკდრენი“, „აღმაშენებლის მწირველი“ და სხვები.[19] როგორც ეხედავთ, ამ პერიოდში შედარებით ძველთან დაჲითის მწირველი არ არის მონასტრის უმაღლესი იერარქი, მაგ.: „გაენათელი“, არც წინამძღვარი...

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, **თამარ ემენელისძის საბუთში მოხსენიებული „დავითი“ უნდა მივიჩნიოთ „აღმაშენებლად“.**

2. „პატრონთა მწირველია“ მონასტრის წინამძღვარი იოანე, ის „პატრონთა გამსრდელიც“ არის.

„პატრონები“ დასახელებულია ვინაობათა გარეშე, ამის გამო ძნელი სათქმელია, სახელდობრ ვისი მწირველი

---

18 საქართველოს სიძველენი II, გამოცემა ექ. თაყაიშვილისა, 1920 წ. გვ. 17018.

19 დასაცლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1921, გვ. 30.

იყო იოანე მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ რამდენიმე „პატრონს“ ერთი მწირველი ჰყოლია – იოანე წინამძღუარი (და „გამზრდელიც“ ერთი).

საერთოდ, ძველი საისტორიო ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ადამიანთა შორის რაიმე ურთიერთობას ასახავდნენ, „პატრონად“ იწერება და ზეპირად ითქმება ცოცხალის, და არა მიცვალებულის მიმართ. მაშასადამე, ამ საბუთის გაცემის დროს ეს „პატრონები“ ცოცხლები იყვნენ და, პირველ რიგში, წარმოადგენდნენ დავით რუსუდანის ძის ოჯახის წევრებს, თუ ნათესაურად ახლობლებს. უჩვეულო სრულიად არ იქნებოდა, ამ „პატრონებს“ თავის „მწირველადაც“ თავიანთი „გამზრდელი“, იოანე წინამძღვარი („მწირველად“, ე.ი. მათი სულის მსახურადაც) დაესვათ.

2.**„თამარის მწირველია“** ილარიონ ფავნელი, პეტრე დეკანოზი (კორპუსის I წაკითხვით). [20]

3.ვინ არის თამარი, რომელსაც გელათში მწირველი ჰყავს (ერთი თუ ორი), იგი არის **„თამარ მეფე“** თუ **„პატრონთა გამზრდელი“**?

თ. ჟორდანიას გამოცემაში ეს ადგილი წაკითხულია ისე, რომ თამარი გამოდის „პატრონთა გამზრდელად“: „პატრონთა გამზრდელისა თამარის მწირველისათა, ილარიონ ფავლენისი“. თ. ჟორდანია შენიშნავს: „ისტორიამ არ იცის, ვინ არის ეს თამარ პატრონთა გამზრდელი“ (თამარის პიროვნების გარკვევაში გამომცემელს ხელი შეუშალა სასვენი ნიშნების მისებურმა დასმამ).

ციტირებულ ტექსტში „თამარი“ რომ მეფედ მივიჩნიოთ და არა „გამზრდელად“, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ბევრი რამ: უპირველეს ყოვლისა, ეს გამოდის

---

20 ტექსტში რადგან პერსონები არიან დასახელებული არიან თავისიევე მწირველებით. ამიტომ „თამარის“ მომდევნოდ დასახელებული პირები ასეთად უნდა მივიჩნიოთ.

წინადადების წყობის მიხედვითაც: აქ (ტექსტში) ჩამოთვლისას, წინა ორ შემთხვევაში, არ ახლავს ეპითეტი, თუ ვინ არის „დავითი“,„პატრონები“,წესით მესამე შემთხვევაშიც არ უნდა იყოს ეპითეტი-განმარტება ვინ არის თამარი, ამიტომაც ეპითეტი „პატრონთა გამზრდელი“ ეკუთვნის წინ დასახელებულ პიროვნებას, იოანე მწირველს და არა „თამარს“ (საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მწიგნობრები ზოგჯერ არღვევენ ენის ნორმებს). წინა ორ შემთხვევაში მწირველის ობიექტები არის მეფე ან პატრონების სახლის წევრი, მესამე შემთხვევაშიც ასეთივე პიროვნება უნდა ვიგულისხმოთ. ამას ხელს არ შეუშლის ის, რომ თამარის მწირველია დეკანოზი და არა უფრო მაღალი იერარქი. აქ მოქმედებს ხანდაზმულობაც. დავით აღმაშენებლის მწირველიც გვიანი საუკუნეების საბუთებში არ არის მაღალი იერარქი...

„თამარი“ რომ „პატრონთა გამზრდელად“ ჩავთვალოთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ ნიშნით ყოფილა სიაში შეტანილი. ეს კი ბევრ ისტორიულ შეუსაბამობას გამოიწვევს. ცხადია, აქ არ იგულისხმება „გამზრდელი“ – ძიძა. ძველი ქართული ყოფიერება კარგად იცნობს „გამზრდელ“-„გაზრდილის“ ინსტიტუტს. იგი გულისხმობს ადამიათა შორის გარკვეულ ურთერთობას, უმთავრესად სენიორ-ვასალის დამოკიდებულებას: როცა „გამზრდელის“ მეოხებითა და მის მიერ მიერ ხდება „გაზრდილის“ პოლიტიკურ-თანამდებობრივი, სოციალურ-ეკონომიკური (მატერიალური) აღმატება-დაწინაურება და ამაში გამოიხატება „გაზრდა“. იგი გულისხმობს აგრეთვე ცოდნა-სწავლაში მასწავლებლისა („გამზრდელის“) და მოწაფის („გაზრდილის“) ურთიერთობას. ორივე შემთხვევაში „გამზრდელი“ მაღლა დგას ცოდნითა და სოციალურ-ეკონომიკურად „გაზრდილზე“. ასეთი ურთიერთობა მყარდება როგორც საერო, ისე საეკლესიო საზოგადოებაში. ზოგ

შემთხვევაში „გაზრდილი“ თავიდანვე იმყოფება „გამზრდელის“ კარზე და იქ ხდება მისი ოჯახური აღზრდაც; როცა ეხებოდა აღსაზრდელის მეცნიერულ-მწიგნობრულ, სახელდობრ, ზნეობრივ-სასულიერო აღზრდას, ეს ხდებოდა უფრო ეკლესია-მონასტრებში, ზოგჯერ მეფე-წარჩინებულთა ოჯახებში. ამ მიზნით იწვევდნენ სასულიერო პირებს და სხვ. [21]

უნდა დავეთანხმოთ თ. ჟორდანიას იმ მხრივ, რომ ისტორიამ არ იცის ვინმე „პატრონთა გამზრდელი თამარი“. ცნობილია, ზოგიერთი ქალი „გამზრდელის“ სახელები: მაგ.: „რუსუდან დედოფალი“ „გამზრდელი“ (მეფე გიორგი III-ის დაი), იყო გამზრდელი პატარაობოდანვე თამარ მეფისა და დავით სოსლანის; რუსუდან მეფე იყო არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „გამზრდელი“. ცხადია, თამარ მეფესაც ეყოლებოდა „გაზრდილები“, მაგრამ მას „გამზრდელის“ ტიტულით არ მოიხსენიებდნენ ასეთი სახის დოკუმენტში. ამგვარად, ამ მხრივაც დარჩა ის აზრი, რომ ეპითეტი „პატრონთა გამზრდელი“ ტექსტში მივაკუთვნოთ ასევე „პატრონთა მწირველს“ – „იოანე წინამძღვარს, იოანეს“.

* * *

განსახილველ დოკუმენტში მოხსენებული საეკლესიო-რელიგიური ტერმინი „მწირველი“ საჭიროებს განმარტებას, რამდენადაც ის, როგორც ზემოთ ვთქვით, უკავშირდება თამარ მეფის საფლავის საკითხს. ამის თაობაზე წინასწარ უნდა ვთქვათ შემდეგი: შეიძელი თუ არა თამარ ემანელის საბუთის მიხედვით თამარის „მწირ-

21 მაგ., ეაზირი აჟთანდილი იყო „გაზრდილი“ მეფე როსტევანისა (რუსთ., XII ს.). კათალიკოს-პატრიარქის მელქისეულეკის „გაზრდილი“იყო იოანე ხუცესი, რომელიც მან მცხეთის სვეტიცხოველში თავის ეკლესიის „მწირველად“ დაადგინა (XI ს.) თავის მხრივ. მელქისედეკი „გაზრდილი იყო მეფე ბაგრატ კურაპალატისა“ და სხვ.

ველის“ დადასტურება გელათში, მაინც, არა ვარაუდით, არამედ უტყუარ ფაქტად უნდა ვაღიარო გელათში თამარ მეფის მწირველის (სამწირველოს) არსებობა, რადგან ქართველთა ეკლესიურ-რელიგიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით სოციალურად მაღალ წრეებში (მეფეთა, დიდებულთა...), საკუთარ საძვალე მონასტერში ასეთის არსებობას დასაბუთება არ სჭირდება: კელევა სჭირდება მხოლოდ სად, როდის, ვის სახელობაზე დაარსდა სამწირველო მწირველით და რა მიზეზით შეწყვიტა მან არსებობა და სხვ.

„მწირველის“ (სამწირველოს) გამნარტების შემდეგ შევეხებით გელათში არსებულ სამწირველო-ეკვედრების ისტორიიდან ზოგიერთ ფაქტს:

ეკლესია-მონატერი მოვალე იყო შემწირველისათვის გაეჩინა მისი სულის მუდმივი მოსახსენებელი: საერთო წირვა-ლოცვაში მოხსენიებით, ან საკუთრივ მისთვის დაეწესებინა წირვა-ლოცვა აღაპით, პანაშვიდით და ა.შ. „სამწირველოც“ ასეთივე სულის სამსახურია, მაგრამ ის წარმოდგენილია როგორც ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულია ის „საკურთხეველი“, რომელზედაც ტარდება შემწირველის სახელზე მუდმივი წირვა-ლოცვა და ის ობიექტები (სოფელი, გლეხები), რომლებიც „მწირველს“ აბარია ამ მომსახურებისათვის საჭირო „ხარჯებისათვის“ (ეს შემთხვევა, როგორც წესი, გულისხმობს ცალკე ეკვდერს). მწირველი იხდის შეკვეთილ წირვა-ლოცვას, აღაპს; ის თვითონვე, როგორც მღვდელმსახური ასრულებს მოსახსენებელ წირვას. მასვე ევალება საფლავის ფიზიკური მოვლა-გამშვენება; სამწირველოდ განკუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება გამოყოფილია ეკლესიის საერთო ქონებიდან, განსაზღვრულია მისი ხარჯის წესი და სხვ. „სამწირველოს“ „მწირველს“ ზოგჯერ, განსხვავებით ეკლესიაში სხვა მოქმედ მწირველისაგან, ეწოდება

„მემკვიდრე“, „წინამძღვარი“ (ეკედერისა), ან „მწირველი“ სახელდებით ვისი სამწირველოს მწირველია.

საგვარეულო მონასტრებში პატრონები ხშირად წინასწარ, გარდაცვალებამდე აარსებდნენ თავის „სამწირველოს“, იშენებდნენ ეკედერს, ნიშნავდნენ მწირველს, წინასწარვე განსაზღვრავდნენ სამწირველოდ შეწირულ ადგილ-მამულს, მოხმარების წესებს და ა. შ. [22]

სამწირველოს პირველი პატრონიც აწესებდა „მწირველის“ გარდაცვალების შემდეგ რა რიგით და წესით უნდა დაედგინათ მომდევნო მწირველი და სხვ. სამწირველო მისი მწირველებით არსდება სამუდამო მოქმედებისათვის, მისი მოშლა არავის არავითარი მიზეზით არ შეუძლია. მისი მუდმივი არსებობისათვის უნდა იზრუნონ სამწირველოს პირველი დამაარსებლის მემკვიდრეებმა, რომლებიც მომავალში იმარხებიან ამ ეკლესიაში ან ამავე ეკედერში. იმ შემთხვევაში, თუ სამწირველოს პირველი პატრონი უმემკვიდროდ გადაშენდა, მაშინ ამ ეკლესია-მონასტრის კრებულმა უნდა უხელმძღვანელოს სამწირველოს (დაადგინოს „მწირველი“, გაუსინოს შემოსავალი ა.შ.). საერთოდ, მონასტრის კრებულსაც თავისი ინიციატივით შეუძლია დააარსოს სამწირველო. ყოველივე ეს ფორმდება საგანგებო დოკუმენტით. [23]

გელათის მონასტერმა, როგორც მეფეთა საძვალემ და სამეცნიერო ცენტრმა, დაარსებიდან (1006 წ.) გაიარა აყვავების და დაცემის პერიოდები, რაც ყოველთვის უკა-

---

22 მართალია საგვარეულო ეკლესიაში ისედაც ტარდებოდა პატრონის შესაფერებული წირვა-ლოცვა, აღაპი, მაგრამ საგანგებო სამწირველოს დაარსება მინდობილი იყო სულზე მუდმივი ზრუნვის გარანტიად, ვიდრე „ქვეყნის დასასრულამდე“.

23 ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში. მიმომხილველი I, 1949 წ. გვ. 309-323; მისივე, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან („საწინამძღვრო“). მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვეთ. 31, 1954 წ. გვ. 145-157.

ვშირდებოდა ქვეყნის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას. მართალია, მონასტერს არასდროს არ შეუწყვეტია არსებობა, არ გაუქმებულა იქ სამონასტრო ცხოვრება, მაგრამ ქვეყნის ძნელბედობამ დიდი დაღი დაამჩნია მის ისტორიას: მონღოლთა შემოსევამ XIII ს-ში დასავლეთ საქართველოსაც დიდი ზიანი მიაყენა; 1510 წელს ოსმალთა ჯარი შეესია დასავლეთ საქართველოს, 23 ნოემბერს მტერმა „დაწვა დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ, ქუთაისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანი... აურაცხელი ტყვენი წაასხეს"; საქართველოს პოლიტიკური დაშლის (სამ სამეფოდ და სამთავროებად) შედეგად მეფის ხელისუფლებისაგან მას სათანადო მოვლა-პატრონობა მოაკლდა. XV ს-დან იქ იმარხებოდნენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, იმერეთის სამეფოს ბაგრატიონები. ამის გამოც ძველი, გაერთიანებული საქართველოს მეფეების საფლავებს, მათ ეკლესია-ეკვდერებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენდნენ მთავარი, ღვთისმშობლის ეკლესიის მინაშენებს ან მონასტრის გალავანში არსებულ ცალკე ეკლესიებს, მოაკლდათ ყურადღება: ამ სამწირველო ეკვდერებში ბოლოს თითქმის შეწყდა იქ დამარხულთა სულის მომსახურება; ეკვდერებში აღარ ინიშნებოდნენ მწირველები, სამწირველოს აღარ ჰქონდა სათანადო მატერიალური სახსრები და ა.შ.; დროთა განმავლობაში მონასტრის ბერ-მონაზვნებმა თითქმის, და იმერეთის მეფეებმაც, დაივიწყეს ის, თუ რომელი ეკვდერი რომელი წმინდანის სახელობის იყო, ვინ იყო მასში დასაფლავებული (გამონაკლისია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის საფლავი, რადგან იგი საცნაური იყო ზედწარწერით. ამიტომაც მისმა სამწირველომ მწირველითურთ მოაღწია გვიან საუკუნეებამდე და დღეც ცნობილია).

გელათის მონასტრის აღდგენა, როგორც იმერეთის

მეფეთა საძვალისა, დაიწყო XV-XVI ს-დან და გაგრძელდა XVIII ს-მდე. მოქმედებას იწყებს ახალი სამწირველოები მწირველებით ძველ ეკლესია-ეკვდერებით იმერეთის მეფეების, ეპისკოპოსების და კათალიკოს-პატრიარქთა სახელზე.

XV საუკუნიდან გელათი იმერეთის მეფეებმა საკმაოდ დაკნინებული მიიღეს, იმერეთის მეფეს, ბაგრატ III ალექსანდრეს ძეს (1510-1565), 1545 წელს დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია გელათში: მონასტერში ახალ საძვალეთა შორის აღდგენილ იქნა ძველიდანვე გაუქმებული,„სადედოფლო“ წმ. გიორგის ეკლესია. ბაგრატ მეფე წერს: „ჴელ-ვყავ საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა სამარხოდ და საძვალედ შევქმენით, აღვაშენეთ და შევამკეთ, ხატითა, წიგნითა, კანდლითა... მამულითა. დავადგინეთ სასოდ და შესავედრებელად სულისა ჩემისა ჩვენისა მოძღვარი... და გავაჩინეთ მწირველად“: [24]

იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს (1720-1751), 1730 წელს მივიწყებული ძველი ეკვდერი შეუქმნია თავის სასაფლაოდ, როცა მას მეუღლე გარდასცვალებია. ის წერს: იყო „ეგუტერი დავიწყებული ჟამთა ვითარებისაგან, არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელ-ვყავ გაშენებად და შემკობად მისა... აღვაგებინე საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია მოციქულისათა...“[25] (ეს ეკვდერი ის არის, რომელიც შემდეგ გათხარეს თამარის საფლავის ძიების გამო. იხ. ზე-

24 ბ. ლომინაძე, გელათი, 1955 წ. გვ. 22 და სხვ.; საქართველოს სიძველენი, გვ. 17.

25 ს. კაკაბაძე, დასაწყისი საქართველოს საეკლესიო საბუთებისა, I, გვ. 120; ბ. ლომინაძე, დას. ნაშრ. გვ. 44.

მოთ). მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება გელათის ეკვდერთა ისტორიიდან. ასეთივე ბედი ეწვია თამარ მეფის საფლავს გელათში „ჟამთა ვითარებისაგან“ თამარის სამწირველო-მწირველიც მოიშალა-გაუქმდა (ამავე დროს, არ შემოგვრჩა რაიმე მატერიალური მიშანი მისი საფლავის მაუწყებელი), აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ვიცით დღეს ლოკალური მინიშნებით თამარ მეფის საფლავი გელათში.

Thousands of visitors come every year to Gelati monastery, a monument of the feudal period Georgian culture. The architecture of the monastery, the works of art and inscriptions preserved there, represent a testimony of the developed culture of medieval Georgia. At present measures are constantly taken for the preservation of this valuable historical monument. Gelati is situated on the left bank of the Tskaltsitela, at a distance of 11 kilometers to the north-west of Kutaisi. The trip from Kutaisi to Gelati can be made by car or by rail.

Gelati monastery is surrounded by thick walls and stands on a broad terrace on a slope of a rocky and wooded mountain. The light-brown monastery buildings are visible from a considerable distance. A lofty domed church rising in their midst represents the center of the whole architectural complex. The outlines of the other buildings, particularly their soaring domes, stress the beauty of the lofty masses of the main church. The walls encompass three churches: the Church of the Virgin, St. George's and St. Nicholas' churches, hostels (modern), the belfry, the refectory (the former academy hall) and other buildings forming a fine architectural ensemble.

Gelati monastery was funded by King David the Builder (1089-1125). The king built the big church of the Virgin, which took nineteen years (1106-1125). In 1126 King David's son Demetre had the church adorned after which it was consecrated. King David assembled the brotherhood of the monastery, inviting scholars both from Georgia and foreign cloisters, and endowed it with funds. Gelati was not only a place where monks and nuns could pray and conduct church services, it

was also a center of learning and higher education. Outstanding literary works, works on philosophy and history reflecting the up-to-date intellectual culture of the epoch were written at Gelati from the twelfth to the fourteenth century; fine pieces of metalwork in silver and gold, original mosaic pictures, classical monuments of architecture etc., were created at Gelati. Due to all this, Gelati was then called "the second Athens" and "the second Jerusalem". Gelati created its own, distinguished philosophical-theological school, while simultaneously carrying on the work pursued at Georgian monasteries abroad, namely on Mount Athos (now in Greece) and Petritsoni (now in Bulgaria), which suffered a decline of literary activities by the twelfth century.

The founding of Gelati was not fortuitous: the monastery was established when Georgia's political life, economy and culture were on a rise, and its aims fully corresponded to the high level of culture of the day. Gelati played an outstanding part in consolidating Georgia's independent culture and national state. It was the most important center of learning and art.

In the twelfth century Georgia was a powerful centralized feudal kingdom, the center of Transcaucasia. The highly gifted head of the Georgian state, King David the Builder, succeeded in reconquering the territories which had been severed from Georgia by the Seljuk-Turks and in eliminating feudal disunity in the country. All this was achieved by means of new military, social and economic measures. In the struggle against the Seljuk-Turks Georgia played a role of liberator of the Caucasus and offered stubborn resistance to the Seljuk advance on Western Europe, where this fact was recognized and appreciated.

The high level of spiritual culture achieved by the Georgian feudal state is attested by the fact that almost all the important works of world literature of the day were translated into Georgian. All the learning of that time could be mastered in the Georgian language. It was the time when humanism emerged. Strict religious dogmatism, asceticism and fanaticism were alien to this trend. Men of non-Christian religion enjoyed complete liberty in Georgia. Georgian letters of the time were represented by such remarkable thinkers as Ephrem Mtsire, Arsen Ikhaltoeli, Ioane Petritsi, Arsen the Monk and others. King David was himself a highly educated man, well versed both in Christian and Islamic culture, and active and devoted champion of national culture. He did a lot for the renovation of Georgian cloisters beyond the borders of his country and took care of old local monasteries as well.

* * *

Gelati was the principal monastery of Georgian kings. As the royal monastery, Gelati enjoyed a number of economic, social, military, legal and fiscal privileges.

Since the day of its establishment activities at Gelati monastery were more or less vigorous, depending on the general situation in the country.

The taking of Constantinople by the Turks in 1453 severed Georgia from the rest of the civilized world; the country was again disunited politically, and all this could not but have an adverse influence on the activities of Gelati monastery in the sixteenth century. In 1510 the Ottoman Turks invaded Western Georgia; the city of Kutaisi and Gelati monastery were sacked. In the Sixteenth century Gelati became the center of an episco-

pal see, and in the latter part of the same century the residence of the Patriarch (Catholicos) of Western Georgia was transferred there from Bichvinta. These were most significant facts in the history of Gelati.

In the second half of the seventeenth century, owing to the weakening of the king's power and to the frequent incursions of the Ottoman Turks, Gelati again declined. On August 10, 1759, the monastery was pillaged by the Lezgins who set fire to the church of the Virgin.

In the seventeenth century Solomon I and Solomon II of Imereti carried out large-scale restorations at Gelati.

As has already been mentioned, there are three churches within the walls of the monastery. The most noteworthy of these, as far as architectural composition is concerned, in the church of the Virgin.

This big church is of the domed cross-plan and is considered to be a splendid example of medieval Georgian architecture. The church is beautifully and richly adorned, but without the traditional Georgian carving in stone; the exterior is simple and severe in style, which differentiates it from monuments of Georgian architecture. The decoration and inscriptions in the interior are attributed mainly to the XVI-XVII centuries. In 1125-1130, Demetre, son of David the Builder, had the conch of the apse adorned with mosaic pictures. These mosaics are noteworthy for their high artistic merit, not only in the history of Georgian art, but in world art of the time as well. In the treatment of the figure of the Virgin and Child the Byzantine tradition is violated for the first time. The figure is not frontal, according to the strict iconographic dogma, but slightly turned to the right, which accounts for its dynamism. The features, the

outline of the face are of a pronounced Georgian national type. The mosaic is the work of a Georgian artist.

In the lower register of the North wall there is a series of representations of the donors, from left to right-King David the Builder, Eudemon Chketidze, Catholicos of Western Georgia (16th Century). The pictures are dated to the 16th century. On other parts of the walls there are portrayals of other historical personages. Several epitaphs have been preserved in the church. The north and south narthexes of the church of the Virgin have entrance doors in their central parts, the lateral parts are little chapels with crypts. Kings and Patriarchs of Western Georgia are buried in chapels annexed to the church. In the west porch (Fig. 14) there are remnants of twelfth century mural paintings. In the east chapel the south annex dedicated to St. Andrew there are some fragments of a thirteenth century fresco.

St. George's Church was built in the thirteenth century. It is a central-domed cross church. The paintings, mostly on a blue ground, covering the walls are of the sixteenth and seventeenth centuries and are considered to be among the finest examples of the art of late feudalism. Most of them represent scenes form the Gospels and quite a number of compositions are devoted to the life of St. George. There are also numerous portraits of historical personages and many inscriptions. St. Nicholas' church is original in structure: it is erected of a vaulted platform supported by piers. Its site is strictly coordinated with the sites of the other two churches: all three are placed on a straight line, forming the axis of the whole architectural ensemble.

The sepulcher of King David the Builder is a chapel which once served as the monastery gate. The gravestone was placed

in such a way that everyone who passed through the gate had to tread upon it. According to popular tradition, King David himself chose this spot in display of his humility. The gate itself had been brought from Gandza, as a trophy after the taking of the city King Demetre in 1138-1139.

The belfry is three-storeyed. The first store contains a fountain to which water is brought form a nearby spring.

Scarcely anything remains of the academy buildings but the ruins of the great hall. The academy was a higher educational institution and a scientific center established under the auspices of the monastery. In the hall one may still see the seats of the students. Niches in the walls where they kept their books and writing materials, and a pulpit for the lecturers. The hall had two entrances from the courtyard, one on the east, and the main west entrance on the village side. The vestibule and stairway are now reduced to ruins. The academy building lost its original functions in the sixteenth century, the academy itself no longer existing as such. The hall was converted into a refectory for the monks.

In the twelfth century the famous scholar Ioane Petritsi worked at the Gelati Academy; he had received his education at the Mangana Academy in Constantinople. The progressive significance of the Gelati Academy was not restricted to Georgia alone; at the time it held a place of honor in the East. The Neoplatonic School of philosophy which suffered persecution in Byzantium had its followers at Gelati. A number of remarkable works written there are now the adornment of our museums. The Rector of Gelati Academy bore the title of "Teacher of teachers".

In the twelfth century Gelati was considered an important

center of the goldsmith's art, second only to Opisa and Tbeti. The triptych containing the icon of the Khakhuli Virgin was made at Gelati in the twelfth century. With both lateral leaves open, it is two meters broad and 1.5 meters high. The surface of the central part is covered with pure gold, but the leaves are silver-plated, gilt and engraved with delicate geometrical and floral designs. In the center is a large image of the Virgin (40 by 50 cm) in cloisonné technique, made in the tenth century by a Georgian artist for the Khakhuli monastery (Khakhuli monastery is now on Turkish territory). This cloisonné enamel image, the only one of its kind, was stolen from Gelati in the 19thcentury. Part of it has remained in the Soviet Union, and a small part was ought for a private collection in New York. At present the triptych and fragments of the cloisonné enamel image are preserved in the Georgian State art Museum.

Goldsmiths continued working at Gelati for some time after; literary work went on; besides this, many valuable works of art and literature were brought there for preservation from other parts of Georgia. In the Middle Ages Gelati was a kind of museum of Georgian culture.

ილუსტრაციები

სურ. 1. გელათის მონასტრის საერთო ხედი სამხრეთიდან;

სურ. 2. ღვთისმშობლის შობის ტაძარი;

სურ. 3. ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერი;

სურ. 4. ღვთისმშობლის კონქის მოზაიკა;

სურ. 5. მოზაიკის დეტალი – ღვთისმშობელი ყრმით;

სურ. 6. წმ. დავით აღმაშენებლისა და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის ფრესკა ღვთისმშობლის შობის ტაძარში;

სურ. 7. წმ. გიორგის ეკლესია;

სურ. 8. წმ. ნიკოლოზის ეკლესია;

სურ. 9. სამრეკლო;

სურ. 10. გელათის აკადემიის შენობა (რესტავრაციამდე);

სურ. 11. გელათის აკადემიის შენობა (რესტავრაციის შემდეგ);

სურ. 12. გელათის აკადემიის კარიბჭე ემბლემით;

სურ. 13. წმ. დავით აღმაშენებლის საფლავი;

სურ. 14. სოხასტერის ნანგრევები.

სურ. 1

სურ. 2



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5



სურ. 6




სურ. 7



სურ. 8

სურ. 9




სურ. 10


სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

სარჩევი

გელათის სამონასტრო კომპლექსი 5

გელათის სამონასტრო კომპლექსის დაარსება და მოკლე ისტორია 10

გელათის მონასტრის სოციალურ-ეკონომიური და სამეურნეო-კულტურული მდგომარეობა 24

გელათის სამონასტრო კომპლექსი ღვთისმშობლის ღიდი ტაძარი 41

წმ. გიორგის ეკლესია 59

წმ. ნიკოლოზის ეკლესია 63

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის საფლავი 64

სამრეკლო 65

გალავანი 65

სოხასტერი 66

გელათის აკადემიია 68

თამარის საფლავი 80

გელათის მონასტრის ილუსტრაციები 108

„გელათის გზამკვლევის“ წინამდებარე გამოცემა შესაძლებელი გახდა ბაბილინა ლომინაძის ფუნდამენტური ნაშრომის, „საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა" (გელათის მეცნ. აკად., გამომც. „ნეკერი“, 2010 წ.) რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხით. წიგნები შეიძინეს და „გელათის გზამკვლევის“ გამოცემის ფონდში გადმორიცხეს შემდეგმა ორგანიზაციებმა, რომელთაც დიდი მადლიერებით მოვიხსენიებთ:

1. „სულიერების, კულტურული და მეცნიერული აღორძინებისა და განვითარების საქართველოს ფონდი“, რომელმაც შეიძინა ბაბილინა ლომინაძის დასახ. ნაშრომის 100 ეგზემპლარი და გამოცემის ფონდში გადმორიცხა 500 ლარი;

2. აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ – 10 ცალი – 80 ლარი.

3. ქუთაისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა 10 ცალი – 80 ლარი.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა – 10 ცალი – 100 ლარი.